

მეჩვენებთა ღოროთქიშანიძე

**უქველესი საბეჭდავი-ბეჭდები
იბერიიდან და კოლხეთიდან
(ძვ. წ. V—I სს.)**

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1981

ნივთიერი წყაროების საფუძველზე დგინდება, რომ ლითონზე გლიპტიკა აღმოსავლეთ საქართველოში ადრეანტიკურ ხანაში (სახელდობრ, ძვ. წ. V—III სს.), მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთი განვითარებული დარგი ყოფილა.

დროის ხსენებულ მონაკვეთში იბერიაში, ძირითადად, ადგილობრივი წარმოშობის საბეჭდავი-ბეჭდვითი გაერცელებული. რომელთა შორის ავტორი სხვადასხვა მიმდინარეობებისა და სკოლების გავლენით შექმნილ ძეგლებს გამოჰყოფს. მისი ვარაუდით, ძვ. წ. V საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (შიდა ქართლში) სპეციალური სახელოსნო დაარსებული ჩანს.

რედაქტორი ოთ. ლორთქიფანიძე

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ძველი საქართველოს ანტიკურ სამყაროსთან კულტურული და სავაჭრო ურთიერთობების (სახელდობრ, სპეციალურ სახელოსნო ცენტრებთან, ცალკეულ ქვის საჭრელ სახელოსნოებთან თუ სკოლებთან) საკითხის შესწავლა კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღრღანტიკური ხანის ლითონის საბეჭდავი-ბეჭდებით დაეწყო¹ და ქვ. წ. VI—III სს. ქრონოლოგიური ჩარჩოთი შემოვიფარგლეთ — დროის იმ მონაკვეთით, როცა საბეჭდავის ახალი, ხსენებული ფორმა იწყებს „გზის გაკვლევას“ და თანდათანობით უფრო ფართოდ გავრცელებას საზოგადოებაში².

ახალი თემის კვლევასთან დაკავშირებით (რომელიც ფაქტიურად დიდი გამოკვლევის II ნაწილადაა ნავარაუდები) აუცილებლად მივიჩნით, პირველ რიგში, აღმოსავლეთ საქართველოს ძველ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. წ. V—III სს. საბეჭდავი-ბეჭდების ახალი თვალსაზრისით შესწავლა*.

ჩვენი მიზანია: ჯონ ბორდმანის ახალ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, შესაძლებლობის ფარგლებში, ხსენებულ მასალებს შორის გამოვავლინოთ გარკვეული სკოლებისა და სახელოსნოების ნახელავი. საჭიროდ დავინახეთ ძიება იმ ძეგლებით დაგვეწყო, რომლებიც ე. წ. „ბერძნულ-სპარსული“ წრის ნახელავს უკავშირდებიან. — რადგან კოლხეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ სა-

* იმისათვის, რომ გამერკვია ძველი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მოღვაწე მკვრელები რომელ სკოლებსა და მიმდინარეობებს ეკუთვნოდნენ, მიზანშეწონილად მივიჩნით აქლავ შევდგომოდი ჩემ მიერ აღრე გამოქვეყნებული საბეჭდავი-ბეჭდების გარკვეული ჯგუფის კვლევასაც. ხოლო კოლხური წარმოშობის რამდენიმე ინტალიონის ჩართვა შრომაში — საკითხის გამუქების აუცილებლობითაა გაპირობებული.

¹ ამის შესახებ იხ. ჩვენი გამოკვლევა — კოლხეთის ძვ. წ. V—III სს. საბეჭდავი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი). თბილ ისი, 1975.

² იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I, თბილისი, 1969, გვ. 8, 40, 47—48.

ქართველოს ძველ ტერიტორიაზე გლიპტიკა, როგორც მხატვრული ხელოსნობის ცალკე დარგი, ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI—III სს), ძირითადად, როგორც ჩანს, მესოპოტამიური და აქემენიდური ხელოვნების დიდი გავლენის ქვეშ ვითარდებოდა³. და სწორედ ამ მასალებს შორისაა გასარკვევეი ბერძნულ სამყაროსა და სკოლებთან არსებული კავშირი.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. VI საუკუნიდან ძველ საქართველოში საბექდავის ახალი სახე — საბექდავი-ბექვედი ჩნდება⁴. საბექდავის ახალი ტიპი თანდათანობით ფართოდ შედის ყოფაში, რასაც, ჩვენი აზრით, მისი ხმარებისათვის გაადვილებული ფორმა უწყობდა ხელს, და, უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ამგვარ საბექდავებს, პრაქტიკული დანიშნულების ვარდა, სამკაულის სახითაც ხმარობდნენ (ძველ სამყაროში, დროის ხსენებულ მონაკვეთში, მოდა ბექდებზე დიდ მასშტაბებს მოიცავს)⁵.

ჩვენ არ შეუვლდგებიტ აქ ლითონის საბექდავი-ბექდების წარმოშობისა და მისი განვითარების ისტორიის განხილვას, რადგან ამ საკითხს სპეციალურად ფართოდ ვეხებით შრომაში: „კოლხეთის ძვ. წ. V—III სს საბექდავი-ბექდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი)“ მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია სპარსული სინქრონული და ე. წ. „ბერძნულ-სპარსული“ გლიპტიკის, ზოგადად, და სახელდობრ ლითონზე გლიპტიკის ანუ საბექდავი-ბექდების მიმოხილვა.

ზემოხსენებული იმითაა გაპირობებული, რომ ბერძნებსა და ბერძნული სკოლის როლი უსაზღვროდ დიდია აქემენიდური ხანის სპარსეთის გლიპტიკის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. იგი ბერძნულ სკოლასა და ბერძნულ სტილს იყო ძირითადად დაქვემდებარებული.

ცნობილმა ინგლისელმა მეკლევარმა ჯონ ბორდმანმა თავის კაპიტალურ ნაშრომში—Greek Gems and Finger Rings. Early Bronze Age to Late Classical, London, 1970—ახლებურად წარმოგვიღ-

³ ზემოხსენებულის დასადასტურებლად სხვადასხვა სამაროვნებში (თეთრი წყაროს ყოლოთოს, ასურეთის, სამეგურ-ყანჩაეთის, კამარახევის და ა. შ.) დღეისათვის მოპოვებული საბექდავი-ბექდები წარმოადგენს მეტყველ საბუთს (იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 41, 42, 44, 45 და შმდ).

⁴ იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 47.

⁵ იხ. F. Marshall, Catalogue of the Finger Rings Greek, Etruscan and Roman, British Museum. London, 1907; — G. Beatti, Oreficerie antiche della minoiche alle barbariche, Roma, 1955, § Anelli.

ზინა (ისევე, როგორც ადრეანტიკური გლიპტიკური ძეგლების) ზემოხსენებული ეპოქისა და წრის გემა-საბეჭდავების კლასიფიკაცია.

არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მონაცემების მიხედვით ცნობილი გახდა, რომ ბერძენი ოსტატები აქემენიდურ ხანაში სპარსელი მეფეების კარზე მოღვაწეობდნენ⁶. ბერძნებისა და სპარსელების თანამშრომლობა, უკეთ — კავშირი გლიპტიკაში ე. წ. ბერძნულ-სპარსული გემების ძალიან დიდი ჯგუფითაა წარმოდგენილი⁷, რომლებიც სტილისა, ფორმისა და შინაარსის მიხედვით განისაზღვრებიან. ხსენებულ გემების გავრცელების პერიოდი ორი საუკუნით იფარგლება. ხოლო არეალი ტერიტორიულად, სპარსული იმპერიის დიდ სივრცეს მოიცავს. ჯ. ბორდმანის მიხედვით: „ეგეოსის სამყაროდან ინდოეთამდე, შავი ზღვის სანაპიროდან ნილოსამდე“⁸.

თუ რა ზომამდე დიდი იყო ბერძნებისა და ბერძნული კულტურის გავლენა, გლიპტიკის გარდა, სპარსული ხელოვნების სხვადასხვა დარგებში: სკულპტურასა, არქიტექტურასა, ჰედურობაში და ა. შ. თვით სპარსეთშიც — ამას ნივთიერი მასალა მოწმობს. იმპერიის დასავლეთ სატრაპიებში, სადაც ზღვარის დადება ბერძნულსა და სპარსულ სტილს შორის ძნელია, მაინც შესაძლებელი ხდება გარკვეული გავლენისა თუ თანამშრომლობის კვალის გამოვლენა⁹.

ისეთ ქალაქებშიც კი როგორც იყო მილეთი და ეფესო, თუნდაც იონიის კუნძულები, ბერძენი ოსტატები იძულებულები იყვნენ ანგარიში გაეწიათ სპარსული ინტერესებისათვის. რაც შეე-

⁶ ი. J. Boardman, Greek Gems and Finger Rings. Early Bronze Age to Late Classical. London. 1970. გვ. 303; M. Maximowa, Griechisch — Persische Kleinkunst in Kleinasien nach den Perserkriegen, Arch. Anzeiger, Berlin, 1928, Heft 4; — M. И. Максимова, Глиняная ткацкая подвеска с ортискком печати, МИА. 1956, №50, с. 190—195.

⁷ A. Furtwängler, Die Antiken Gemmen, Leipzig, 1900, III, გვ. 116—124; G. Richter, Greeks in Persia, AJA, 1946, vol. L, № 1, გვ. 15—30; მისივე: The Late „Achaemenian“ or „Graeco-persian“ Gems, „Hesperia“, Suppl., VIII, 1949, გვ. 291—298. მისივე: Engraved Gems of the Greeks and Etruscans. A History of Greek Art in Miniature, London, 1968, გვ. 125—132.

⁸ ი. Boardman, დასახ. ნაშრ., იქვე.

⁹ ჯ. ბორდმანი მიიჩნევს, რომ ჭერჭერობით არცთუ საკმარისადაა დადგენილი ყველა გარკვეული, განმასხვავებელი თავისებურებანი. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 304.

ხება სპარსელთა ბატონობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებს ლიკიას, კარიასა და კილიკიას, აგრეთვე კვიპროსს — იქ აღმოსავლელ ბერძენი ოსტატები თავისუფლად (შეუზღუდავად) მუშაობდნენ: — მათთვის დამახასიათებელ, თავისებურ მანერაში¹⁰. ზოგჯერ ოსტატების მხრივ „დათმობა“ იმაში ვლინდებოდა, რომ ისინი თავიანთი ნახელავისათვის წარმოშობით სპარსულ მოტივებს იყენებდნენ¹¹. სპარსეთის ბატონობას მეტად დაქვემდებარებულ ცენტრებში, როგორც იყო სატრაპიების დედაქალაქები სარდი და დასკილეიონი, სპარსელების ინტერესებს ოსტატები საგულისხმო ანგარიშს უწევდნენ. ხოლო რაც შეეხება ლიდიასა და ფრიგიას, ინგლისელი მკვლევარის დაკვირვებით, იქ ბერძენი ოსტატების გავლენა მეტად შეიმჩნევა. ამასთანავე მათ ბევრი რამ უსესხიათ და გამოუყენებიათ სპარსული მოტივებისა და სტილისაგან. დასავლეთ სახელმწიფოებსა და სატრაპიებში ბერძენები და სპარსელები მჭიდროდ ყოფილან ერთმანეთთან დაკავშირებული საქმიანობაში. უმთავრესად სწორედ ამ რაიონებში მოღვაწეობდნენ ბერძენულ-სპარსული გემების მკრელები¹².

აქემენიდური გლიპტიკის „ჩასახვის“ პერიოდი რამდენადმე რთულია. საკუთრივ სპარსეთში საბეჭდავების კვეთის ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა; მაგრამ, როგორც ირკვევა. ამას არსებითი მნიშვნელობა, „წამყვანი როლი“ არ ჰქონია აქემენიდური შემოქმედებისათვის. უშუალოდ წინამორბედი მიმდინარეობები კვეთის ხელოვნებაში: ასირიული და ბაბილონური სტილი გამოყენებული იქნა ძირითადად ცილინდრებისა და საბეჭდავების — პირანოდული თუ კონუსურის — კვეთისას¹³. მესოპოტამიური სტილი (ერთი შეხედვით უფრო ასირიული, ვიდრე ბაბილონური)

¹⁰ იხ. J. Boardman, დასახ. ნაშრ., იქვე. Richter, A History of Greek Art in Miniature. გვ. 126.

¹¹ იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ზოგიერთ ლიკურ საფლავის ჩვენებსა და მონეტებზე.

¹² იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 304; — „ბერძენულ-სპარსულ“ გემების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: G. Richter, Greeks in Persia; — Т. Н. К н и п о в и ч , Греко-персидские резные камни Эрмитажа, Гос. Эрмитаж, сб., вып. III, Л., 1926, с. 41—58; H. Seyrig, Cachets achéménides, Archacologica Orientalia in memoriam Ernest Herzfeld, New York, 1952, გვ. 195—202.

¹³ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 304.

მოწონებით სარგებლობდა ადრეული აქემენიდური ცილინდრებისა და კონუსური საბეჭდავების შემკულობაში (დეკორირებისას). აღნიშნული საბეჭდავები ქვეყნის შიგნით მცირე რაოდენობით იხმარებოდა მთელს იმპერიაში¹⁴.

სირიასა და ფინიკიაში უპირატესობა სკარაბეებს ენიჭებოდა. — ათ შორის აქემენიდური შინაარსის მქონე საბეჭდავები მცირე რაოდენობას შეადგენდა¹⁵. აქემენიდური პერიოდის საბეჭდავები ქვეყნის ამ ნაწილში თავისი ფორმით, კვლავ, მკაცრი ფინიკურა იყო, მცირეოდენი ბერძნული გავლენით.

დასავლეთ მცირე აზიასა და კვიპროსზე ბერძნული ნიმუშები — ნახელავი ვითარდებოდა, არქაული დროიდან ვიდრე კლასიკურამდე. ეს იყო რაიონი სადაც ყველაზე მეტად ხვდებოდა ერთმანეთს ბერძნულ-სპარსული ინტერესები, რაც საფუძვლად დაედო, — გამოვლინდა თავდაპირველად შერეული სტილის სახით ნაწილობრივ პირამიდულ საბეჭდავებსა და, მოგვიანებით, სკარაბეოიდებში¹⁶.

მეცნიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპარსულისა და ბერძნულ-სპარსული საბეჭდავების ძირითადი სტილების მკვეთრად გამოჩენას. კერძოდ — საბეჭდავების იმ კატეგორიის გამოყოფაზეა საუბარი, რომლებიც წმინდა ბერძნული გლიპტიკის ელემენტებს შეიცავენ. — ამასთანავე, ამ ძეგლებში, ნაწილობრივ შეიმჩნევა ცდა დამოუკიდებელ შემოქმედებისადმი. სწორედ ამ კატეგორიის ძეგლები უკვლევდა გზას აქემენიდური გლიპტიკის ჩამოყალიბებას¹⁷.

ბუნებრივია: განსხვავება სხვადასხვა ჯგუფების კრილა ქვებსა — საბეჭდავებს შორის ძირითად სტილისტურ თავისებურებებში მდგომარეობს¹⁸. მაგრამ ამის გარდა ჯ. ბორდმანს აუცილებელ პი-

¹⁴ იხ. Boardman, იქვე.

¹⁵ ზემოხსენებული შინაარსის მქონე საბეჭდავები უმთავრესად შინის კონუსოიდებია.

¹⁶ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 315.

¹⁷ იხ. Boardman, იქვე.

¹⁸ კრილა ქვებისათვის, წესისამებრ, მასალად ქალცედონს, ძირითადად — საფირინს იყენებდნენ (საფირინი ჯერ კიდევ ბაბილონურ საბეჭდავებისათვის იყო უპირატესად ხმარებული), იშვიათია — სარდონი, მთიან ბრელი, აქატი, იასპი. წმინდა ბერძნული სკოლები უმთავრესად ძალიან ღია ანდა თეთრ ქალცედონებსა და იასპებს იყენებდნენ ხოლმე (იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 315). — შდრ. Richter, A History of Greek Art in Miniature, გვ. 128—132, №№ 488—518.

რობაჲ მიაჩნია (ნივთების ყოველმხრივი ანალიზისას) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინება.

ხშირად მკვლევარი ნივთების კლასიფიკაციისას გარკვეულ სინელებს ხვდება, რადგან ზოგჯერ, ხან კი მეტწილად, განმასხვავებელი ნიშნები სუსტად ჩანს.

სპარსეთის მონარქიის ეპოქის ხელოვნება შეიცავს არამართო ოფიციალურ სპარსულ ხელოვნებას — საკარო ხელოვნებას¹⁹, არამედ ხალხურ სპარსულ ხელოვნებასა და პერიფერიულს.

გლიპტიკაშიც რამდენიმე სტილის მიმართულებასთან გვაქვს საქმე. ამდენად ყურადღებას ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ. პირველ რიგში საკარო სტილის გლიპტიკას შევეხებით²⁰.

ს ა ს ა ხ ლ ი ს ს ტ ი ლ ი გლიპტიკაში ეს ის სტილია, რომელიც გარდა არქაული დასავლური ფორმისა და ზოგი ბერძნული მოტივისა, არ არის დამოკიდებული ბერძნულ ხელოვნებაზე²¹. თუმცა ხანდახან ბერძნული არქაული სტილი მაინც თავს იჩენს ხოლმე. არქაული აღმოსავლური საკარო სტილი თავისი ღირსებით სპარსული სასახლეების სტილის დონეს უტოლდება. ამისი შესანიშნავი ილუსტრაცია გლიპტიკაში — ცილინდრები და კონუსური საბეჭდავებია. სტილში ხშირად ასირიული ელემენტები შეიმჩნევა და მანიერიზმითაც კი ხასიათდება²², რაც განსაკუთრებით სახისა და ტანსაცმლის გადმოცემაში მეღავენდება.

არქაული დასავლური საკარო სტილი ეს არის აღმოსავლურის სახესხვაობა, მისი „გასადავებული“ ვარიანტი. იგი აისახა სკარაბეოიდების პატარა ჯგუფებსა და ზოგან პირამიდულ საბეჭდავებზე. გავრცელებული თემა: სპარსელი გმირია.

სტილის გასადავება განსაკუთრებით ტანსაცმლის გადმოცემაში გამოიხატა. ხშირად სპარსელი გმირის ტანსაცმელი ბერძნულ

¹⁹ ოფიციალური სპარსული ხელოვნება, როგორც ცნობილია, განვითარებისას უცხო მხატვრული ტრადიციების გავლენას განიცდიდა.

²⁰ ამ ჯგუფის საბეჭდავები და გემები ჯ. ბორდმანის მიერაა გამოყოფილი.

²¹ აღსანიშნავია, რომ გამოხატულების ირგვლივ ამოქრილი წყვეტილი ჩარჩოები (ბერძნული ჩვეულება) საცხებით უკუგდებულა.

²² ამის თვალსაჩინო მაგალითს ჯ. ბორდმანის შრომაში — Greek Gems and Finger Rings — ძვ. წ. 460 წლით, და უფრო ადრეული ხანით დათარიღებული, პერსეპოლისის ფიციფიტებზე შემორჩენილი ანაბეჭდები წარმოადგენს.

ყაიდაზეა გადმოცემული — კვართის სახით. თავსაბურავები ჩვე-
ულებრივ წაწვეტებულ გვირგვინს ანდა ტიარას წარმოადგენს.
ვხვდებით აგრეთვე მოდიელების გამოსახულებებს, რომლებსაც
თავი ქულებით აქვთ შემოსილი.

აღსანიშნავია, რომ ლომების ტიპი ძალიან უახლოვდება ე. წ.
„უხეში სტილის“ არქაულ ბერძნულ გემებზე წარმოდგენილ ანა-
ლოგიურ სახეებს.

ხსენებული ჯგუფის საბეჭდავებს შორის ბევრია წმინდა სპარ-
სული თემა, სახელდობრ: გმირის შებრძოლება ლომებთან, სხვა
ცხოველებსა თუ ურჩხულებთან. ამასთანავე სიუჟეტის რიგი უფ-
რო მეტად ბერძნულ გავლენას განიცდის: მაგ., ფროსანი ქალ-
ღმერთი ლომებთან ერთად წარმოდგენილი²³; გრიფონებისა და
სფინქსების ტიპები²⁴ (რომლებიც უფრო ბერძნულია, ვიდრე აღ-
მოსავლური ტიპისა); ფრინველი, რომელიც ცხოველს სხეულს
უკორტნის და ა. შ.

ზემონხსენებული ჯგუფის საბეჭდავები უმთავრესად დასავ-
ლეთ მცირე აზიაშია მოპოვებული; კერძოდ, სარდში, სატრაპიის
დედაქალაქში. მათი გარკვეული რაოდენობა აღმოჩენილია, აგრეთ-
ვე, საბერძნეთსა და სამხრეთ რუსეთში.

— საბეჭდავების დასავლური წარმოშობის დამადასტურებელი
ნიშნად ლიდიური წარწერების გარკვეული რაოდენობაც არის
მიჩნეული. ამათვე უკავშირდება უმეტესი ნაწილი არაბერძნული
ჯგუფის საკუთარი (პერსონალური) ხაზოვანი სტილის ემბლე-
მებიანი ქრილა ქვები.

არქაული საკარო სტილის საკარაბეოიდებისათვის ისეთივე
სიუჟეტებია გამოყენებული, როგორც პირამიდულ საბეჭდავებ-
ზეა გავრცელებული²⁵.

ხაზგასასმელია, რომ კლასიკური საკარო სტილი არქაული
სტილის მეტად მანერისებულ ვარიანტს წარმოადგენს. ადამიანე-
ბის თავები მეტი დეტალებით არის გადმოცემული; ტანსაცმელიც
უფრო დაწვრილებითაა დამუშავებული (ნაქეცები, სახე), ნახელა-
ვის აღნიშნული მხატვრული თავისებურება ამ მხრივ გვიანდელი
ხანის ბერძნულ არქაულ სტილთან — შესრულების ბერძნულ მა-
ნერასთან იჩენს სიახლოვეს.

²³ შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., ტაბ. 828.

²⁴ შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., ტაბ. გვ. 305.

²⁵ შდრ. Boardman, გამ. 280—281, ტაბ. 825.

ეგვიპტურ-ფინიკიური სამეცროდან ნასესხებ მოტივებს შორის ღვთაება ბესია აღსანიშნავი. ხსენებულ კრილა ქვებზე ცხოველთა სხეულები ყოველგვარი მოდელირების გარეშეა გადმოცემული. ამასთანავე არსებული ანატომიური ნორმებიც უგულვებელყოფილია. დეტალებისა და ცალკეული ნაწილების კვეთისას ყურადღება ექცევა „დეკორატიულ“ — „გარეგნულ“ სქემას: მხრების მოხაზულობას (ნახატს), ნეკნების გამოყოფას (ყურადღების გამახვილებას გამოხატვისას). კუნთებს, თათებს, სახსრებს. ასეთია აღრეული სპარსული სტილის ფორმალური დამახასიათებელი ელემენტები²⁶. სტილისა. რომელშიც მცირე რამ ასირიული სტილისაგან ჩანს ნასესხები. ამასთანავე სავსებით წაშლილია არქაულისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ხსენებულ სტილს, როგორც ჟ. ბორდმანი აღნიშნავს, „ცივი სტილი“ ეწოდა.

დასავლეთში აღნიშნული სტილი პირამიდული საბეჭდავებით არის წარმოდგენილი. ამ საბეჭდავებზე უფრო აღვილია თვალის გაღვენება თუ რა ზომამდე შეიცვალა კრილა ქვების მხატვრული თავიებურებანი. ამის დადგენა, ძირითადად, სპარსულთემებიან ქვებისა და, აგრეთვე, დიდი ზომის სკარაბეოიდების მიხედვითაა შესაძლებელი. — დიდი ზომის სკარაბეოიდებში ჩანს „ცივი სტილის“ ბერძნულ ფორმასთან შერწყმა, რამაც ძვ. წ. V საუკუნისათვის ფართოდ იწყო გავრცელება.

საკარო სტილის სკარაბეოიდების ფორმები სტანდარტულია. — A და C ტიპისა²⁷. C ტიპის სკარაბეოიდებზე გვიან V საუკუნეში ჩმინდა ბერძნული სიუჟეტები ჩნდება²⁸.

მეორე დიდი ჯგუფი აერთიანებს ბერძნული სტილის გემებს. ბერძნული სტილის კრილა ქვები ის ძეგლებია, რომლებიც თავისი სტილით წმინდა ბერძნულია, ხოლო ფორმით და შინაარსით — აქემენიდური. იმ შემთხვევაში როცა სიუჟეტი ბერძნულია, ხსენებულ ნახელავს სხვა მსგავსება აქვს (ნათესაობა).

²⁶ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 306, შდრ. Richter, A History of Greek Art in Miniature, London, 1968, ტაბ. 488—494.

²⁷ A ტიპის სკარაბეოიდი ნორმალური ბერძნული ფორმის კრილა ქვას წარმოადგენს. რაც შეეხება C ტიპის სკარაბეოიდს — ისლიან მალალი, გუმბათისებრი ზურგი აქვს, რომელიც თავისი ზომით სამ ან ოთხჯერ აღემატება პირისა და ზურგის შემავრთებელ წახნავს. წახნავი ხშირად დაქანებული და მკათილ—მკეთრად გამოყვანილია.

აღმოსავლეთთან. მოხსენებული სტილის საბეჭდავები ბერძენ შპრელთა შემოქმედებას წარმოადგენს, დაახლოებით 500 წ. ძვ. წ. (ანდა ცოტა უფრო გვიანდელს) შესრულებულს²⁸.

სპარსული თემატიკა ბერძნულ სტილთან შერწყმულ სკარაბეოიდებზე, ზოგიერთ ცილანდრებსა და რიგ მრავალწახნაგა საბეჭდავებზე გვხვდება. ცნობილია აგრეთვე ბერძნულისა და სპარსული თემების გაერთიანება. რიგი შერეული თემებისა ძვ. წ. IV საუკუნის ბერძნულ საბეჭდავ-ბეჭდებთან პოულობს ახლო მსგავსებას²⁹. კვეთის სტილი და შენარულუბოზ ნანერა ბერძნულია. ეს განსაკუთრებით ცხოველთა სხეულების დამუშავებასა და გადმოცემაში ჩანს. სხეულის ანატომია დაძლეულია, — ოსტატის ყურადღება სწორედ აქეთვე არის მიმართული და გამახვილებული.

საბეჭდავების გარკვეული ჯგუფები სტილიზებულ მანერაშია შესრულებული, რითაც ისინი სპარსული სტილის ნახელავს უახლოვდებიან (სახელდობრ, ფორმალური ნახატთა და გვიანდელი არქაული ბერძნული გემებისათვის დამახასიათებელი დამუშავების მანერით).

მესამე ჯგუფში გაერთიანებულია შერეული სტილის გემა-საბეჭდავები. ამ კრილა ქვებზე შეიმჩნევა ბერძნული სტილისა, ხელმარჯვობისა და კრისმკოდნეობის აზარსებობა (უთანაობა). ამასთანავე თემატიკაში მრავალი ისეთი სიტუაცია, რომელიც,

²⁸ აქემენიდური თემები შემდეგია: მშუღღოსანი, ფრთოსანი ხარები, ფრთოსანი ხარები სპარსულ ტაპის ადამიანის თაყვით; რქოსანი ლომ-გრიფონები; ფრთოსანი ორმაგსახეულიანი სფინქსები სპარსული ტიარით შემკული და ა. შ. ოფიციალური დამწერლობა არამეულია. სპარსული იმპერიის ოფიციალური საბეჭდავები ფორმატივით ცილინდრიკი (და არა სახელურის საბეჭდავი).

²⁹ ბერძნული სტილის გემებს სავა მკვლევარებოც ეხებიან სპეციალურ ნაშრომებში (M. M a x i m o w a, Griechisch—persische Kleinkunst in Kleinasien nach den Perserkriegen, გვ. 648—678;—Т. Н. Книпович, დასახ. ნაშრ.; R i c h t e r დასახ. ნაშრ.; Н. Н и к у л и н а. К вопросу о «Восточногреческом» и «Греко-персидском» искусстве (по материалам глиптики V—IV вв. до н. э. ВДИ, 1969, стр. 106—108)—მაგრამ ჩვენ ამჟამად არ შეუძლებით ჩამოთვლილ გამოკვლევებში გამოთქმულ მოსაზრებათა ანალიზს.

²⁹ შდრ. B o a r d m a n, დასახ. ნაშრ. ტაბ. 861, 855; G. R i c h t e r, Greek Subjects on «Graeco-persian» Seal Stones, Archaeologica Orientalia in memoriam Ernest Hezziel, New York, 1952, გვ. 192—193, ტაბ. XXX, 1, 2; 9, 10.

როგორც ცნობილია, მხოლოდ ბერძნული ხელოვნებით უნდა ყოფილიყო შთაგონებული.

ტექნიკური მხარე, სახელობრ: ადამიანებისა თუ ცხოველთა ფიგურების ცალკეული ნაწილების დამუშავება შედარებით დაბალ დონეზეა შესრულებული. ნახელავის მიხედვით სხეულის მოდელირებისა და კიდურების (თათების, ფეხების) სუმარულად გადმოცემის ტენდენცია აშკარად ჩანს. ისიც აღსანიშნავია, რომ „მფრინავი ნავარდის“ მდგომარეობაში გამოხატული ცხოველების უმრავლესობა გახევებულ პოზაში არის წარმოდგენილი³⁰.

ოსტატებს შორის წარმოშობით ბერძნებიც იყვნენ და სპარსელებიც. რიგი მათგანი მაღალი რანგის მიმბაძველია (პირის გადამღები). ხშირად წარმოშობით არაბერძენ მკრელს შეეძლო გადმოელო (გაემეორებინა) ბერძნული თემა — ანდა ბერძნული დადგენილი ღორმების მიხედვით შეესრულებინა კვეთის გარკვეული ნაწილი; — გამოხატულებების ზოგიერთი დეტალი. ასეთია ზოგადად ის თავისებურება (ხასიათი), რომელიც დასავლეთ სპარსეთის იმპერიის ადგილობრივ სახელოსნოებს ახასიათებს³¹.

გადავდევართ საბეჭდავი-ბეჭდების განხილვაზე:

ყველაზე გავრცელებული ტიპი აქემენიდურ ბეჭდებს შორის პატარაფარაკიანი, წვრილრკალიანი ბეჭედია. ფარაკის ფორმა, ჩვეულებრივად, წაწვეტებულია ისევე, როგორც ბერძნული III ტიპის ბეჭდებისა³²; გვხვდება მრგვალი და ოვალური ფარაკებიც. რკალს, ხშირად, წახნაგები აქვს ხოლმე გამოყვანილი. ამ ტიპის ბეჭდებზე ყველაზე მრავლად ცხოველების გამოხატულებებია ამოჭრილი: ხარ-ირემი, ლომი, გრიფონი, ფრთოსანი ხარი; აქემენიდური არქიტექტურული დეტალი — კაპიტელი ზურგშეკეული ხარების გამოხატულებით. ხსენებული ტიპის ბეჭდები ყველაზე უკეთ ოქსუს განძითაა წარმოდგენილი³³.

³⁰ შღრ. Seyrig, Cachets achéménides, ტბ. XXXI;—Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 310; G. Richter, Catalogue of Engraved Gems Greek, Etruscan and Roman, Metropolitan Museum of Art, Roma, 1956;—Richter, A History of Greek Art in Miniature, ტბ. 497, 501.

³¹ იბ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 312.

³² ბეჭდის ტიპები ქ. ბორდმანის კლასიფიკაციის მიხედვით არის განსაზღვრული.

³³ იბ. O. Dalton, The Treasure of Oxus, London, 1926, გვ.; Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 217, 111.

კვიპროსის საბეჭდავ-ბეჭდებზე სპარსელი ქალის მოტივია ერთ-ერთი ძირითადი თემათაგანი³⁴.

რიგ მძიმე ბეჭდებზე, სახელდობრ — VII ტიპის ოვალურ-ფარაკებიან საბეჭდავებზე. უფრო მრავალფეროვანი სიუჟეტებია წარმოდგენილი. სპარსელი ქალის მოტივი კვლავ ხშირად არის გამოყენებული, მაგრამ იგი ან ზის, ან ყვავილები უჭირავს ხელში და ა. შ.³⁵. გავრცელებულია აგრეთვე მხედრის ირმებზე ნადირობის სცენა. ბეჭდებზე უმნიშვნელო რაოდენობით, საკარო სტილის საბეჭდავების სიუჟეტებიც აისახა. კერძოდ: გმირი ლომთან ერთად, გმირი სამეფო სფინქსთან ერთად³⁵.

ცხოველების გამოსახულებები: ლომი-ურჩხული და ფრთოსანი ხარები (შდრ. Boardman დასახ. ნაშრ., ტაბ. 993, 994) აღმოსავლური წარმოშობისაა.

ამ ჯგუფში შემავალი საუკეთესო ბეჭდების სტილი „რიგით“ საკარო სტილის გემებს ემსგავსება; მეორე ნაწილი — შერეული სტილისას. ყველაზე სრული და მდიდარი წყარო, აქემენიდური ბეჭდების ტიპებისა და თემატიკის გასარკვევად სპარსეთსა და მესოპოტამიაში მოპოვებული ანაბეჭდების დიდი ჯგუფებია. სახელდობრ — ურის სპარსულ სამარხებში აღმოჩენილი თიხის ანაბეჭდები. ამას გარდა: მთელი რიგი ლურსმულდამწერლობიანი ფირფიტები ნიპურიდან და თიხის ანაბეჭდების პატარა ჯგუფი პერსეპოლისის განძიდან³⁷. ყველაზე გვიანდელი ანაბეჭდები ნიპურიდან ძვ. წ. 404 წლით თარიღდება. ამათგან უდიდესი ნაწილი ბეჭდების ანაბეჭდებს წარმოადგენს. დასტურდება, რომ ხსენებულ ბეჭდებს წაწვეტებული, ოვალური ფარაკები ჰქონია.

ცალკეულ საბეჭდავებზე წმინდა აქემენიდური მოტივებია გამოხატული: სპარსელი გმირი, ურჩხულები; სცენები სხვადასხვა ცხოველების — ლომების, ხარების, ცხენების, ფრინველებისა და სხვათა მონაწილეობით.

³⁴ შდრ. სკარაბეოიდებზე გამოხატულ სპარსელი ქალის ტიპს.

³⁵ შდრ. Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. X, 1, 6, 10;—G. Lipold, Gemmen und Kameen der Altertums und der Neuzeit. Stuttgart, ტაბ. 65, 7;—G. Richter, Metropolitan Museum Catalogue, 11 გამოცემა;—H. Walters, Catalogue of the Engraved Gems Greek, Etruscan and Roman London, 1926, ტაბ. 35, 14.—Boardman, დასახ. ნაშრ., ტაბ. 990, 991, გვ. 217;—Richter: A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 503, 506—508.

³⁶ იხ. ოქსუს განძი.

³⁷ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 150, 222.

ერთ-ერთი საინტერესო თემათაგანი ამ ბეჭდებზე ადამიანისა და ცხოველის თავებისაგან შერწყმული გროტესკული გამოსახულებებია. ტიპი, რომელაც არქაოლ ბერძნულსა და ფინიკიურ გამებზედაც გვხვდება. მაგრამ აქ ჩვენ ერთგვარ ორიგინალურ გადაწყვეტილებასთან ვვაქვს საქმე. მოტივები ბერძნული შინაარსის მიხედვით არის ხშირად შეცვლილი და ჩართული აქვს ზოგიერთი დამატებითი სცენა ადგილობრივი და „შედგენილი გამოსახულებებით“, — როგორცაა: ამფორები, თასები, ცხოველები. ზოგიერთი ბერძნული სიუჟეტი ადგილობრივ პროვინციულ მანერაშია შესრულებული. მაგალითად, მფრინავი ნიკე, ჰერაკლე და ლომი, მეომრები და ა. შ.

რიგი პერსეპოლისის ანაბეჭდებისა უფრო გვიანდელ ხანასაც მიეკუთვნება (უფრო „ზუსტად — ყოფაში მეტ ხანს არიან შემონახული). მაგრამ მეტწილად სტილისა და წარწერების მიხედვით ისინი კარგად თარიღდებიან ძვ. წ. V საუკუნით და სინქრონულ ანაბეჭდებთან პოულობენ უშუალო მსგავსებას.

ბღრბენთა მოღვაწეობის შესახებ აღმოსავლეთში იმ მცირერიცხოვანი ბეჭდების მიხედვით, რომლებზედაც ბერძნული სიუჟეტებია ასახული, მკვლევარმა გარკვეული დასკვნები გამოიტანა. (Boardman დასახ. ნაშრ. გვ. 322).

სპარსეთის ახალ კარზე სარდში გადმოღებული იქნა აღმოსავლური ჩვეულება: საბეჭდავი ხმარებაში შემოვიდა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთში სპარსელებისათვის „ტერფარი“ — საბეჭდავები იკრებოდა და არა ცილინდრები³⁸. ჯ. ბორდმანის ვარაუდით ეს გაპრობებული იყო თვით საბეჭდავის მოყვანილობით, რაც აადვილებდა მისი სხვადასხვა ფუნქციით გამოყენებას.

როგორც ცნობილია, სახვითი ხელოვნების დარგები ლიდიასა და სხვა სახელმწიფოებში, სპარსეთის ბატონობის დროსაც, ბერძნების ხელში ანდა მთლიანად ელინიზირებული იყო. ე. ი. ელინიზირებულ პრაცესში ამ სახელმწიფოებში სპარსელებს მოსვლის შემდეგაც არ შენელებულა: მიუხედავად იმისა, რომ სპარსელებმა თან მოიტანეს ახალი იდეები და ახალი ფორმები.

³⁸ „ტერფარს“ ამჟერად პირობითად ვხარობთ „ხელმოსაყიდ“ საბეჭდავის აღსანიშნავად, ვიდრე სპეციალურ ტერმინს შევერჩევდეთ.

კვიპროსელი და იონიელი ბერძნები (ბერძნული არქაული პერიოდის ბოლო წლებში) სპარსეთის იმპერიის ბატონობის დროის ბეჭდებს მათთვის დამახასიათებელ სტილში კრიდნენ. — საკუთარი კვეთის ხელოვნების განვითარებას განაგრძობდნენ. გლიპტიკა (ქვასა თუ ლითონზე) ფინიკიური ქვაზე კრის ხელოვნების დიდი გავლენის ქვეშ ვითარდებოდა. დროდადრო მკრელები საბეჭდავებისათვის სპარსულ ფორმებს იყენებდნენ: პირამიდულ საბეჭდავს (ტიფარ-საბეჭდავს); და იგივე ფორმის საბეჭდავებზე არაორგინალურ საღმრთო გამოსახულებებს კრიდნენ ბერძნულ სტილში (ადგილობრივი გამოხატულებების თითქმის უცვლელ პირს უფრო წააგავდა).

ბ. წ. V საუკუნეში აღმოსავლურ-ბერძნული სახელოსნოები უპირატესობას, საბეჭდავთა ფორმებს შორის, სკარაბეოიდს აძლევენ³⁹. აღმოსავლურ-ბერძნულ სახელოსნოებში მოღვაწე მკრელები სკარაბეოიდებზე იწყებენ სხვადასხვა სცენებისა და ფიგურების ამოკვეთას. — ამ მიმართულებით ანვითარებენ თავიანთ ხელოვნებას, რაც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია ახალი კლასიკური გლიპტიკისათვის.

ჟ. ბორდმანი დასაშვებად მიიჩნევს, რომ სკარაბეოიდისადმი ინტერესი, როგორც საბეჭდავის ფორმისადმი, თვით სპარსეთში მოღვაწე სპარსელი ოსტატებისაგან მომდინარეობს. ამასთანავე იმასაც აღნიშნავს, რომ „ახალი“ სკარაბეოიდები არ წარმოადგენენ ძველი სპარსული სკარაბეოიდების ტიპებს, რომელთა „წარმოებას“ დიდი ტრადიცია ჰქონდა სპარსეთში და შემდგომაც უცხო გავლენის გარეშე ვითარდებოდა⁴⁰.

სპარსული ომების შემდეგ, ძვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედლიდან, სპარსეთის იმპერიაში არსებულმა მრავალმა აღმოსავლურმა სახელოსნომ საბეჭდავის ფორმად ბერძნული სკარაბეოიდი მიიღო. ამან, ერთგვარად, ხელი შეუწყო ბერძნული „ფორმების“ გავრცელებას.

აღსანიშნავია, რომ ახალი ტიპის სკარაბეოიდების ნაწილი სპარსულ საკარო სტილშია შესრულებული. — მრავალი მათგანი ბერძენი ოსტატების ნაკვეთია. ამათგან ზოგი სპარსულ თემებს წარ-

³⁹ იხ. R i c h t e r. The Late „Achaemenian“ or „Graeco-Persian“ Gems, — Maximowa, დასახ. ნაშრ., გვ. 654.

⁴⁰ იხ. B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, გვ. 323.

მოგვიდგენს. ამასთანავე სპარსელების მიერ დამარცხებული ბერძნების თემა ხშირადაა გამოყენებული.

ისევე როგორც აღმოსავლელი ქვის მკვრელები, ბერძენი ოსტატებიც ცისფერ ქალცედონს აძლევდნენ უპირატესობას. ხმარობდნენ: ღია ფერისა და თეთრ ქალცედონებსაც⁴¹. მკვრელები ძირითადად (ყოფაში) დიდი ზომის „ტლანქ“, ამოხუტულზურგიან C ტიპის სკარაბეოიდებს წერგავდნენ. არცერთი ამ თავისებურებათაგან არ ყოფილა გაბატონებული დამოუკიდებელი ბერძნული სტილის ნახელაჲში, დამოუკიდებელ ბერძნულ სკოლებში.

ბერძენი ოსტატები ისეთ თემატიკასა და მოტივებს არჩევდნენ საბეჭდავებისათვის, რომელიც სპარსელ მომხმარებლისათვის, კერძოდ — პროვინციულ დასავლურ სასახლეთა კარზე იქნებოდა მოსაწონი. იქ, სადაც საბეჭდავებს ფორმალური საჭიროებისათვის იყენებდნენ მოტივები ძირითადად საღმრთო და „სამეფო“ ხასიათისა იყო*.

ბერძენ მკვრელთა დიდი ჯგუფი, სპარსეთის იმპერიის არსებობის ბოლო ხანებამდე, კრიდა სპარსელებისათვის სკარბეოიდებსა და, იგივე რაოდენობით, ცილინდრებსაც (მიუხედავად იმისა, რომ ცილინდრის ფორმის საბეჭდავი დიდი მოწონებით აღარ სარგებლობდა).

ჯ. ბორდმანის აზრით, ბერძნულ-სპარსული გემების ერთი უდიდესი ნაწილი ზემოხსენებულ ბერძნების ნახელავს არ უნდა წარმოადგენდეს. და იმასაც ვარაუდობს, რომ ისინი ანატოლიის გარდა სხვაგანაც მოღვაწეობდნენ (Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 324)⁴². ერთ-ერთი ახალი ფორმათაგანი, კერძოდ, ტაბლოიდი, ანატოლიიდან უნდა იყოს შემოტანილი, უკეთ—იქიდან უნდა მომდინარეობდეს.

ახალი სახელოსნოები უპირატესობას აძლევდნენ ბრტყლად ნაკვეთ ზედაპირს (სკარაბეოიდებსა. პრიზმებსა და ტაბლოიდებზე). გემების კვეთის სტილი, დამუშავების მხრივ, უმეტესად ბერძნული ნიმუშების მიხედვითაა შესრულებული. ქვების მეტი წილი ზუსტად ბერძნულ ყაიდაზეა ამოჭრილი. — ეს არის ერთ-ერთი თვალ-

⁴¹ შდრ. Seyrig, დასახ. ნაშრ., გვ. 195; Richter, Metropolitan Museum Catalogue of Gems.

⁴² იქვე.

* სიახლე გლიპტიკაში საცხებით განსხვავებული ბერძნული ხელოვნების ხასიათში—მის რეალიზმსა და ბუნებრივი ფორმების ძიებაში კი არ მკლავნდება მხოლოდ, არამედ ახლად მოსული ბერძნების რეალურ გავლენაში—მათ მიერ შემოტანილ განვითარებული მაღალი დონით კვეთის ხელოვნებაში.

საჩინო, დამახასიათებელი ნიშანთაგანი ბერძნულ-სპარსული კრილა ქვების რიგისათვის. ამაში მდგომარეობს, ძირითადად, კვეთის ხასიათში შეტანილი ცვლილება და მისი გადახალისება.

სამშობლოში, ბერძენი ოსტატების მისწრაფება იყო კვეთისა და „ბურღვის“ ყველა კვალი დაფარულიყო; როცა ინტალიოს კვეთა დამთავრდებოდა — იგი უნდა „მოპირკეთებულიყო“. აღმოსავლეთი კი შეჩვეული იყო უფრო სწორხაზოვან კვეთასა და „ამობურღული“ სიღრმეების გამოყენებას (კრისას) ფიგურების შესასრულებლად. გამოსახვის ამკვარი ფორმებ-თ ნახელავი, რამდენადმე, ქვის რელიეფებს უკავშირდებოდა.

ბერძნული და არაბერძნული ნახელავის გასარკვევად, და ერთმანეთისაგან გასამიჯნად, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკის თავისებურებას უნდა გაეწიოს ანგარიში.

გემებზე უპირატესად ბერძნული სიუჟეტებია გადმოტანილი, რომელთაგან მეტი ყურადღება ცხოველთა გამოხატულებების შესწავლასა და მათი შესრულების სრულყოფილად ათვისებას აქვს დათმობილი. ბერძენი ოსტატები საკუთრივ სპარსელების პორტრეტების პირებსაც იღებდნენ კრილა ქვებსა და საბეჭდავებზე. აღმოსავლური სამონადირეო სცენებიც ერთი გავრცელებული თემათაგანია.—მაგრამ რამდენადმე შეზღუდული სახითაა წარმოდგენილი: ერთი მონადირე მხედარი, ერთი საშოვარი მსხვერპლი და, ზოგჯერ, ერთი ძალი (მდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 324).

ორი ცხოველის ერთმანეთთან შებრძოლების თემა ბერძნებმა აღმოსავლეთიდან ისესხეს¹³, მიუხედავად ამისა, ხსენებული ჯგუფის გემებზე ამ მოტივის ბერძნული ვერსიაა წარმოდგენილი. ბერძნულია თვით მტაცებლის ტიპიც (ეხება ეს ლომსა თუ გრიფონს). მკრელთა რეპერტუარში ახალი ცხოველები ჩნდება: ჰიენა, ღათვი, მელა, ირმის სხვადასხვა ჯიშები, რომლებიც ან სულ არ იყო ბერძენ ოსტატების მიერ თემატიკაში გათვალისწინებული, ანდა ძალიან იშვიათ გამოჩენის შესაძლებლობა ჰქონდა.

აღგილობრივმა მკრელებმა შეითვისეს ზოგი რამ, რაც ბერძნული სტილისა და შესრულების მანერისთვისაა დამახასიათებელი. სახელდობრ, ფიგურათა კომპოზიციის საკითხში. დაეუფლნენ ცხოველის თავის სამი მეოთხედით მობრუნებულ მდგომარეობაში გად-

¹³ იხ. R i c h t e r, A History of Greek Art in Miniature, გვ. 107.

მოცემას, იმ შემთხვევაში, როცა მხედარი მკაცრ პროფილშია გამოხატული. ოსტატების მთავარი მისწრაფება, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობდა, რომ თემატიკაში გარკვეული „სტაბილურობა“ დაემკვიდრებინათ (ცალკეულ ფიგურებსა თუ კომპოზიციებში). ამის თვალსაჩინო მაგალითს „მფრინავე ნავარდისას“ გამოხატული ცხოველები წარმოადგენს.

საუკეთესო ოსტატებმა იმდენად კარგად შეისწავლეს სხეულთა ანატომია, რომ დაეუფლენ კუნთების, კიდეებისა და მყესების ბერძნების მსგავსად შესრულებას. მიუხედავად ამისა, საერთო ტენდენცია მიმართული იყო სხეულთა მოდელირების შემცირებისაკენ⁴⁴. ამიტომაც მათ მიერ შესრულებული სხეულები გლუვი და არაშეტყველი⁴⁵. ზოგი ოსტატთაგანი სპარსული საკარო სტილის ბუნებისაგან იღებდა პირებს. — ისეთ ნიმუშებისაგან, რომლებიც თვალსაჩინო იყო. ამ მასალებს შორის საუკეთესო ნახელავი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად მარჯვედაა ერთმანეთთან შეხამებული სუფთა ფორმალური ნიშნები (პოზა, ნახატის ნიმუში თუ სხეულის ანატომია) კომპოზიციის თავისუფლად, დამოუკიდებლად გადმოცემასთან. — იმასთან, რაც ბერძნების შთაგონებითა და მონაწილეობით დაინერგა გლიპტიკაში სპარსეთის იმპერიაში.

საკარო სტილის პირამიდული საბეჭდავების უმრავლესობა სარდიდან წარმოსდგება, ხოლო გარკვეული რაოდენობა — ანატოლიის სხვა ქალაქებსა და ბერძნული კუნძულებიდან⁴⁶ და ამას გარდა—სირიის, ფინიკიისა და ეგვიპტის ზოგიერთი ქალაქიდან. რაც შეეხება სკარაბეოიდებსა და სხვა მსგავსი სტილის გემებს, მათ ბევრი აქვთ საერთო ბერძნულთან (ბევრია ნახესხები და გადმოღებული)⁴⁷.



აქემენიდური ჯგუფის (უკეთ—სერიის) საბეჭდავებისა და ცილინდრების დათარიღება გარკვეულ სიძნელესთან არის დაკავშირებული

⁴⁴ იხ. Boardman, დასახ., ნაშრ., გვ. 325.

⁴⁵ სახსრები და თათები მთლიანად პატარა „ამოღარული“ ბურთულებისაგან არის ხოლმე შედგენილი (ანაბეჭდზე ბურთულების სახით გამოსული).

⁴⁶ იხ. Boardman, დასახ., ნაშრ., გვ. 325.

⁴⁷ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად, სადაც შშინდა ბერძნული—კლასიკური კრილა ქეები კეთდებოდა პელოპონესი, განსაკუთრებით კი სპარტა, ითვლება. ეს ეხება საბერძნეთში სპარტას გაბატონების შემდგომ პერიოდს.

ბული. ხსენებული ნივთების წლოვანების დადგენას ხელს უწყობს პერსეპოლისის გვიან VI და V საუკუნის I ნახევრით დათარიღებული ანაბექტდები. პერსეპოლისის ანაბექტდებმა მასცა საშუალება ჯ. ბორდმანს, ხსენებული ქრონოლოგიური მონაკვეთით დათარიღებული გემებისა და საბექდავებისათვის არქაული საკარო სტილის ბექტდები თუ კრილა ქვები ეწოდებინა. მკვლევარის აზრით, ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდნენ ანატოლიაში მოპოვებული პირამიდული საბექდავების უმრავლესობაც. რაც შეეხება სკარაბებს — ისინი ბერძნულ ნახელავს ენათესავენ, ნათ შორის ყველაზე ადრეული ნიმუშები ძვ. წ. V საუკ. მეორე მეოთხედით თარიღდება. ზოგი მათგანი კლასიკური საკარო სტილისა და ბერძნული სტილის ჯგუფებს მიეკუთვნება⁴⁸.

მერეული სტილის კრილა ქვების უმეტესი ნაწილი, ყველაზე ტიპური ბერძნულ-სპარსულ გემებს შორის, ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრითა და ადრე IV ს. თარიღდება⁴⁹. როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოველთა ანატომია ისე იქნა ათვისებული და შესწავლილი, რომ ამ მხრივ ნახელავი შეიძლება შედარდეს საუკეთესო ბერძნული სკოლის ნიმუშებს. ხოლო ჯ. ბორდმანის აზრით, „თვით დექსამენეს „შთამომავალთა“ — მისი ტრადიციების გამგრძელებელ ოსტატთა ნახელავს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯ. ბორდმანი გამოთქმული აქვს მოსაზრება ოფიციალური საბექდავის ტიპის შესახებ. — იგი ოფიციალურ საბექდავად ცილინდრს მიიჩნევს.

როგორც ცნობილია, სპარსეთის იმპერიაში, გარდა გლიპტიკისა, მხატვრული ხელოვნობის სხვა დარგებიც იყო განვითარებული: ლითონის ნაწარმი, ოქრომჭედლობა. სკულპტურა; ხელოსნები — ოქრომჭედლები, ქვისმჭედლები, მკიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული და მათ მიერ შესრულებული ნახელავი იმდენად თვალსაჩინოდ ენათესავენ ერთმანეთს, რომ ზოგი მკვლევარის აზრით, ერთი წარწომობის ოსტატების მიერ შესრულებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამ მხრივ საფლავის ქვების რელიეფური სკულპტურაა აღსანიშნავი. კერძოდ, დასკილეიონის წრის სტილი სპარსული სიუჟეტებით, რომლებიც შესრულების ბერძნული მანერით გამოირჩევა.

⁴⁸ იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 326.

⁴⁹ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 326.

ხსენებული სტელების გარდა, ანატოლიის სხვა ნაწილებიდან, ისევე როგორც ეგვიპტიდან, ცნობილია ისეთი რელიეფები, რომლებიც იგივე სტილის ნახელავს მიეკუთვნება და შინაარსობრივადც მსგავსია.

იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მონეტებს შორისაც. სპარსული მონეტების—დარიებისა და Sigloi შედარებითი ქრონოლოგია არ არის საბოლოოდ გარკვეული. მიუხედავად ამისა შეიძლება მათი მიკუთვნება ადრეული ტიპების არქაული ბერძნული სტილის ჯგუფისადმი ამ ჯგუფთან ახლო ნათესაობის გამო. ამთგან გვიანდელი ნიმუშები—მეფეების თავების გამოხატულებით—რეალისტურ, კლასიკურ ბერძნულ მანერაშია შესრულებული. მრავალი ბერძნული ნახელავი და ტიპი, რომელიც სპარსეთის იმპერიაში იყო გავრცელებული, ბერძნულ ტიპებს იმეორებდა და ზოგიერთი მათგანი ბერძენი ოსტატების შემოქმედების ე. წ. განშტოებას წარმოადგენდა.

მრავალი ნივთი, განსაკუთრებით ისეთი, რომელზედაც სპარსული თემატიკა იყო ასახული, ადგილობრივი ოსტატების მიერ იყო შექმნილი. — იმ ოსტატებისა, რომლებიც ბერძნულ ნიმუშებს ბაძავდნენ — უფრო ზუსტად: მიჰყვებოდნენ ბერძნულ მიმართულებას ისევე, როგორც ეს გემების კვეთის ხელოვნებაში ზორციელდებოდა..

ბექდებზე წარმოდგენილი თემებიდან კვლავ, ძირითადად, ხარი (ლიკია) და „კომბინირებული“ — „შერწყმული“ თავებია. ეს მოტივი. როგორც ჯ. ბორდმანი ვარაუდობს, ფინიკიაში ჩაისახა, უპირველეს ყოვლისა მონეტებზე⁵⁰.

მკვლევარ ჯ. ბორდმანს რაჟულად დასადგენ საკითხად მიიჩნია იმისი გარკვევა, თუ სახელდობრ სად მდებარეობდა ბერძნულ-სპარსული გემების საკრელი სახელოსნოები. გავრცელების არისა და სტილის მიხედვით მათი ადგილსამყოფელი, ჯ. ბორდმანის აზრით, ანატოლია უნდა ყოფილიყო. მაგრამ იგი ვარაუდით გამოსთქვამს და შესაძლებლად მიიჩნევს სხვა დამოუკიდებელი სახელოსნოების არსებობასაც სამხრეთის ელინიზირებულ სამეფოებში — კარიასა, ლიკიასა, კილიკიაში⁵¹.

⁵⁰ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 326.

⁵¹ აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ლიდიასა და ფრიგიასში, ცილინდრები და აღმოსავლური ფორმის საბექდაეები სარგებლობდა მოწონებით. აღსანიშნავია: ლიდიური წარწერები მხოლოდ საბექდაეებზეა (Stamp) წარმოდგენილი მონაპოვართა შორის.

როგორც დავინახეთ, სპარსეთის იმპერიის ხანაში სპარსული გლიპტიკა, სახელდობრ, სკოლებისა და სახელოსნოების დიდი ნაწილი, როგორც აღმოსავლეთ ოლქებში, ისევე დასავლეთში, ბერძნების უშუალო მონაწილეობით, მათი დაულალავი მეცადინეობის შედეგად ვითარდებოდა.

ამასთანავე, ბუნებრივია, ადგილობრივი — დამოუკიდებელი თუ „წმინდა“ აქემენიდური ნახელავიც თანაარსებობდა. — ადგილობრივი, სპარსელი, მკრელებიც ავითარებდნენ მხატვრული ხელოსნობის ამ მეტად რთულსა და ფაქიზ დარგს, მაგრამ წამყვანი როლი, უნდა ვიფიქროთ, ბერძნებს ჰქონიათ დაკისრებული.



ჩვენ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ აქემენიდური ხანის ბეჭდებს შორის (რომელთაგან მეტი წილი გამოქვეყნებული გვაქვს: ძველი საქართველოს გლიპტიკური კორპუსი, I), გვინდა ერთმანეთისაგან გამოვყოთ სხვადასხვა მიმდინარეობების სტილისა თუ სკოლების გავლენით შექმნილი ძეგლები. — გავარკვიოთ ძველი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ადგილობრივი მკრელები რომელ სკოლებსა თუ მიმდინარეობებს ანიჭებდნენ უპირატესობას. ხოლო, რაც უფრო მნიშვნელოვანია, თვით დამკვეთი როგორი მოთხოვნებისა იყო; როგორია მხატვრული გემოვნება საზოგადოებისა. — რომელი სტილია გაბატონებული სახვით ხელოვნებაში.

ამ მიზნით პირველ რიგში ყანჩაეთ-საძეგურისა, კამარახევისა, ღრმახევისთავისა, ასურეთისა, არღისუბნისა და წალკა-ალგეთის სამარხებსა და შემთხვევით მოპოვებულ საბეჭდავ-ბეჭდებს ვახვიხილავთ⁵².

გადავდივართ ნივთების ანალიზზე: ფარაკიანი ბეჭდების ჯგუფი, რომელიც ჩვენ მიერ აქემენიდური ხანის ადგილობრივ ნახელავადაა მიჩნეული, ძვირფასი ლითონებისა და ბრინჯაოსაგან არის

არამული—ცილინდრებსა და, სპარსეთის იმპერიის დროს, საბეჭდავებზედაც (Stamp). იხ. B o a r d m a n, დასახ. ნაშრ., გვ. 327.

⁵² არღისუბნის, ასურეთის, ყანჩაეთის, ღრმახევისთავის ბეჭდები დღემდე ჩვენ მიერ არ დამუშავებულა; საძეგური, წალკა, კამარახევი—გამოცემული გვაქვს. იხ. ჩვენი კორპუსი, I, გვ. 43—45, 87—92.

გაკეთებული. ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები საძეგურ-ყანჩაეთსა და წალკა-ალგეთშია მოპოვებული; ბრინჯაოსი: კამარახევსა, ღრმახევისთავსა და ასურეთში. ძვირფასი ლითონის ბეჭდები, განსაკუთრებით ოქროსი, ნახელავის მხრივაც — მხატვრობის თვალსაზრისით — გამოირჩევიან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველა ცალკეული საბეჭდავი გარკვეული ინდივიდუალურობით ხასიათდება, თუ შესრულების დონით არა — შინაარსობრივად მაინც.

ხსენებული საბეჭდავების ერთ ჯგუფს, სახელდობრ საძეგურში აღმოჩენილ ბეჭდებს (ე. წ. ახალგორის განძი იგულისხმება), ჩვენ სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომ პირთა კუთვნილებად წარვიჩნევთ⁵³. ასევე მაღალი ფენის წარმომადგენლის ნიშნები უნდა ყოფილიყო ყანჩაეთის ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდები, რომლებიც კომპლექსში ოქროს ბეჭდებთან ერთად ყოფილან მოპოვებული⁵⁴. იგივე კატეგორიას ვაკუთვნებთ ჩვენ წალკა-ალგეთის ვერცხლის საბეჭდავ-ბეჭდებსაც.

ყანჩაეთ-საძეგურისა და წალკა-ალგეთის საბეჭდავი-ბეჭდები, როგორც ცნობილია, რკალგახსნილია, ოვალური ან მრგვალი ფარაკებით. ზოგ რკალს პირი-პირზე აქვს გადასული. ბეჭდები დიდი ზომისანი არიან, ამასთანავე მსუბუქი, რადგან რკალი აქვთ წვრილი, ხოლო ფარაკი არც თუ თხელი, მაგრამ შემსუბუქებული მოყვანილობისა. რაც შეეხება კამარახევის ბეჭედს — მძიმეა, რკალ-შეკრული, ოვალურფარაკიანი. მხრებში გაფართოებულ რკალს წახნაგები დაჰყვება. — ბეჭედი ქვევითკენ ოდნავ ჩამოგრძელებულია. ბეჭდის აღწერილი ტიპი ანტიკურ სამყაროში ძვ. წ. V საუკუნეშია გავრცელებული⁵⁵ (ეს ფორმა აქემენიდური ხანის სპარსეთის იმპერიაშიც შევიდა მოდამი).

რკალგახსნილ ბეჭედს ჩვენ ლითონის საბეჭდავი-ბეჭდის ადგილობრივ ტიპად მივიჩნევთ. უკეთ—ფარაკიანი ბეჭდის ახალ სახესხვაობად, რომელიც ძველი საქართველოს ერთ-ერთ სახელოსნოში (შესაძლოა სახელოსნოებში) შემუშავდა⁵⁶.

⁵³ იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 43.

⁵⁴ ცნობა ამის შესახებ არქეოლოგ ი. გავოშიძისათვის კ. ტატუნაშვილს, სოფ. ყანჩაეთის მკვიდრს (მას, რომელიც სამარხს წაწყდომია), მიუწოდებია. იხ. ი. გავოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 13.

⁵⁵ იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 45.

⁵⁶ რკალგახსნილი ბეჭდები ჩვენში ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება (იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი, I, გვ. 47).

1. ს ა კ მ გ უ რ ი

(ე. წ. ახალგორის განძი)

1908 წელს, სოფ. საძეგურთან, შემთხვევით აღმოჩენილ ე. წ. ახალგორის განძში¹, მრავლად წარმოდგენილ ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნახელავს შორის ოთხი კრილფარაჯიანი ბეჭედიღა შესული სამარხეულ ინვენტარში. აქედან ორი ბეჭედი ოქროსაგან არის გაკეთებული, ორი — ვერცხლისაა. როგორც აღვნიშნეთ, ყველა ბეჭედი რკალჯა:ხსნილი და დიდფარაჯიანია; ზომით დიდი და მსუბუქი.

თემატიკა საბეჭდაფთათვის ცხოველთა სამყაროდან არის შერჩეული: მითიური (ფანტასტური) სამყაროდან და რეალურიდან.

სტილისა და კვეთის თავისებურება განსხვავებული, ზოგ შემთხვევაში ორგინალურია. შესრულების დონე (ნახატი, კვეთა, ბეჭდის ფორმა თუ ნაკეთობა) საბეჭდავი-ბეჭდის გამკეთებელთა ოსტატობაზე მეტყველებს². მათ სრულყოფილ ტექნიკაზე ისიც მიუთითებს, რომ ისინი თავისუფლად ფლობენ კვეთის რთულ ჩვევებს, სარგებლობენ საკვეთი იარაღის სხვდასხვა სახით³. სახელდობრ: ბრინჯაოს ნემსით, მომრგვალებულწვერიანი და სწორკუთხოვანწვერიანი; წამახული საჭრისით, მომრგვალებულპირიანი „დანით“, gouge-ს მსგავსი საჭრისით⁴.

¹ იხ. Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тбилиси, 1934;—
Е. С. Такайшвили, Археологические путешествия, разыскания и заметки. Известия Кавказского отделения императорского московского Археологического общества. В. IV, Тб., 1915, გვ. 139—146.

² იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი, I, გვ. 43—44.

³ იქვე.

⁴ იქვე.

გამოხატულება, როგორც წესი, მკაფიოდ არის ნაკვეთი. არა-
ლრმად; — თითქმის ბრტყელი კვეთით. ოსტატის მისწრაფებაა გა-
მოხატულებით შეავსოს ფარაკის მთელი პირი, კიდიდან-კიდემდე.
საერთო სტილში ერთგვარი მანერულობა შეიძინევა.

1. ი ნ ვ. 862. — საბექდავი-ბექედი, ღია ყვითელი ფერის
ოქროსაგან გაკეთებულნი⁵. ბექედი დიდი ზომისაა; ოვალური და
ბრტყელი ფარაკი აქვს, საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან გამოჭედი-
ლი. — წვრილი და მრგვალი პირხსნილი (პირი-პირზე გადასული
ბოლოებით) რკალი (ტაბ. V, სურ. 1).

ფარაკის პირზე მითიური ფრთოსანი, სინკრეტული, ცხოველია
გამოხატული, პროფილში მარცხნივ, შიშვეალი. სინკრეტულ არსე-
ბას მრგვალი მოყვანილობის თავი, მაღალი კისერი, პატარა ცხვირ-
პირი (თუ დრუნჩი), აცქვეტილი ყურები და ხაზგასმით დიდი ზო-
მის თვალი აქვს. წაგრძელებული, ერთი შეხედვით, მოქნილი სხე-
ული ისეა შევიწროებული, რომ წელთან გადაწყვეტილს ჰგავს.
გულ-მკერდი და გავა თითქოს მხოლოდ ფრთის საშუალებითაა და-
კავშირებული და სხეულის „დამოუკიდებელ“ — ცალკე ნაწილებს
წარმოადგენს. გრძელი კიდურები სწორხაზოვნად — სქემატურად
არის გადმოცემული, ხოლო ბრტყალ-თათები — რკალებითა და ხა-
ზებით (ხაზგასასმელია, რომ წინა ფეხებზე სახსრები აღნიშნული
არ არის). ღონიერი, თავისკენ გადმოხრილი ფრთა ორადაა მთელ
სიგრძეზე გაყოფილი. — ნაკრტენი ირიბი ხაზებითაა აღნიშნული.
ზევით აპრეხილ, წვრილ კუდს S-სებური სპირალივით ხაზი გამო-
ხატავს.

ფრთოსანი ცხოველის სხეული რელიეფური წერტილებითაა და-
კრელებული (დედანზე „ამოდარულა“ წერტილებია. — ამგვარი ხერ-
ხით გადმოსცა მკრელმა „არსების“ ტყავი და ბალანი)⁶. — თავს დაკ-
ბილული გვირგვინი, „ციდარა“ (cidaris), უმკობს. გულ-მკერდის
გასწვრივ, სხივებიანი ვარდულის სახით, დიდი მნათობია გამოხა-
ტულა — მზის სიმბოლო.

⁵ ბექდის დაწვრილებითი აღწერილობა იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორ-
პუსი I, გვ. 87—88.

⁶ ტაქნიკა შტრ. ქობულეთ-ფიქვენარში აღმოჩენილ საბექდავ-ბექედს (სააღაპო
მოედანი. ბერძენ მოახალშენთა სამაროვანი) იხ. ჩვენი, კოლხეთის ძვ. წ. V—III
სს. საბექდავი-ბექედები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი), გვ.
22—27.

აღსანიშნავია: „ამოღრმავებული წესით“ გამოხატულ დიდი ზომის თვალის კაკალს რელიეფური ხაზი აქვს შემოვლებული. მითიური არსების კისერს სადა და ვიწრო საყელო ამკობს. (ტაბ. I, 1; სურ. 1.).

მთელი გამოხატულება უსიცოცხლო და მშრალია; პოზა გახევებული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ, თითქმის ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ტ ე ქ ნ ი კ ა: კვეთა ხელით არის შესრულებული, არალრმა და მკაფიოა. ხასიათდებნა გარკვეული სქემატურობითა (კიდურები) და, შეიძლება ითქვას ზოგიერთი სუმარულობითაც (იხ. თავი). მაგრამ მოუხედავად ამ-სა მაღალი დონის ნახელავად მივიჩნევთ. — შართალია, სხეულის ანატომია ერთგვარად დარღვეულია (წინა კიდურები არ არის ორგანულად დაკავშირებული სხეულთან; ფეხები არ არის სკულპტურულად დამუშავებული; სხეული ყოველგვარი მოდელირების გარეშეა შესრულებული), მაგრამ მკრელის მტკიცე, გაბედული ხელი, საჭრისების მრავლად გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ ოსტატი საბეჭდავთა კვეთის რთულ ტექნიკას კარგად ფლობს.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ბალანის — ტყავის შესრულების ტექნიკა⁷. ჩვენ თავიდანვე ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ თითქოს მკრელს ფორეჭდაყრილი — ლაქებიანი — ტყავის გადმოცემა სურდა და ამ სახით დააქრელა ფანტასტური ცხოველის სხეული.

აქემენიდური ხანისა და იმავე წარმოშობის მასალებს შორის ანალოგიური ტექნიკით შესრულებული გამოხატულებები — არ გვეგულება. სინქრონული ძეგლებიდან ცხოველთა ტყავისა და ბალანის ამგვარად გადმოცემის ტექნიკა, ჩვენთვის მხოლოდ კლასიკური ხანის ბერძნულ სახელოსნოებიდან გამოსული საბეჭდავი-ბეჭდების მიხედვითაა ცნობილი⁸. აგრეთვე: არქაული ხანის ბერძნული სკარაბეოიდების სახით⁹.

⁷ ჩვენ ამ მხრივ ყურადღება ადრევე გავამახვილეთ, იხ. ჩვენი, კორპუსი, I, 33. 88.

⁸ შლრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 694, 680; — Richter, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 347; — Marshall, Finger Rings, ტაბ. 11, 44.

⁹ შლრ. J. Boardman, Archaic Greek Gems. Schools and Artists in

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ საბეჭდავთაგან ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანით დათარიღებული, ფიჭვნარში აღმოჩენილი ვერცხლის ინტალიო-ბეჭედი ფორეჯიანი ირმის გამოხატულებით. — რომელსაც ჩვენ დასავლურ-ბერძნულ სახელოსნოს ვუკავშირებთ თავის წარმოშობით¹⁰.

ბალანის გადმოსაცემად ოსტატს წამაღული საჭრისი აქვს გამოყენებული, ხოლო bouterolle-ისებრი: თვალის, უკანა ფეხების სახსრების, მნათობის სხივთა შორის მოთავსებული ბირთვებისა და კულის ბოლოსათვის.

ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, „პოლირების“ მანერა. — არსება ჩამუქებულია (და თითქოს რამდენადმე მომწვანო ელფერიც კი გადაჰკრავს), ფონი ძალიან გაპრიალებულია, რაც მკვეთრად გამოპყოფს გამოხატულებას ფარაკისაგან.



სურ. 1, 2

ბეჭდის რკალი წვრილ რკალს — ღეროს წარმოადგენს, რომელზედაც ოქროს თხელი ფირფიტაა შემოქედილი. — პირი-პირთან მისული ნაწიბური, რკალის შიდაპირზე საკმაოდ მკაფიოდ ჩანს. „ნაკერავეი“ ოსტატს არ მოუპირკეთებია.

the Sixth and Early Fifth Centuries B C. London, 1968, ტაბ. XXIX, 411 (ლომის ფაფარი ანალოგიურ მანერაშია შესრულებული); XXX, 419 (ირმის ტყავი); XXI V, 518 (ცხერის ტყავი).

¹⁰ იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კოლხეთის ძვ. წ. V—III სს საბეჭდავი-ბეჭდები, გვ. 22—23.

პირდაპირი ანალოგიები საქმეების აღწერილ ბეჭედზე გამოხატულ არსებას, ვერც ადრე და ვერც ამჟამად, ვერ შევეუბრით. „კორპუსში“ იგი პირობითად „გრიფონად“ განვსაზღვრეთ, ძვ. წ. V საუკუნით დავათარიღეთ და, განსხვავებული სტილისტური თავისებურებების გამო (შედარებითი ანალიზზე დაყრდნობით) ადგილობრივ ნახელავად მივიჩნიეთ¹¹.

უპირველეს ყოვლისა ყურადღება, ამჟერად, არსების თავის მოყვანილობასა და დრუნჩისა თუ ცხვირ-პირის აგებულებას უნდა მივაქციოთ. ამასთანავე: სხეულის აღნაგობასა და თათებს ბრჭყალებითურთ.—ტორსის მოყვანილობა და ფეხები ურჩხულს ლომისა აქვს (შდრ. Boardman, Archaic Greek Gems, ტაბ. IV, 54;—M.—L. Volleneider, Catalogue Raisonné des sceaux cylindres et intailles, I, Genève, 1967, ტაბ. 41, 5. (—აქემენიდური ხანის საბეჭდავი ძვ. წ. VI საუკ.)¹². თათები ბასრი, ხაზგასმით მორკალული ბრჭყალებით უბოლოვდება, რითაც ფრინველის „თითებს“ უფრო ჰგავს ვიდრე მხეცისას¹³. თავი კობტა და მრგვალი აქვს: პირ-ტუჩი პატარა, მომრგვალებულკონტურიანი, უნისკარტო და, ერთი შეხედვით, არამტაცებლური (რაც იმას მოწმობს, რომ ურჩხული, ამ შემთხვევაში, გრიფონს არ წარმოგვიდგენს). რაც შეეხება არსების კისერს—სხეულის ამ ნაწილის აღნაგობა ბერძნულ არქაული ხანის სკარაბეოიდებზე გამოხატულ ზოგიერთ სფინქსთან პოულობს ახლო მსგავსებას (შდრ. Boardman, Archaic Greek Gems, XI, 164, 165). ასევე სფინქსებთან პოულობს ახლო მსგავსებას ურჩხულის თავის აღნაგობა (ცვლავ Boardman,—შდრ., დასახ. ნაშრ., I, 24; VIII, 110; XI, 123); ტუჩ-ცხვირი, თვალი.

ამრიგად,—შედარებითი ანალიზის შედეგად ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ საქმეების ბეჭედზე გამოხატული არსება სფინქსად განვსაზღვროთ¹⁴. იმას, რომ საქმეების სფინქს თავზე დაკბილული გვირგვინი cidaris-ი ადგია, ჩვენ შემდეგ ახსნას ვაძლეეთ: ოსტატს,

¹¹ იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი, I, გვ. 43—45, 48, 87—88.

¹² აღნაგობის მიხედვით, ჩვენი საბეჭდავის ურჩხული ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს მ. ვოლენეიდერის მიერ გამოცემულ აქემენიდური ხანის ძვ. წ. VI საუკ. II ნახევრის ცილინდრზე ამოკრილ გრიფონთან. მკვლევარი ხსენებულ საბეჭდავს ბერძნული სტილის გავლენით შექმნილ ნახელავად მიიჩნევს.

¹³ ურჩხულის გრიფონად (?) განსაზღვრა, რამდენადმე, ბრჭყალების მოყვანილობამაც გვაუარაულებინა.

¹⁴ შდრ. Richter, A History of Greek Art in Miniature, 27, 168, 358—359.

როგორც ჩანს, ნიმუშად აქემენიდურ ძეგლებზე გავრცელებული სფინქსის ტიპი გამოუყენებია (შდრ.—M.—L. Vollenweider, დასახ. ნაშრ., ტაბ. 41, 6—9)¹⁵.

როგორც შედარებითი ანალიზიდან ჩანს, ჩვენი საბეჭდავის მკრელი სპარსული საკარო სტილის გავლენას განიცდიდა.—მის ნახელავში აშკარაა ბერძნული გლიპტიკის ელემენტებიც (შდრ. სფინქსის ტყავი ჯ. ბორდმანის მიერ გამოცემულ—Archaic Greek Gems—ში სკარაბეებსა და სკარაბეოიდებზე გამოხატულ სფინქსების გულმკერდს: ტაბ. IX, 122, 123; და განსაკუთრებით ძვ. წ. V საუკ. სკარაბეოიდი—ტაბ. XVI, 251). თ ვ ა ლ ი ს გადმოცემის მანერა შდრ. „ჯ. ბორდმანისეულ“ სკარაბეოიდებზე გამოხატულ სხვადასხვა ურჩხულთა თვალებს: ტაბ. XVI, 251 (გრიფონი); IX, 123 (სფინქსი) და ა. შ. კ უ ლ ი—შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ. 24, 123, 124, 126, 164, 157, 155, 251 არქაულ სკარაბეებსა და სკარაბეოიდებზე გამოხატულ სფინქსებს. აგრეთვე აქემენიდურ კრილა ქვებზე (შდრ. Vollenweider, დასახ. ნაშრ., ტაბ. 41, 6—9).

საძეგურის ზემოხსენებული საბეჭდავი-ბეჭედი კვლავ შესწავლის პროცესშია. მიუხედავად ამისა, ამჟამადაც შესაძლებელი ხდება ნახელავი გარკვეულ სკოლასა თუ მიმდინარეობას მივაკუთვნოთ. — უფრო ზუსტად: ჩვენი ვარაუდით მკრელი-ოსტატი იმ სკოლის მიმდევარი უნდა ყოფილიყო, რომელიც სპარსულ საკარო სტილს ავითარებდა.

2. ი ნ ვ. 861. — საბეჭდავი-ბეჭედი ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული, დიდი ზომისა¹⁶. ბეჭედი რკალგახსნილია, ქვევითკენ ჩამოგრძელებული; მრგვალი მოყვანილობის ბრტყელი და დიდი ფარაკი აქვს; ოთხწახნაგა, ფართან შებრტყელებული და ოდნავ გაფართოებული რკალი (რკალს პირი პირთან აქვს მისული; კრილში კვადრატის მონახულობისაა). როგორც ჩანს, რკალის „ღერო“ — „შუაგული“ სხვა ლითონისაგან უნდა იყოს გაკეთებული, ზოლო ოქროს ფირფიტა მისი გარსაკრავია, — ზედა აქვს შემოჭე-

¹⁵ ქალცედონის სკარაბეოიდზე, რომელიც აქემენიდურადაა მიჩნეული. ორი გვირგვინოსანი სფინქსია გამოხატული. შ. ვოლენვეიდერი საბეჭდავს გარდამავალი პერიოდის—არქაულიდან კლასიკურში—ნახელავად, სახელდობრ ძვ. წ. 480—460 წწ. საზღვრავს.

¹⁶ ბეჭედი გამოცემული გვაქვს, ობ. შ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 88—89, ტაბ. V, 47; Я. П. Смирнов, დასახ. ნაშრ., ტაბ. X.

დილი (— ასეთი შთაბეჭდილება რკალის გახსნილი ადგილის მიხედვით გვრჩება) (ტაბ. V, სურ. 2).

ფარაკის პირზე მითიური არსება — ურჩხულია ამოკრილი. — ერთმანეთთან შერწყმულია ფრთოსანი ლომის სხეული და არწივის ნისკარტიანი ფრინველის თავი. სინკრეტული არსება გრიფონს წარმოადგენს, ძლიერი ფრთით, ღონიერი კისრით, უჩვეულოდ მაღალი ფაფარით. დინჯად მიმავალი გრიფონი. პროფილში მარჯვნივ არის გამოხატული; თავ-კისერი მოუბრუნებია და უკან იყურება, ზევით აწეული კუდი S-სებურადაა დაკლავნალი. მოკლე კიდურები დიდი თათებით ბოლოვდება.

მთელი გამოხატულება მეტად თავისებური—განსხვავებული მანერითაა შესრულებული. — თავი ორ ერთმანეთისაგან თითქოსდა დამოუკიდებელი ნაწილისაგან არის შედგენილი: ნისკარტისაგან, რომელიც უშუალოდ კისერთანაა ორგანულად დაკავშირებული, და ბირთვისებრი „სფეროთი“ გამოხატული თავის ქალისა. — თავზე მხოლოდ თვალია მინიშნებული, შუაგულში, მოზრდილი გულამოღებული წერტილით. გრძელი კისერი, სხეულთან შედარებით არაპროპორციულად სქელი და ფართო ბალნითაა დაფარული. ბალანი ორი წყება მოკლე-მოკლე ჰორიზონტალური ხაზების რიგითაა აღნიშნული; კისრის ზედა ნაწილზე კი—იკანკლედური ხაზით, რომელსაც შეერთების ადგილას, ზედა წვეროვებთან, თითო პაწია ბირთვი (თუ რელიეფური წერტილი) ამკობს. — მკვეთრი კონტურებით შემოფარგლული დიდი ფრთის ძირი, თითქოსდა, ფერდებზე ზევიდან „მაშაგრებული“ და არა სხეულთან შეზრდილი, ზურგის მიმართულებით მკვეთრადაა გახრილი (ჰორიზონტალურად, თითქმის სხეულს ეხება); გავასთან მომრგვალებული და წვერმოხრილია. ნაკრტენი მოკლე ხაზების ერთი წყებითაა გადმოცემული (შეუღლი, ჰორიზონტალური და ცერად დაქანებული—ფრთის მდგომარეობასთან შეფარდებით)—შიდა მხარეს, ფრთის მთელ სიგრძეზე. ნაკრტენს ერთი მკვეთრი ზოლი გასდევს. — ნეკნები რელიეფური რკალებითაა გადმოცემული და კონისებურად იყრის თავს ერთ წერტილში. — კუდი „სეგმენტირებულია“. მცირე ზომის „ბირთვებისაგან“ შედგენილი თათები ხაზგასმით არის გამოხატული (ტაბ. I, 2).

გამოხატულებით ფარაკის მთელი პირია შევსებული, ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა.

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამოხატულება ხელით—საქრისით არის ამოჭრილი მკაფიოდ, არაღრმად და ბრტყელი კვეთით. მიუხედავად კვეთის სტრალის სქემატურობისა და გარკვეული სუმარულობისა, ნახელავი კარგად შესრულებულ ინტალიოდ გვაქვს მიჩნეული.—ოსტატი გაბედულად ქრის და საჭიროებისდა მიხედვით საქრისების სხვადასხვა სახეს იყენებს (bouterolle-ს, bouterolle-ისებრ საქრისს, ბრინჯაოს ნემსს, მომრგვალებულპირიან საქრისს).

გრიფონის სხეული ყოველგვარი მოდელირების გარეშეა შესრულებული და თითქმის ერთი დონის რელიეფითაა გადმოცემული. — ცალკე ფორმებს შორის გრადაცია არ არსებობს. თვალში-საცემია ფიგურის დისპროპორციულობა, სახელდობრ: კისერი თავისი სისქე-სიგანით აღემატება ტორსის მოცულობას.

გამოხატულება მშრალია, სიცოცხლეს მოკლებული — ამას ჩვენ სტილისა და კვეთის თავისებურებას ვაწერთ და არა ოსტატის ხელთუმარჯვობას.

ეფექტურად აქვს გადაწყვეტილი ოსტატს გაპრიალების საკითხი. — გამოხატულება მკრელს ჩაუმუქებია, განსაკუთრებით: თავ-ნისკარტი, ფრთა, გავა და ბრჭყალები. ფარაკის პირი გაუპრიალებია, რითაც მკვეთრად გამოძყო და ფონი შეუქმნა გამოხატულებას.



გრიფონის ტიპი, სტილისტურადაც და ჩანაფიქრითაც განსხვავდება როგორც ანტიკურ ძეგლებზე გავრცელებულ თანადროულ გამოხატულებებისგან¹⁷, ასევე სპარსეთის იმპერიის ხანის ძეგლებზე გავრცელებულ ანალოგიურ ურჩხულებისაგან¹⁸. ერთადერ-

შ ე ნ ი შ ე ნ ის ს ა ხ ი თ: გრიფონის სახე აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ქვეყნებში, ფართოდ შევიდა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ვაზათმხატვრობა, ტორეტიკა, ოქრომკედლობა, კედლის მხატვრობა, არქიტექტურა, სკულპტურა, გლიპტიკა, ნემიზმატიკა) ოსტატთა და მხატვართა რეპერტუარში.

¹⁷ შლრ. Boardman, *Archaic Greek Gems*, 252, 464, 468; — Vollenweider, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. 83, 1—5; Furtwängler, *Antiken Gemmen* ტაბ. 11, 29; Richter, *A History of Greek Art in Miniature*.

¹⁸ შლრ. Vollenweider, *დასახ. ნაშრ.*, 40, 6; U. Pope, *A Survey of Persian Art*, IV, New York—London, 1938—1939.

თი პირდაპირი ანალოგია საძეგურის გრიფონს¹⁹ წალკა-ალგეთის სამარხში მოპოვებულ ვერცხლის საბეჭდავ-ბეჭდებზე ეძებნება¹⁹ (ტაბ. I, 8).

საძეგურის გრიფონის სტილი მანერულობით გამოირჩევა. — ნიშანი, რომელიც მას საკარო სტილის წრის ნახელავთან აკავშირებს. ჯერჯერობით ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით განვსაზღვროთ, თუ სახელდობრ რომელ ნიმუშინარეობის სახელოსნო აკოლას ეკუთვნოდა ჩვენი საბეჭდავის მჭრელი. მაგრამ ჩვენთვის ამჟამადაც ნათელია, რომ იგი სპარსული საკარო სტილის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.

ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ საკითხის შესწავლას. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი თქმულების მოტანაც საჭიროდ მივიჩნით:

როგორც ცნობილია, ხსენებული ურჩხულის—გრიფონის—სახე აღმოსავლური წარმოშობისაა²⁰. ბერძნულ თქმულებათა მიხედვით, გრიფონი (Γρυφών) მითიური ფრინველია, არწივის ნისკარტითა და ძლიერი ფრთებით შემოსილი, ლომის სხეულთან შერწყმული²¹. იგი აპოლონისადმია მიძღვნილი (ხელთდასხმული), იცავს განძეულობას სკეითის უდაბნოებსა და ჰიბერბორელების ქვეყნებში არიმასპების თავდასხმებისაგან.

ზოგიერთი ავტორი მათ ადგილსამყოფელს ეთიოპელებსა და ინდოეთს უკავშირებს. — გრიფონები დიონისესთანაც არიან დაკავშირებული, რომლისთვისაც, თქმულებების თანახმად, ღვინით სავსე კასრებს დარაჯობდნენ.

გვიანდელი მითების მიხედვით, ჩრდილო ინდოეთის უდაბნოებში, ისინი ოქროს მაძიებლებს უწევდნენ წინააღმდეგობას ხან იმის გამო, რომ მათ დაკისრებული ჰქონდათ ლათონის დაცვა, ზოგჯერ კი — ვინაიდან თავიანთ ბუდეებს გრიფონები მთებში იკეთებდნენ, იქ, სადაც საბადო იყო — თავიანთი „ბარტყების“ დაცვა სურდათ მაძიებლებისაგან²².

¹⁹ დაწვრილებითი აღწერილობა ალგეთის ბეჭდისა იხ. გვ. 54—57. შტრ. აგრეთვე: B o a r d m a n, Archaic Finger Rings, ტაბ. 7, M 18; P 9.

²⁰ იხ. D. O s b o r n e, Engraved Gems, New York, 1920, გვ. 250.

²¹ იხ. P. G r i m a l, Dictionnaire de la Mythologie Grecque et Romaine, Paris, 1951, § Griffon, გვ. 169 b.

²² იხ. G r i m a l, დასაბ. ნაშრ., იქვე.

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

ზომები: სიმაღლე—23 მმ, დიამეტრი—18 მმ, ფარაკის დიამ.—18 მმ.

3. ი ნ ვ. 57. — საბეჭდავი-ბეჭედი, ვერცხლისაგან გაკეთებული, დიდი ზომისა²³ (ფრაგმენტულია), ქვევითკენ ჩამოგრძელებული უნდა ყოფილიყო²⁴. ოვალურ-მრგვალი მოყვანილობის დიდი, ბრტყელი ფარაკი აქვს: მრგვალი, ფარაკთან შებრტყელებული და უმნიშვნელოდ გაფართოებული წვრილი რკალი. სავარაუდებელია, რომ ბეჭედი რკალგახსნილი იყო; — იმავე ტიპისა, როგორც ამავე განძიდან წარმომდგარი საბეჭდავი-ბეჭდები (ტაბ. V, სურ. 3).

პირზე ფრთოსანი ურჩხული — გრიფონია გამონახტული, პროფილში მარცხნივ, მიმავალი. გრიფონს თავი მოუბრუნებია — უკან იყურება; ურჩხულის თავი სუმა რულადაა გადმოცემული — მხოლოდ დიდი ნისკარტია ხაზგასმით გამოყოფილი; თვალი ძლივს შესამჩნევი წერტილითაა აღნიშნული. კისერი გრიფონს დაბალი და სქელი აქვს; ტორსის წინა ნაწილი (გულშეკერდიდან წელაძდე) მძიმე და მოუქნელი. სქემატურად გადმოცემული კიდურები არათანაზომიერია: — წინა თათები ძალიან მოკლეა. თითქმის შვეულად ამართული ვიწრო ფრთა ბოლოში გაფართოებული და ოდნავ მომრგვალებულია; გრძელი კუდი ზევით აქვს აპრეხილი.

სხეულის ნაწილი, სახელდობრ, გულშეკერდი, კისერი, ზურგი და ნაწილობრივ მუცელი დაფორეკებულია უწესრიგოდ გაბნეული, მოგრძო, რელიეფური წერტილებით. აღნიშნული წერტილებით ოსტატმა ურჩხულის ტყავი გამოხატა (შდრ. სფინქსის ტყავს, გამ. 1) ფრთის ნაკრტენი ჰორიზონტალური ხაზების წყებით არის გადმოცემული (ტაბ. I, 3; სურ. 3).

გამონახტულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამონახტულება ხელითაა ამოჭრილი, არალრმად და ბრტყელი კვეთით; თითქმის ერთ სიბრტყეში. ნახელავი სქემატური და ნაწილობრივ სუმარული შესრულებით ხასიათდება. — შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია. — გრიფონის სხეული მოდელირების გარეშეა შესრულებული. ურჩხულის სხეული მძიმე პროპორციებით გამოირჩევა. ერთიანად უსიცოცხლო და გახვეებულია. მიუხედავად ამისა აშკარად ჩანს მჭრელის გაბედული ხე-


²³ ბეჭედი გამოცემული გვაქვს, იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 90—91, ტაბ. V. 49. Я. И. Смирнов, Ахалгоринский клад, Тип.-ис. 1934. ტაბ. X, 27.

²⁴ ბეჭედი ჩვენამდე ნაკლები სახით მოაღწია: რკალის ქვედა ნაწილი 1/3-დაკარგულია.

ლი; საკრელი იარაღიც რამდენიმე აქვს ნახმარი: ბრინჯაოს ნემსი, წამახული და ფართოპირიანი საკრისები.

ბეკდის რკალი ისევე უნდა იყოს გაკეთებული, როგორც ოქროს საბეკდავისა გრიფონის გამოხატულებით: სხვა ლითონის ღეროზე ვერცხლის თხელი ფირფიტაა შემოკედილი („ნაკერავი“ რკალს გარედანაც და შიდაპირზედაც ეტყობა).

საერთო სტილი მანერულობით ხასიათდება, მაგრამ ოქროს ბეკდებზე ამოჭრილ გამოხატულებებთან შედარებით, უფრო სუსტადაა გამოვლენილი.



სურ. 3, 4.

4. ი ნ ვ. 58. — საბეკდავი-ბეკედი, ვერცხლისაგან გაკეთებული²⁵. დიდი ზომის ოვალურ-მრგვალი ფარავი ბრტყელია, ლითონის თხელი ფირფიტებისაგან გამოკედილი, რკალი ვიწრო და შებრტყელებული აქვს (ტაბ. VI, სურ. 4).

პირზე რქოსანი ცხოველია გამოხატული, პროფილში მარცხნივ, მიმავალი. რქოსანს მძიმე სხეული აქვს, მოკლე კიდურები; სუმა-რულად გადმოცემული თავი და დრუნჩი ვიწრო და წაგრძელებული. ზევით აზიდული, გახრილი, დიდი რქა თითქმის თავის სიგანისაა. გრძელი ყური აცქვეტილი აქვს. მოკლე და სქელი კუდი — აპრეხილი (ტაბ. II; სურ. 4).

დაცულობა: ვერცხლი რეკრისტალიზებულია. ბეკედი სამად არის გატეხილი—ნაკლულია.

ზომები: ბეკდის დიამეტრი—17 მმ, ინტალიოს სიგრძე—20 მმ, განი—18 მმ

²⁵ ბეკედი გამოცემულია, იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 89—90, ტაბ. V, 48; Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრ., X, 28.

რქის მოყვანილობისა და კულის მიხედვით ცხოველი გარეულ თხას უნდა წარმოადგენდეს. — სხეულის ფორმები. დაუმუშავებელია, ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული (თავი უშუალოდ გადადის ფართო კისერ-გულმკერდში. ტორსის წინა ნაწილი შეუმჩნეველი ღარითაა გამოყოფილი ფერდებისაგან).

მოძრაობა უსიცოცხლოა — თხა გახევეული დგას.

ტექნიკა: გამოხატულება ბრტყელი კვეთით არის შესრულებული, საკმაოდ ტლანქად და სქემატურად. მჭრელს მთავარი ყურადღება გამოხატულების გარეგანი კონტურისთვის მიუქცევია და სხვა მხრივ ნახატი არ დაუმუშავებია. — დიდი მოცულობის მცირედ ამოღრმავებული სიღრმეების ამოჭრით დაკმაყოფილდა თხის სხეულის გამოსახატავად.

საჭრისის კვალის მოპირკეთება მჭრელს აღარ უცდია (იხ. კიდურები, ღრუნჩი, რქები, ფერდები); საჭრისი აცდენილიც ჩანს.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ფარაკის პირს, ანაბეჭდზე ძალიან დაბალ, ბრტყელ რელიეფს იძლევა.

შესრულების მხრივ აღწერილი ინტალიო, განსხვავდება ყველა წინამოხსენებულ საბეჭდავისაგან. — შედარებით დაბალი დონის ნახელავია, მაგრამ საერთო სტილში მაინც შესამჩნევია გარეული ერთიანობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მჭრელი, მიუხედავად კვეთის ტლანქი მანერისა, ფლობს ჭრის ტექნიკას და გაბედულად ხმარობს იარაღს.

გარეული თხის გამოსახულებები, როგორც ცნობილია, ფართოდ არის გავრცელებული გლიპტიკურ ძეგლებზე უძველესი ხანიდან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც ხშირად გამოყენებული თემათაგანია. თუმცა პირდაპირ ანალოგიას ჩვენ დღემდე ვერ მივაკვლიეთ. — განსაკუთრებით სტილისტურს.

ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ მუშაობას საბეჭდავზე.

2. ყ ა ნ რ ა ე თ ი

სოფ. ყანჩაეთთან („ნიშივაკეზე“, ქსნის ხეობა), 1960 წლის ზაფხულში. შემთხვევით აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის მდიდარი სამარხი. მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარი ვერცხლისა და ოქროს კრილაფარაკიან ბეჭდებსაც შეიცავდა. ამათგან ჩვენი კვლევის საგნად მხოლოდ ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდებია ქცეული. რადგან ოქროს ბეჭდებს, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ნივთს, მუზეუმებამდე არ მოუღწევია (იხ. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 4—13).

1. საბეჭდავი-ბეჭედი, ვერცხლისა. — მრგვალი მოყვანილობის ფარაკი ვიწრო, ქვევითკენ ჩამოგრძელებულ რკალში გადადის. უშუალოდ ფარაკთან რკალი ფართოა, შემდეგ, ძლივს შესამჩნევად, თანდათან ვიწროვდება. — ყველაზე წვრილი ნაწილი ქვედაა (განსხვავება ზომაში თითქმის 2 მმ-შია).

ბეჭედი რკალგახსნილია; რკალს პირი-პირთან აქვს მისული. თვით რკალი შებრტყელებულია, გლუვზედაპირიანი, მომრგვალებული კონტურებით. — შიდაპირზე, ზედა ნაწილში, ცალ მხარეს, მკრთალად გამოყვანილი წახნაგი დაჰყვება¹.

ფარაკი საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული.

¹ როგორც ჩანს, ხსენებული წახნაგი შემთხვევით არის გამოსული, რადგან რკალის საპირისპირო მხარე ბრტყელია. ამას გარდა—უშუალოდ წახნაგთან რკალს „ნაკერავი“ ეტყობა.

და ც უ ლ ო ბ ა: რკალი ქვედა ნაწილში გატეხილია. ლითონი კარგად არის შენახული.

ზომები: ბეჭდის სიმაღლე—25 მმ, დიამ.—19 მმ, ფარაკის დიამ.—20 მმ, სისქე—2 მმ, რკალის განი—5—3 მმ.

— ოდნავ ასიმეტრულია და ამის გამო ერთი შეხედვით თითქოს ოვალური—მრგვალი ინტალიოს შთაბეჭდილებას ახდენს.

პირზე გამოხატულია რქიანი ცხენი. პროფილში მარცხნივ. ცხენის ზურგს ზემოთ ფრინველია მოთავსებული, წინა და უკანა ფეხებს შორის მნათობი (ისეთივე, როგორც საძეგურის ოქროს საბეჭდავზეა), — რვასხივიანი რგოლის სახით. ცხენი თავდახრილია. ყურააქვეტილი; გრძელი, წვრილი ხაზით გადმოცემული ძუა ჩაშვებული აქვს. თვალი მაღალი ბირთვისებრი რგოლითაა გამოხატული. გუგა გულამოღებული წერტილითაა მინიშნებული. წაგრძელებული დრუნჩი ბირთვისებრი მოყვანილობის დაუნაწევრებელ ნესტოებში გადადის. ცხენს წინა ფეხები მოკლე აქვს; გაშვებული: უკანა სახსრებში მოხრილი და შედარებით გრძელი. ჩლიქები ოდნავ შესამჩნევი კდეებით არის აღნიშნული (ტაბ. II, 5; სურ. 5).

თავისებურად — ორგინალურად არის გადმოცემული ცხენის ფაფარი და ბალანი: თავიდან მოყოლებული გავამდე (კისერი, გულმკერდი, ფერდები, ზურგი) სხეული ჰორიზონტალური, რელიეფური ხაზების დიდი წყებით არის გადასერილი. ეს ჰორიზონტალური ხაზები, თვალიდან მუცლამდე წვრილი მორკალური ხაზითაა გადაჭრილი ისე, რომ ფაფარს ცალკე გამოჰყოფს. ჰორიზონტალური ხაზების წყებით გულმკერდსა, მუცელსა და კისერზე ბალანია მინიშნებული. მეორე წყება — ნეკნებს უნდა აღნიშნავდეს. შვეული ხაზი ამავე დროს გულმკერდს მუცლისაგან გამოჰყოფს.

ფრინველის ოჯახის დადგენა ძნელია, რადგან იგი, ისევე როგორც ცხენი, ძალიან სტილიზებულია. — მოკლე. სქელ კისერში ჩამჯდარი პატარა თავი აქვს; ფართო და მოკლე ბოლო, მოხრილი წვრილი ნისკარტი, ბასრბრჭყალებიანი წვრილი ფეხები. თვალი რელიეფური წერტილებითაა გადმოცემული. მსგავსი წერტილების გაბნეული რიგითაა გამოხატული ბუმბულიც. ნაკრტენი — ჰორიზონტალური — პარალელური რელიეფური ზოლების წყებით (შდრ. ცხენის ბალანს).

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამოხატულება არაღრმად, მაგრამ ძალიან მკაფიოდ არის ამოკრილი. ზუსტი ხელით შესრულებული „ბრტყლად ნაკვეთი“ ნახელავია. კარგი და სუფთა ნამუშევარია.

ოსტატი კარგად ფლობს ინტალიოთა კვეთის ტექნიკას,—იყენებს, ძირითადად, სამი სახის საჭრის: ბრინჯაოს ნემსს, მომრგვალებულპირიანსა და bouterolle—ისებრს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ

ცხოველის ფიგურა, ისევე როგორც ფრინველის სხეული, ყოველგვარი მოდელირების გარეშეა შესრულებული.

— კვეთა სუმარულ ხასიათს ატარებს. ცხოველის მთელი ტორსი ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული (რელიეფის ყოველგვარი გრადაციის გარეშე): თავ-კისერი, გულმკერდი, გავა ერთი სიმაღლის უსაზღვროდ ბრტყელი „რელიეფითა“ გადმოცემული. ასევეა შესრულებული ფრინველის გამოხატულება.

როგორც ჩანს, თავის დროზე ფარაკის პირი გაპრიალებული უნდა ყოფილიყო. გამოხატულების ნაწილი, სახელდობრ ცხენის გულმკერდი, კისერი და ფერდები ნაწილობრივ პრიალებდა. — გამოხატულების შტრიხოვანი ნაწილი მქრქალია². მქრქალია აგრეთვე: ფრინველი და მზის სხივები.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე ძალიან დაბალ და მეტად ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ზემოსხენებული მოტივი. უფრო ზუსტად კომპოზიცია — იმ განსხვავებით, რომ ცხენს ირემის ფიგურა ცვლის, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების მიხედვითაა ცნობილი. კერძოდ: ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავებით: სოხთადან, ლოქინიდან (იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I. გვ. 116, 117, ტაბ. VI, 98, 99; — მარგ. ლორთქიფანიძე, გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერიული პირები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მომამბე“, № 6, თბ., 1963, გვ. 139—140). მოტივი ძველ საქართველოში ძვ. წ. VII—VI საუკუნის ბრინჯაოს ბალთებზე იჩენს თავს³.

ფრინველის გამოხატულება შდრ. Boardman, Archaic Greek Gems, ტაბ. XXVI, 344 (ძვ. წ. VI საუკ. მიწურული. სტეატიტის სკარაბეოიდა. ჯ. ბორდმანი ფრინველს იხვად განსაზღვრავს იხ. გვ. 115).

საკიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ სირო-კაპადოკიურ საბეჭდავზე ცხენის გამოხატულებას, იბერიული მრავალწახნაგა საბეჭდავების მსგავსად, ირემი ცვლის (შდრ. L. Delaporte, Catalogue des cylindres, cachets et pierres gravées de style oriental, Musée du Louvre, II, Aquisitions, Paris, 1923, ტაბ. 103

² „შტრიხოვანი“ ნაწილს, ჯერჯერობით, პირობითად ეუწოდებთ გულმკერდას და ფერდებზე ამოკრილ სწორ ხაზებს, რომლითაც მქრქელს ბალანი უნდა აქონდეს გადმოცემული.

³ იხ. ზემო რაკის ბრინჯაოს ბალთები (შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1944, გვ. 48; — გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, ტაბ. XI, XX)

A (1065, 1066). ამას გარდა—ხსენებული სიუჟეტი ძვ. წ. IV ათასწლეულის ირანულ საბეჭდავებზეა წარმოდგენილი. აღნიშნული საბეჭდავები გეომეტრიულ სტილშია შესრულებული. მ.—ლ. ვოლენვეიდერი საბეჭდავებზე ამოკრილ სცენას შემდეგ ახსნას აძლევს: ფრინველი, რომელიც ფურირემს მისდევს, მიმინია⁴.

ჩვენ არ შეუვდგებით ჯერჯერობით ი. გაგომიძის მიერ მოცემული ინტერპრეტაციის განხილვას, რადგან პირველ რიგში საჭიროდ მიგვაჩნია აღმოსავლური მითის ორი ურჩხულის — დღისა და ღამის — შესახებ საფუძვლიანი შესწავლა⁵.

დამახასიათებელი ნიშანი სტილისა მანერულობაა.



სურ. 5, 6

2. ფარაკი-ინტალიო, საბეჭდავი-ბეჭდისა, ვერცხლი. ბეჭდისა-საგან მხოლოდ ოვალური მოყვანილობის, საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან გაკეთებული ფარაკია დარჩენილი. როგორც ჩანს, რკალი ვიწრო და ბრტყელი უნდა ყოფილიყო. — ფარაკთან შემორჩენილი უმნიშვნელო ფრაგმენტის მიხედვით (მისი სიგანე 5 მმ-ია)⁶.

ფარაკი ბრტყელია. პირზე გამოხატულია ცხენზე ამხედრებუ-

⁴ იხ. Vollenweider, Catalogue Raisonné გვ. 18, ტაბ., 4,1—3, — შდრ., Richter, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 11 (ნაწილობრივ კომპოზიცია).

⁵ იხ. Le Comte Du Mensil du Buisson, Le Mythe oriental des deux Géants du Jour et de la Nuit, Archaeologia Iranica In Honorem R. Ghirshman, Ir. Ant. VIII; გვ. 1—33, Leiden, 1970.

⁶ დაცულობა: ლითონი პატინის ფენით არის აქა-იქ დაფარული; პირი ამის გამო მკერდ დაზიანებულია კიდევ.

ზოგბეობი: ფარაკის სიგრძე—21 მმ, განი—19 მმ, სისქე—2 მმ, რკალის უღიდესი სიგანე—5 მმ.

ლი შუბოსანი მამაკაცის ფიგურა, ცხენი პროფილში მარცხნივ არის მოცემული, რქოსანია. მხედრის ფორსის ზედა ნაწილი ზურგიდან ჩანს, თავი და ფეხები — პროფილში (ტაბ. II, 6).

ცხენის თავის მოყვანილობა ურჩხულისას—გრიფონისას უფრო ჰგავს, ვიდრე ცხოველისას. „დრუნჩი“ ისე აქვს წაწვეტებული და წაგრძელებული, რომ ფრინველის ნისკარტადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული (შდრ. ახალგორის ვერცხლის ბეჭედსა და ალგეთის გრიფონებს). ფაფარიც ყალუზე უდგას და „ახალგორულ“ მანერაშია გადმოცემული (შდრ. ურჩხულის ფაფარს). ფართო კისერი უშუალოდ, ყოველგვარი გრადაციის გარეშე, გადადის გულმკერდში. ასევე დაუნაწევრებელი და დაუმუშავებელია მთელი ტორსის შინაგანი ნახატი. გავა მკვეთრად არის შემოფარგლული მომრგვალებული კონტურით (შდრ. ბერძნულ არქაულ სკარაბეებზე წარმოდგენილ ლომებისა და სფინქსების გამოხატულებათა სერიას. იხ. Boardman, Archai Greek Gems, 110, 164, 403, განსაკუთრებით 591). ფეხები ცხენს შეუსაბამოდ წერილი აქვს, სქემატური ხაზებით გადმოცემული. მარჯვენა წინა ფეხი აუწევია—თითქოს ადგილიდან დასაძვრელად მომზადებულია. ჩლიქები მკრთალადაა აღნიშნული. თვალი დიდი ზომის გულამოღებული—რელიეფური წერტილითაა გამოხატული. თავი კისრისაგან ორი პარალელური მორკალული ზოლითაა გამოყოფილი.

პირუტყვის სხეულზე, კისრიდან მოყოლებული ფერღებამდე, ლაქები აქვს დაყრილი: მოგრძო რელიეფური წერტილების სახით. (შდრ. საძვეურის სფინქსის ტყავსა და ვერცხლის ბეჭედზე ამოჭრილი გრიფონის ბეწვს). ცხენისათვის ოსტატს კუდის მობმა დაეწყება.

შუბოსანის პოზა მეტად არაბუნებრივია იმიტათვის, რომ იგი ცხენზე ამხედრებულად მივიჩნით. — ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება თითქოს შუბოსანი ცხენს მარცხენა გვერდიდან უდგას (მაყურებლისათვის ცხენი პირველ პლანზეა მოთავსებული, მხედარი — მეორეზე). ადამიანის მუხლებში მოხრილი ორივე ფეხი ცხენს იქით ჩანს. შუბოსნისა და ცხენის ფეხებიც გახრილ ჩხირებს უფრო ჰგავს, ვიდრე ცოცხალ არსებათა კიდურებს. ჩლიქები და შუბოსნის ტერფები ერთნაირადაა გადმოცემული; ოსტატი არ ასხვავებს ადამიანისა და პირუტყვის კიდურებს (ტაბ. II, 6; სურ. 6).

მხედრის თავი იმდენად სუმარულადაა შესრულებული, რომ სახის ნაკვთების ერთმანეთისაგან გამოყოფა ჭირს. — ცხვირი უშუალოდ კეფისა და თხემის ძელის გაგრძელებას წარმოადგენს;

პირი პირობითად არის მინიშნებული. — თვალს დიდი ზომის რელიეფური რგოლი გამოხატავს. მოკლე ნიკაპი მკვეთრადაა შემოფარგლული, ამიტომ წაწვეტებული და მძიმე იერი აქვს.

თავზე შუბოსანს უცნაური თარგის თავსაბურავი ხურავს, შუბლთან მარყუჟით გაკრული, კეფაზე შემოკრული. მხედარს არაპროპორციულად მოკლე ხელები აქვს. — იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი, სამი თითით. ცხენის ფაფარისათვის წაუვლია. მარჯვენა ხელი ნახატზე არ ჩანს, — ჩანაფიჭრით, ეტყობა შუბი უნდა სჭეროდან, მის ნაცვლად, პირობითად, ხელის მტევანია (ცვლავ სამი თითით) აღნიშნული წელთან. შუბი ისეა დახრილი, რომ მისი სამკუთხა პირი ცხენის მუხლისთავს ეხება.

მხედარს მოკლე, ნაოქმიყრილი კაბა აცვია, რომლის გაშლილი კალთები ცხენის ზურგზეა გადმოფენილი. ცხენი უბელო უნდა იყოს. მხედარს ზურგზე კაპარკი უნდა ჰქონდეს მოკიდებული.

მხედარს უკან, შუბისპირის ქვეშ, რვასხივიანი მნათობია გამოხატული. — სხივთა კონით გარშემორტყმული რგოლი.

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამოხატულება არალრმად, მაგრამ მკაფიოდ არის ამოჭრილი. სუფთა და გაბედული ხელით შესრულებული ნახელავი სიფაქიზით არ გამოირჩევა. — ერთიანად პრიმიტიული იერი აქვს.

კვეთა ბრტყელია. — მთელი გამოხატულება თითქმის ერთნაირი სიღრმითაა ნაკვეთი. — ხასიათდება ფორმათა სუმარული შესრულებით (საერთო სუმარული კვეთით, უფრო ზუსტად) და უაღრესი სქემატიზმით. თვალში საცემია აგრეთვე მკრელის არცოდნა ადამიანის სხეულის ანატომიისა. ასევე სუსტად აქვს შეთვისებული მას ცხოველის ტორსის ანატომიური მხარეც. — ორივე ფიგურა, ადამიანისაც და პირუტყვისაც ყოველგვარი მოდელირების გარეშეა შესრულებული. თითქოს ადამიანის გულმკერდი რალაცნაირად გამოყოფილია, მაგრამ იქაც ყოველგვარი ანატომიური ნორმები დარღვეულია⁷.

მკრელს ძირითადად ნახმარი აქვს ორი საჭრისი: წამახულა წვერითა და მომრგვალებულპირიანი, აგრეთვე ბრინჯაოს ნემსი. ფონი გაპრიალებული ყოფილა. ბეჭედს ხანგრძლივი ტარების კვალი ეტყობა, პირი გაცვეთია.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ფარაკის პირს, ანაბეჭდზე

⁷ ამის შესახებ აღწერილობაში გვაქვს დაწვრილებით საუბარი.

დაბალ, ბრტყელ რელიეფს იძლევა. ყველაზე მაღალ „რელიეფში“ ცხენის თავის ის ნაწილია შესრულებული, რომელზედაც თვალი და თვალის ფოსოა მოქცეული.

ჩვენთვის მსგავსი თემა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბეჭდების მიხედვითაა ცნობილი: წალკის, ალგეთის სამარხში მოპოვებული ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდისა (ინვ. 776, საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტი)⁸ და დედატოსის ოქროს საბეჭდავისა. მაგრამ ჯერ თავს ვიკავებთ ყანჩაეთის სცენის განსაზღვრისაგან, რადგან ჩვენ ხელთ არსებული მასალები საქმარისად არ მიგვაჩნია. ამასთან დაკავშირებით, ვიდრე ჩვენ თვითონ გარკვეულ დასკვნამდე არ მივალთ, არც ი. გაგოშიძის მოსაზრების განხილვას შევუდგებით.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის, რომ გამოხატულება უსიციოცხლო, გახევებულია და ამასთანავე თავისთავადი და მიმზიდველი. — მიმზიდველი თავისი განსხვავებული სტილით. — მანერით. რომელიც ყანჩაეთ-საძეგურის საბეჭდავ-ბეჭდებს ერთ წრეში აერთიანებს.

ამავე სამარხში აღმოჩენილი ბეჭდის ინტალიოსთან შედარებით, განხილული საბეჭდავი ნაკლებად დახელოვნებული მკრელის ნახელავი ჩანს. ეს, სახელდობრ, კიდურების შესრულებაში მკლავნდობა: აღმიანისა და ცხენის ფეხებს შორის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განსხვავება არ ჩანს — ჯოხების სახით, დაუდევრადაა ამოჭრილი იმდენადაც კი, რომ ამოკაწრულს უფრო ჰგავს ვიდრე ამოჭრილს.

ორი სხვადასხვა ხელის გარჩევა, უდავოდ, შესაძლებელია. სტილი ზოგადად ერთი ჩანს.

3. ფრაგმენტი, ინტალიო-ბეჭდისა. ზედმიწევნით პატარა ზომის. ბეჭედი ვერცხლისა ყოფილა, ფარაკიანი. ფარაკი თხელი ფირფიტისაგან იყო გაკეთებული; რკალი ვიწრო და ბრტყელი ჰქონია. როგორც ჩანს, გამოხატულება მთლიანად აწებდა ფარაკის პირს. ამაზე დარჩენილი ფრაგმენტის მიხედვით შეიძლება ლაპარაკი: გამოსახულება თითქმის პირის კიდეს ებჭინებოდა.

⁸ იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 93, ტაბ. V, 52:—Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, ტაბ. XI

ფარაკი მრგვალი უნდა ყოფილიყო, ბრტყელი. რკალი ფარაკთან შედარებით განიერია და უშუალოდ იქვე ვიწროვდება.

ინტალიოს ნატეხებზე შემორჩენილია ცხოველის, ვარაუდით ცხენის, თავ-კისერის მცირე ფრაგმენტი. — კისერი, ხანგამოშვებით, მომსხო ხაზებითაა დაფარული. ფაფარი, აქა-იქ, მკრთალი შტრიხებითაა მინიშნებული. ხოლო ღრმად ჩამჭდარი თვალი რელიეფური რგოლით ყოფილა შემოფარგლული. პირის მარჯვენა არეში ამოჭრილი რკალი ნახევარმთვარეს უნდა გამოხატავდეს.

შესრულების ტექნიკა შდრ. ამავე სამარხში აღმოჩენილი ინტალიოების კვეთას.

და ც უ ლ ბ ა : ბექდისაგან ფარაკის უმნიშვნელო ნაწილი, რკალითურთ, არის დარჩენილი.

ზომები: ფარაკის ზომა—14—5 მმ, რკალის განი—5 მმ (ფარაკთან), 3 მმ.

3. კ ა მ ა რ ა ხ ე ვ ი

1953 წელს, კამარახევში, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილ № 9 გრუნტული სამარხის ინვენტარს ბრინჯაოს ერთი საბეჭდავი-ბეჭედიც ახლდა¹. ხსენებული ბეჭდით ადრევე დაინტერესდით და იგი ჩვენი კვლევის საგნად იქცა (იხ. ჩვენი, კორპუსი I, გვ. 45, 94—95). სტილისტური და შედარებითი ანალიზის საფუძველზე საბეჭდავი ადგილობრივ ნახელავად მივიჩნიეთ. — სახელდობრ იმ წრის ძეგლებს დაუუკავშირეთ, რომლებიც აქემენიდური გლიპტიკის გავლენას განიცდიან. მისი „მიმბაძველობით“ შექმნილი საბეჭდავებია. ბეჭდის ფორმასა და ანალოგიურ მასალებზე დაყრდნობით — საბეჭდავი ძვ. წ. V საუკუნის II ნახევრით დავათარილეთ?

ამჯერად ზემოხსენებულ ბეჭედსაც ახალი თვალსაზრისით ვუდგებით. კერძოდ: ჩვენი მიზანია გავარკვიოთ უფრო კონკრეტულად თუ რომელ მიმდინარეობას უნდა მივაკუთვნოთ ნახელავი. — რომელი სტილის გავლენას განიცდიდა ინტალიოს მკრელი. ხოლო ზოგადად: რომელი სკოლა იყო წამყვანი ძველი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მომუშავე მკრელთა შორის. — ეს საკითხი მხოლოდ მაშინ გაირკვევა, როცა ერთეული ნიმუშების საშუალებით დასკვნები „აიკინძება“.

გადავდივართ ბეჭდის ანალიზზე: დიდი ზომის, მასიური საბეჭდავი-ბეჭედი ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული. ოვალური ფარ-

¹ ექსპედიციას არქეოლოგი რ. რამიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ბეჭედი დასამუშაველად გადმოგვცა. რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. რ. რამიშვილს ბეჭედი გამოცემული აქვს. იხ. მისი: კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959, გვ. 16.

² იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 45, 94—95.

თო ფარაკი უშუალოდ რკალში გადადის; პირი ბრტყელი აქვს, ოღნავ ჩადრეცილი ზურგი. (ტაბ. II, 7 a). სქელი, მხრებთან გამსხვილებული (გაფართოებულიც) რკალი წახნაგებიანია. — მხრებზე წახნაგები (სიგრძეზე დაპყვება) მკვეთრად გამოირჩევა, რკალის შიდაპირზე აქა-იქ არის გამოყვანილი. ფარაკი რკალისაგან წვერილი ღარით არის გამოყოფილი, ბეჭედი ქვევითკენ ჩამოგრძელებულია (ტაბ. VII, სურ. 7).

პირზე აქემენიდური ხანის, ანუ ბერძნულ-სპარსული, გლიპტიკურ ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული სპარსელი ქალის ზეზემდგომი ფიგურაა გამოხატული, პროფილში მარჯვნივ. ქალი ტანზე მომდგარი გრძელი კაბით არის შემოსილი — თხელი ქსოვილის ტანსაცმელში (კაბა იმდენად ვიწროა, რომ სხეულის ცალკეული ნაკეთები მკვეთრად გამოირჩევა); ფეხებზე ჰეინტიანი ფეხსაცმელი აცვია. ქალს გრძელი ნაწნავი აქვს, — სქემატურად რელიეფური ხაზის სახით გადმოცემული. თავი ზედმიწევნით სუმა-რულად არის შესრულებული — აღნიშნულია, ძალიან პირობითად. თითო პორიზონტალური შტრიხით, მხოლოდ ნიკაპი და ცხვირი. მანდილოსანს მარჯვენა, ზეაპყრობილ ხელში ყვავილი უნდა ეჭიროს (სახის დონემდე მიუტანია), ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში — თავშეკრული, დიდი ზომის, რკალი, თუ წვერილი რგოლი³. ხელები, ისევე როგორც ნაწნავი. სქემატურად — ჯოხებივით აქვს გადმოცემული (ტაბ. II, 7; სურ. 7).

ქალის დგომის პოზა და ტორსის ზედა ნაწილის მდგომარეობა ხაზგასმით თავისებურია: ტორსის ზედა ნაწილი, წელიდან დაწყებული წინ აქვს წახრილი, ამასთანავე ისე მიბრუნებული, რომ ზურგი თითქმის მთლიანად ჩანს.

ოსტატის მისწრაფებაა მთლიანად შეაესოს გამოხატულებით ფარაკის პირი — კიდიდან კიდემდე. ფიგურა წაგრძელებული პროპორციებით გამოირჩევა.

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამოხატულება ესკიზური, ბრტყელი კვეთით არის შესრულებული. — ოსტატს ზედმიწევნით თხელი ფენა აქვს ამოღებული ლითონისა. შინაგანი ნახატი სავსებით დაუმუშავებელია. მთელი ფიგურა თითქმის ერთ სიღრმეშია ამოჭრილი.

³ აღნიშნული ატრიბუტი გარკვეული აზრით უნდა იყოს გამოხატული. მისი დანიშნულება ჩვენთვის კვლავ გაურკვეველია — ამ მხრივ ძიებას ვაგრძელებთ.

ყველაზე მკაფიო რელიეფს (ანაბეჭდზე), ნეკროტად გამოხატულს. და შედარებით მაღალსაც, ნაწნავი და მარჯვენა ხელი იძლევა. თავი იმდენად სუმარულად, უკეთ—პირობითადაა გადმოცემული, რომ მკრელს იგი გარეგანი კონტურითაც კი არ შემოუფარგლავს. მხოლოდ თხემზე აღნიშნული (ერთიანი მასით) თმისა და ნიკაპის საშუალებით შეიძლება დავადგინოთ თავის საერთო მოხაზულობა. უფრო ზუსტად — მისი სიდიდე.

კვეთის საერთო სტილი სქემატურობითა და სუმარულობით ხასიათდება. ქალის ფიგურა მშრალი და გახვევებულა, მაგრამ ამასთანავე მკრელი თავისებური ხერხით, რაღაც შეუმჩნეველი შტრიხის წყალობით, აღწევს სხეულს მოქნილობა, რამდენადმე პლასტიკური იერი მისცეს. ეს განსაკუთრებულად ტორსის მობრუნებაში შეიმჩნევა. გაბედული ხელით შესრულებული ნახელავი სიფიქზით არ გამოირჩევა. საკრისებიც ძუნწად არის ნახმარი: ერთი ფართო-პირიანი, მეორე — ნემსისებური.

ბეჭედი მოყვანილობით აღრეანტიკურ ხანაში გავრცელებულ ბეჭდების ტიპისა⁴. იგი თავისი დამახასიათებელი ფორმის მიხედვით საბეჭდავი-ბეჭდების იმ წრის ნივთებს მიეკუთვნება, რომლებიც ჯ. ბორდმანს III-სა, V-სა და VII ჯგუფებში აქვს გაერთიანებული. როგორც აღნიშნული გეჰონდა (იხ. საერთო მიმოხილვა. გვ. 14—15)⁵, ყველაზე გავრცელებული ტიპი აქემენიდურ საბეჭდავ-ბეჭდებს შორის მცირე და თხელფარაკიანი ბეჭდებია, სახელდობა ბერძნული ტიპი III-ს მსგავსი, მაგრამ უფრო ხშირად რკალი დაწახნაგებულია. მეორე გავრცელებულ სახეს საბეჭდავი-ბეჭდისას მძიმე ბეჭდები წარმოადგენს, რომლებსაც ჯ. ბორდმანი VII ტიპის დამძიმებულ ფორმად მიიჩნევს და ანტიკურ ბეჭდების ხსენებულ ჯგუფს უკავშირებს⁶.

ორივე ტიპის ბეჭდებზე სპარსელი ქალი ერთ-ერთი გამოყენებული თემათაგანია. ჯ. ბორდმანის დაკვირვებით სკარაბეოიდებზე გამოხატული ქალის ტიპს III ჯგუფის ბეჭდებზე ვხვდებით; ხოლო VII ჯგუფის საბეჭდავებზე იგი, როგორც წესი, ზის⁷.

⁴ ჩვენი ბეჭდის ერთ-ერთი სახესხვაობა შდრ. R i c h t e r, Catalogue of Engraved Gems, Metropolitan Museum, ტაბ. XII, 72, გვ. 19.

⁵ შდრ. B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. გვ. 217, ტიპები: III, V, VII.

⁶ იხ. B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, გვ. 322.

⁷ იხ. B o a r d m a n, დასახ. ნაშრ., იქვე.

იმ მრავალრიცხოვანი ძეგლების მიხედვით, რომელზედაც წვენთვის საინტერესო სიუჟეტი აისახა, დაახლოებით ზუსტად შეიძლება დროის იმ მონაკვეთის დადგენა, როცა თემა მეტი პოპულარობით სარგებლობდა მომხმარებლებსა და მკრელეს შორის. — ამაზე საუბარს ქვემოთ გავაგრძელებთ.

კამარახევის სპარსელ ქალს ცალ ხელში ყვავილი (?) უჭირავს, მეორეში დიდი ზომის წვრილი „რგოლი“. — როგორც ცნობილია, სპარსელი მანდილოსანი სხვადასხვა ატრიბუტებით არის ხოლმე წარმოდგენილი. მას ხელში — სარკე, ყვავილი, ფიალა, ალაბასტრონი, კილიკი, ფრინველი ანდა გვირგვინი უპყრია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ატრიბუტების ერთ ნაწილს საპირისფარეშო ნივთებად მიიჩნევენ⁹. ჩვენ ადრევე გვქონდა გამოთქმული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ზოგი ატრიბუტი შესაძლოა რომელიმე საკულტო რატულთან იყო დაკავშირებული¹⁰. ხოლო ყვავილსა თუ ნაყოფს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ამისი მტკიცებისათვის ჯერ საკმარისი საბუთები არ გავაჩნია. ამდენად მხოლოდ შედარებითი ანალიზით ვიფარგლებით.

ანლოგიურ გამოხატულებიანი ქრილა ქვების ერთი ჯგუფი „აღმოსავლურ-ბერძნულ“ გემებს მიეკუთვნება¹¹. მეორე — ე. წ. „ბერძნულ—სპარსულს“¹². ატრიბუტების მიხედვით კამარახევის მანდილოსანი ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ქალცედონის სკარაბეოიდთან პოულაზს ყველაზე ახლო მსგავსებას (შდრ. Walters, British Museum Gems, ტაბ. 7, 433;—Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. 11, 6; Richter, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 507;—Gow, J. H. S., XLVIII, 1928, x, 3; —Boardman, Greek

⁹ იხ. Furtwängler, Antiken Gemmen, XI, 6, 10;—მისივე, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin, 1898, 181;—Maximowa, Über Griechisch—persische Kleinkunst in Kleinasien nach den Perserkriegen, გვ. 654—655, გამ. 5, 11—12; Richter, Catalogue of Engraved Gems, Metropolitan Museum, II Ed., XXI, 133;—მისივე, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 506—508, —Boardman, Greek Gems and Finger Rings, 876, 854, 879, 903, 990—994;—H. Walters, Catalogue of the Engraved Gems and Cameos. British Museum, London, 1926, VII, 433. და ა. შ.

⁹ იხ. Richter, Catalogue of Gems, II გამოცემა, გვ. 133.

¹⁰ იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 45.

¹¹ შდრ. N. Nikulina, La glyptique «Grecque orientale» et «Greco-Perse», Antike Kunst, 14 Jahrgang, 1971, Heft 2, ტაბ. 34—21, ტაბ. 35, 13—15.

¹² იქვე.

Gems and Finger Rings, 903),—რომელზედაც ქალს ხელში ყვავილი და წვრილი რგოლის ფორმის გვირგვინი უჭირავს. ატრიბუტთა ზოგად მსაგავსების საფუძველზე შესაძლებლად მივიჩნით საგანი, რომელიც კამარახევის მანდილოსანს ხელში უპყრია დიდი ზომის გვირგვინად განვსაზღვროთ. როგორც დავინახეთ, საბეჭდავისათვის წმინდა სპარსული თემა გამოყენებული. თემისა და საერთო სტილის მიხედვით ჩვენი ინტალიო „ბერძნულ—სპარსული“ საბეჭდავების იმ წრეს უნდა მივაკუთვნოთ, რომელიც „შერეული სტილის“ ძეგლებს აერთიანებს—სახელდობრ აქემენიდურმოტივებიანს.

მაგრამ კამარახევის საბეჭდავი განსხვავდება და გამოირჩევა მხატვრული შესრულების მხრივ, ტექნიკით. სტილისტური თავისებურებებით. — თვალში საცემია ქალისათვის ბრგვე ტანი, მოუხერხებელი პოზა დგომისა, არაპროპორციულად დიდი თავი; ქსოვილის გადმოცემის მანერა, თვით სამოსის თარგი. „ბერძნულ—სპარსულ გემებსა და საბეჭდავებზე კაბას ფართო გრძელი, მაჭებთან გაგანიერებული სახელოები აქვს. კაბა, როგორც წესი, წელს ქვევით ნაკომიყრილია. კამარახევის ინტალიოზე მანდილოსანს უსახელო კაბა აცვია. ქსოვილის ნაკეციები თუ ნაკეციები აღნიშნული არ არის. სწორხაზოვნად გამოხატული თმა, ბოლოში შეუკვრელია.

კვეთის უაღრესად სიბრტყობრივი სტილი, ესკიზური მანერა, ზედმიწევნით დიდი სუმარულობა ცალკეულ ფორმათა და ნაკვეთების გამოხატვისა ნათელს ხდის, რომ ამ შემთხვევაში ფორმათა ბერძნულ გაგებასთან არ გვაქვს საქმე. რომ ნახელავი არც სპარსელი ოსტატის შემოქმედებაა¹³.

ჩვენ ინტალიოს არასპარსული წარმოშობის ნივთად მივიჩნევთ, რომელიც უდავოდ აქემენიდური ხანის გლიპტიკის „შერეული სტილის“ კრილა ქვების უშუალო გავლენითაა შექმნილი.

ზომის მიხედვით საბეჭდავი-ბეჭედი მამაკაცის კუთვნილება უნდა ყოფილიყო (მძიმეც არის)¹⁴. ისიც აღსანიშნავია, რომ საბეჭდავისათვის შერჩეული სიუჟეტი ჩვენში აღმოჩენილ მასალებს შო-

¹³ მაგალითისათვის იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გამ. 283, 289, 876;—Richter, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 503—510.

¹⁴ ზომები: ბეჭდის სიმაღლე—24 მმ, დიამეტრი—17 მმ, ინტალიოს სირტე—21 მმ, ვანი—15 მმ.

დაცულობა: ბეჭედი პატინამ დააზიანა, რის გამოც გამოხატულებამ სიმკვეთრე დაკარგა.

რის, იშვიათია, უფრო ზუსტად: მხოლოდ კამარახევის ხსენებული ბეკედიტაა წარმოდგენილი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ არმაზისხევის სამაროვანში. 1944 წელს № 48 მდიდრულ სამარხში, აღმოჩენილ გრანატის გემით შემკულ ოქროს ბეკედს ანალოგიური გამოხატულებით. ანუ თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ — „გვიანდელ რეპლიკას“)¹⁵.

ხსენებული თემა. სპარსეთის იმპერიაში, როგორც ჩანს, პრივილიგირებული კლასისათვის განკუთვნილ საბეჭდავებზეა წარწოგენილი. ჩვენში — ჯერ კიდევ ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს.

¹⁵ იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეშები II. არმაზისხევა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 1958, გვ. 26, 74—76, ტაბ. VI, 26.

4. ღ რ მ ა ხ ე ვ ი ს თ ა ვ ი

ღრმახევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1974 წელს გათხრილ სამაროვანში გამოვლენილ სამარხებს შორის № 39 ქვაყუთში მეტად საგულისხმო საბექდავი-ბექდის ფრაგმენტი აღმოჩნდა¹. იგი ბრინჯაოს ფარაკიანი ბექდის ინტალიოს წარმოადგენს, რკალის ნაწილით ანუ მხრებითურთ.

ინტალიო საგანგებო ყურადღებას შინაარსობრივად იმსახურებს. იგი ძველ საქართველოში გავრცელებულ მასალებს შორის ამჟამად ერთადერთია. შესრულების მხრივაც თავისებური. გადავდივართ ნივთის ანალიზზე:

ს ა ვ. №145. — საბექდავი-ბექდის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი². შემორჩენილია ფარაკი-ინტალიო მხრებითურთ, და მის გაგრძელებაზე, რკალის უმნიშვნელო ნაწილით. ოვალური მოყვანილობის ფარაკი, შუაგულში, თითქოს ამობურცულია, ხოლო რკალის მიმართულებით შეუმჩნეველად დაქანებული. ფარაკის პირი უფრო განიერია, ვიდრე მისი მასიური. ჩადრეკილი — ამოღრმავებული და ღრმა ღარით გამოყოფილი ზურგი. — წაწვეტებული ოვალისებრი მოხაზულობის ზურგი უშუალოდ გადადის რკალში. ზურგისაგან ღრმა ღარით გამოყოფილი ფარაკი ვიწრო რკალში გადადის. რკალი შიგნიდან სადა უნდა ყოფილიყო. გარედან, სიგრძეზე, მომრგვალებულკონტურიანი წახნაგი დაჰყვება; — უშუალოდ ფარაკის ძირთან იწყება ანუ: წახნაგიანი მხრები აქვს (ცალ მხარეზე წახნა-

¹ ბექედი დასამუშავებლად არქეოლოგმა კ. კახიძემ გადმოგვცა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

² ბექედი მიცეალებულის წელის არეში აღმოჩნდა.

გი უფრო მკაფიოდაა გამოყვანილი, მეორეზე — „გადალესილია“). ერთიანად გასდევდა წახნაგი რკალს, თუ წყდებოდა — ამქამად დადგენა შეუძლებელია³.

ფარაკის პირზე ერთმანეთთან ზურგით შეზრდილი ორი ცხოველის სხეულის წინა ნაწილია ამოჭრილი. — ერთი შეხედვით ცხოველები სხვადასხვა ოჯახს მიეკუთვნებიან:



აქვე უნდა დავძინო, რომ შესაძლებელია ეს შთაბეჭდილება ცხოველთა გამოსახვის სხვადასხვა — განსხვავებული მანერის შედეგად გვექმნება. — სახელდობრ: პროფილში მარჯვნივ წარმოდგენილი ცხოველის განიერი, მკერდის წინა ნაწილთან უშუალოდ გაერთიანებული, კისერი მჭრელმა მხოლოდ მცირეოდენი ჩაღრმავებით გააცოცხლა (— ამ ხერხით მიუნიშნა მან კუნთები ძლიერ კისერზე). შედარებით პატარა. დახრილი თავი განსხვავებული მონახულობის არათანაბარი „რელიეფითაა“ გადმოცემული. თავზე ცხოველს დაბალი რქა ადგია (რომელიც თავდაპირველად აცქვეტილ ყურად მივიჩნიე). კეთიდან მოყოლებული კისრის ძირამდე წმინდა, შვეული, ხაზების წყება შეიმჩნევა, რაც ფაფარს ან ბალანს უნდა გამოხატავდეს. სქემატურად გადმოცემული წინა კიდურები გაშვებული აქვს (სურ. 8).

რაც შეეხება მეორე ცხოველს, პროფილში მარცხნივ, რომლის ტექნიკაში ხაზოვანი კვეთა ჭარბობს, ისიც თავდახრილია. — მისი თავი უშუალოდ გადადის წვრილ კისერში, მაგრამ პირველისაგან განსხვავებით — მკვეთრადაა ხაზით (შუბლის ძვალიდან მოყოლებული ზურგამდე) შემოფარგლული. ხოლო მთელი კისერი წვრილი პორიზონტალური ხაზების წყებითაა დაფარული. მკერდი მკრთალი, გადღაბნილი „რელიეფითაა“ მინიშნებული. მასაც წინ აქვს გაშვებული კიდურები, მხოლოდ უფრო მოკლეა და „ზერელედ“ შესრულებული.

ფარაკის კიდესთან, ცენტრში, ცხოველების თავებს ზემოთ და მათ შორის, რკალისებური ნიშანია ამოჭრილი — შესაძლებელია

³ და ც უ ლ ო ბ ა: ბეჭედს რკალი აკლია. ლითონი პატინის ფენით ყოფილა დაფარული, რის გამოც გამოხატულება, ნაწილობრივ, გადაშლილია.

ზ ო მ ე ბ ი: ფარაკის სიგრძე—17 მმ, ვანი—14 მმ, სისქე—4 მმ, რკალის ვანი—4 მმ, მხრის ვანი—6 მმ, ზურგის ვანი—13 მმ.



სურ. 7, 8

ნახევარი მთვარის მნიშვნელობით. გამოხატულების ქვემოთ კი, კვლავ ფარაკის კიდესთან — ოდნავ გახრილი წვრილი ზოლი.

ტექნიკა: გამოხატულება ხელის საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი. არაღრმა და სქემატური კვეთით შესრულებული ნახელავია, რომელიც სიფაქიზით არ გამოირჩევა. კვეთის სტილს ახასიათებს გარკვეული სუმარულობა — ცალკეული ფორმები თუ დეტალები იმგვარადაა გაერთიანებული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა პირს. ცხოველთა სხეულების ნაწილები მოდელირებას მოკლებულია. გამოსახულება უსიცოცხლო და მშრალია. პროპორციები დარღვეულია (იხ. სურ. 8). ერთიანად ნახატი ესკიზურ მანერაშია შესრულებული, ზერელე კვეთით. ძირითადად მჭრელს ნახმარი აქვს ბრინჯაოს ნემსი.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეკდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

ანალოგიურ კომპოზიციას, კერძოდ, ერთმანეთთან შეზრდილ, ორ ზურგმუკეთულ ცხოველის პროტომას, გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი აქემენიდური პერიოდის არქიტექტურაში.⁴ ხსენებული მოტივი, წარმოშობით ძველადმოსავლურად მიჩნეული (იხ. Herzfeld, დასახ. ნაშრ., გამ. 127, 295), გამოყენებულია პერსეპო-

⁴ იხ. E. Herzfeld, *Iran in the Ancient East*, London—New York, 1941, გვ. 239—240.

ორი ცხოველის ტანის შეზრდილ წინანაწილს, როგორც ერთ-ერთ ნიშანს, პროტოელამურ პიკტოგრაფიულ დამწერლობაში ეხვდებათ.

ლისის კაპიტელების შესამკობად⁵ (ვხედებით: წყვილი ხარისგამოხატულებიან და წყვილი ცხენისპროტომებიან კაპიტელებს (იხ. Herzfeld, დასახ. ნაშრ., ტაბ. LVIII, LX, გვ. 239).

პერსეპოლურმა სიუჟეტებმა ასახვა აქემენიდურ გლიპტიკაშიც კპოვა. მათ შორის ზემოხსენებული მოტივიც არ დარჩენილა გამონაკლისად. თუმცა უნდა ითქვას. არც დიდად გავრცელებულა. გამოცემულ მასალებს შორის ოქსუს განძის ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი (ძვ. წ. V საუკ.) მხოლოდ ტიპური, რომლის ფარაკზე წარმოდგენილია აქემენიდური არქიტექტურული დეტალი — კაპიტელი: ორი ზურგშექცეული ხარის შეზრდილი პროტომით⁶.

ღრმახევის ინტალიოს ტექნიკა და სტილი განსხვავებული ხასიათისაა: მკრელმა, როგორც აღნიშნული გვქონდა, სხვადასხვანაირად შეასრულა ცხოველების ნახატი; შერეულად ხაზოვანი და სიბრტყობრივი კვეთით.

ჩვენი ინტალიოს მკრელისათვის აქემენიდური, პერსეპოლური, არქიტექტურული მოტივი, როგორც ჩანს, ცნობილი ყოფილა, რომელიც, ვვარაუდობ, „მოდელად“ გამოუყენებია⁷. ამასთანავე გარკვეული ცვლილებაც შეუტანია:

ღრმახევის ინტალიოზე თვით სვეტისთავი არ ჩანს — „გამქრალია“ და მის „ნაცვლად“ ფარაკის ზედა ნაწილში — რკალი, ხოლო ქვევით — ხაზია ამოჭრილი (შესაძლებელია მკრთალი მინიშნება კაპიტელისა; ანდა ოსტატმა ვერ შეითვისა გამოხატულების შინაარსი და თავისებურად გაიაზრა).

ჩვენი ბეჭდის აქემენიდურ ძეგლებთან გარკვეული სიახლოვის მიუხედავად (ვიმეორებ: ნახელავს მთელი რიგი თავისებური ნიშნები გააჩნია: ფორმათა მოდელირებაში არსებული ნორმები დარღვეულია, რაც განსაკუთრებით პლასტიკურ მხარეს ეხება. ნახატშიც არის დაშვებული შეცდომა, რაც მკრელის ხელთუმარჯობითა და დაუდევრობით აიხსნება. მან ვერც გამოხატულების „ჩასმა“ (ჩახატვა) მოახერხა ოსტატურად ბეჭდის ფარაკში. — მეტყველა

⁵ Herzfeld, დასახ. ნაშრ., იქვე.

⁶ იხ. O. Dalton, The Treasure of the Oxus with other examples of Early Oriental Metal-work, London, MCMXXVI, გვ. 29, ტაბ. XVI, 106; — B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, 322, ტაბ. 989; — U. P o p e, A Survey of Persian Art, IV, New York—London, 1938—1939

⁷ დასაშვებია, რომ მისთვის ადრეული ძეგლებიც არ იყო უცხო.

საბუთი იმისა, რომ რიგითი ხელოსნის ხელთან გვაქვს საქმე. ნახელავი შესრულების პრიმიტიული დონით ხასიათდება.

ბეჭდის ფარაკისა და მხრების მიხედვით აღდგენილი ფორმა აქემენიდური ხანის ბეჭდის იმ ტიპს უკავშირდება, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნეშია გავრცელებული. სახელდობრ, ბერძნული III ტიპის IV საუკუნის სახესხვაობას—„ვერსიას“ ანუ VII ტიპს⁸ (ოქსუს განძის ბეჭედი ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება. იხ. Dalton, დასახ. ნაშრ., გვ. 29). იმავე ხანას აკუთვნებს საბეჭდავს ჟ. ბორდმანიც (იხ. Greek Gems and Finger Rings, გვ. 356).

ბეჭდის შესწავლას ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ.

⁸ შლრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 217;—Dalton, დასახ. ნაშრ., გვ. 28, გამ. 54.

5. თ რ ი ა ლ ე თ ი. ა ლ ბ ე თ ი ს ს ა მ ა რ ხ ი

1940 წელს მდ. ალგეთზე, სოფ. წინწყაროსთან შემოხვევი ალმოჩენილ სამარხში ვერცხლის ოთხი საბეჭდავი-ბეჭედი ახლდა ინვენტარს¹. ყველა ბეჭედი დაზიანებულია: ვერცხლმა რეკრისტალიზაცია განიცადა, ზოგი ბეჭედი ნაკლულია, ფრაგმენტირებული ან მხოლოდ გატეხილი ფარაკია შემორჩენილი. მიუხედავად ამისა ბეჭდის ტიპის (თუ ტიპების), გარკვევა შესაძლებელი ხდება.—ეს არის დიდფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდების პატარა ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან რკალის მოყვანილობით განსხვავდებიან. ამათგან ჩვენ მხოლოდ ორი საბეჭდავი გვაქვს კვლევის საგნად ქცეული: გრიფონისა და მხედრის გამოხატულებებით.

1. ი ნ ვ. 777. — საბეჭდავი-ბეჭედი, ვერცხლისაგან გაკეთებული, დიდი ზომისა². მრგვალი, ბრტყელი, ფირფიტის ფარაკი მრგვალი ღერაკების წვრილ რკალში გადადის. ბეჭედი ქვედა ნაწილში განზიდულია (ტაბ. VI, სურ. 6).

პირზე ურჩხულია გამოხატული, პროფილში მარჯვნივ, რომელსაც თავი უკან მიუბრუნებია და გარბის. იმის გამო, რომ ლითონი პატინას შეუქამია (— რეკრისტალიზებულიცაა) გამოხატულების გარკვეული ნაწილი დაზიანდა. მიუხედავად ამისა დეტალების გარჩევა, გამოხატულების გარკვევა და სტილის დადგენა მაინც სრულად შეიძლება. ყურაცქვეტილი ურჩხული სინკრეტულ არსე-

¹ იხ. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трналетн, Тбилиси, 1941, გვ. 35, ტაბ. XI;—მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 91—93.

² ბეჭედი გამოცემულია: იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., იქვე, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 93;—მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კვამები III, თბილისი, 1961, გვ. 42.

ბას წარმოადგენს; ძლიერი ნისკარტი აქვს; მკაფიოდ მოხაზული, რელიეფში შესრულებული, მოზრდილი თვალი — თვალის გუგა გულამოღებული წერტილითაა მინიშნებული. დაბალი კისერი უშუალოდ გადადის ფართო გულმკერდში, შედარებით მოქნილი სხეული ბალნით ყოფილა დაფარული (ამჟამად კისერსა და ზურგის ნაწილზეა კვალი შემორჩენილი). — ბალანი მოგრძო რელიეფური წერტილებითაა გადმოცემული (შდრ. საძეგურის საბექდავ-ბექდებს გამ. 1, 3). მაღალი თათები (წინა კიდურები აღარ ჩანს) ბასრი ბრჭყალებით ბოლოვდება. ურჩხულს მაღალი ფაფარი აქვს, იკანკლედური რელიეფური ხაზით გადმოცემული „წვერობზე“, გადატების ადგილებზე, ფაფარი რელიეფური პაწია ბირთვებითაა შემკული (შდრ. საძეგურის გრიფონებს, გამ. 2). ურჩხულის თავს ზემოთ, ზურგის გასწვრივ, ნახევარმთვარეა ამოჭრილი, რქებით ფარაკის კიდისკენ მიქცეული.

მიუხედავად იმისა, რომ ურჩხულს ფრთა არ უჩანს (ინტალიო-ფარაკის ამ ადგილას ლითონი ამოკმულია) ყველა ნიშნის მიხედვით. და საძეგურის ურჩხულებთან მსგავსების საფუძველზე (შდრ. სურ. 2), ალგეთის საბექდავზე ამოჭრილი ფანტასტური სინკრეტული არსება უდავოდ გრიფონია³.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბექლზე მკაფიო რელიეფს იძლევა. (ტაბ. II, 8; სურ. 9).

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამოხატულება საკრისით არის ამოჭრილი, არალრმად და მკაფიოდ. ნახმარი უნდა იყოს გუგე-მსგავსი საკრისი, ბრინჯაოს ნენსი, „დანა“ მომრგვალებული წვერით, წამახული ან bouterolle-ისებრი საკრისი. საკრისები გაბედულად ჩანს გამოყენებული. მკრელი კვეთს დაუფლებულია. ნახელავი სქემატურობით და გარკვეული სუმარულობითაც ხასიათდება. სახელდობრ: ოსტატი ფორმათა სუმარული გადმოცემით კმაყოფილდება, სხეული სკულპტურულად დამუშავებული არ უნდა იყოს. მაგრამ ალგეთის ხსენებული საბექდავი იმ ინტალიოთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა კვეთის სტილს ჩვენ გარდამავალ „საფეხურს“ ვაკუთვნებთ—სიბრტყობრივად ნახევრად სკულპტურულ სტილზე⁴ (საძეგურის გრიფონები ბრტყელი კვეთით არიან შესრულებული).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გრიფონი თანადროულ, ბერ-

³ შდრ. წინამდებარე ნაშრ. გვ. 31—32; ანალოგიები იხ. გვ. 33.

⁴ იხ. ჩვენი, კორპუსი I, გვ. 44.

ქნულ-სპარსულ ძეგლებთან შედარებით ნაკლები ოსტატობითაა ნაკვეთი. დაკბილული ფაფარი (კისერს რომ გასდევს) გამოსახულებას სიფაქიზეს ანიჭებს.

ალგეთის და საქმეურის გრიფონების შედარებისას შემდეგ დასკვნამდე მივდივართ: მიუხედავად სტილისტური ერთიანობისა და კვეთის მანერის იდენტურობისა, ალგეთის საბეჭდავზე გამოსახული გრიფონის მკრელი უფრო დახელოვნებული ოსტატი ჩანს (აქვე უნდა შევნიშნათ: მიუხედავად იმისა, რომ ვერცხლი უფრო მაგარი და ძნელად ამოსაქრელი მასალაა).

სტილისა და კვეთის მანერის ერთიანობა, რაც ზოგიერთი დეტალის გადმოცემაში ხაზგასმით თავისებურადაა გადაწყვეტილი: პაწია ზირთვებით შემკული იკანკლედური ხაზით გამოხატული ფაფარი; ტყავის რელიეფური ხალებით დაქრელება; ბრჭყალებისა — პაწია რელიეფური წერტილებით. ნახატის დაახლოებით ერთი „შაბლონის“ მიხედვით გამეორება. მოძრაობის გაშეშებულობა. და ბოლოს მკრელის მისწრაფება — ფარაყის მთლიანად შევსება გამოხატულებით იმას მოწმობს, რომ საქმეურისა და ალგეთის სამარხებში აღმოჩენილი ინტალიო-საბეჭდავები (№№ 777, 861) ერთი სახელოსნოდან გამოსული ბეჭდებია. მაგრამ სხვადასხვა მკრელის მიერ შესრულებული.

ა. ფურტვენგლერის აზრით, გრიფონის ტიპი ხეთური სამყაროს მცირეაზიული წარმოშობისაა. გავრცელდა რა ეგვიპტეში, სადაც რამდენადმე სახე შეიცვალა, მან კვლავ ახალი იერი შეიძინა ისევე მცირე აზიაში⁵. მცირე აზიიდან შეითვისა გრიფონის სახე ბერძნულმა და ფინიკიურმა ხელოვნებამ⁶. მეორე ათასწლეულში ეგეოსურ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული ხსენებული ურჩხულის სახე; იგი ხან ძლიერი ნისკარტით არის წარმოდგენილი. ზოგჯერ პატარა ნისკარტი აქვს, ზევით მოთავსებული⁷. ხშირად გრიფონს

და ც უ ლ ბ ა: ბეჭედი პატინის სქელი ფენით იყო დაფარული, ვერცხლი რეკრისტალიზებულია. რკალი ნაკლულია.

ზ ო მ ე ბ ი: ბეჭდის სიმაღლე—22 მმ, დიამ. 18 მმ, ინტალიოს დიამ.—20 მმ.

⁵ იხ. G. Contreau, La glyptique Syro-Hittite, Paris, 1922, გვ. 147.

⁶ იხ. კნოსის სასახლის ფრესკა.

⁷ იხ. Roscher's Lexikon, Art. Crips, გვ. 1742 და შმდ.

თავი უკან აქვს ხოლმე მობრუნებული (მიკენელი ოსტატებისათვის დამახასიათებელი მანერა)*.

ამრიგად — საძვეურის ოქროსა და ვერცხლის ბეჭდებზე გამოხატულ გრიფონებთან სტილისტურ მსგავსების საფუძველზე, ბეჭდების ტიპისა და ტექნიკური მხარის გათვალისწინებით — მანერიზმით, რაც ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს ჩვენი საბეჭდავისას — ალგეთის ინტალიო სახელდობრ საკარო სტილის წრის ძეგლებს მიეკუთვნება⁹.

2. ი ნ ე 776. — საბეჭდავი-ბეჭედი ვერცხლისაგან გაკეთებული, რკალშეკრული, დიდი ზომისა. მრგვალი და ბრტყელი ფარაკი თხელი ფირფიტისაა; ქვევითკენ ჩამოგრძელებული, მომრგვალებულკონტურებიანი ვიწრო რკალი აქვს, უშუალოდ რკალთან შებრტყელებული და მცირედ გაფართოებული (ტაბ., VI. 5).

პირზე მითიურ რქოსან ცხოველზე — ცხენზე (?) ამხედრებული მამაკაცის ფიგურაა ამოჭრილი. გამოხატულება ზედმიწევნით სტილიზებულია. ცხენი ოთხით მიდის, პროფილში მარცხნივ. მხედრის ფიგურა პირდაპირ არის, ორთავე ფეხი მარცხენა მხარეს აქვს ჩამოშვებული (ცხენზე ქალურ ყაიდაზე ზის), მუხლის ქვემოთ პროფილშია მოცემული. იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი ფაფარზე უდევს. თვალშისაცემია როგორც პირუტყვის, ასევე მხედრის ფიგურის დისპროპორციულობა: ძალიან გრძელი, სქემატურად გადმოცემული ფეხები და არათანაზომიერად მოკლე ხელები (ასევე სწორხაზოვნად შესრულებული) არ შეესაბამება წელთან მკვეთრად შევიწროვებულ, სამკუთხედის მოყვანილობის მოკლე ტორსს. ისეთი შთაბეჭდილებაა თითქოს ფეხები უშუალოდ წელთანაა დაკავშირებული. სუმარულად გადმოცემული თავი ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული. ცალკეული დეტალები: ცხვირი, თვალეები, პირი, ყურები, ნიკაპი აღნიშნული არ არის. რა თარგის სამოსი აცვია მხედარს, დადგენა შეუძლებელია, რადგან ქსოვილი სავსებით დაუმუშავებელია; ხოლო ტორსი ისეა შემოფარგლული, რომ შეუმოსავი ტანის შთაბეჭდილებას ახდენს. ფეხის ტერფები აღნიშნულია.

* შტრ. სპილოს ძვლის ნაკეთობა მიკენიდან. იხ. G. Perrot et Ch. Chipiez, Histoire de l'art dans l'antiquité, Paris, 1903, I. VI, fig. 415.

⁹ გრიფონი, როგორც მოტივი, თრაკიულ მონეტებზედაც გავრცელდა. ბერძნულ სკარაბეიდიებზე იგი ყველაზე მრავლად ძვ. წ. V საუკუნეში გვხვდება.

რქოსან ცხენს მეტად მძიმე ტორსი აქვს, პატარა თავი; მტაცებლური გრძელი დრუნჩი, რომელიც პაწია რელიეფური წერტი-



სურ. 9, 10

ლებით ბოლოვდება, ერთი შეხედვით ნისკარტს მოგვაგონებს. თვალი გულამოდებული წერტილითაა აღნიშნული, მოზრდილი რქა ანათულია. დაბალი კისტრა თავის ფუცესთან მკვეთრად ფართოვდება და ფართო, ამობერილ მკერდში გადადის ყოველგვარი გრადაციის გარეშე. პირუტყვი წელფართოა, მძიმე გავა აქვს, წვრილი ზალალო ფეხები. — უკანა ფეხები წინაზე მსხვილია, ჩლიქები პირობითად არის აღნიშნული. მკერდზე, მუცელზე, ნაწილობრივ ზურგზე ბალანი ტეხილი ხაზებითაა გადმოცემული ასეთივე ხაზებითაა აღნიშნული ფაფარიც (იხ. გამოხატულება. ტაბ. II, 9; სურ. 10).

კომპოზიციას ფარაკის მთელი პირი აქვს შევსებული იქამდე, რომ პირუტყვი შუბლით ინტალიოს კიდეს ებჯინება. გამოხატულება ანაბეჭდზე დაბალ, მეტად ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: ბრტყელი კვეთით შესრულებული გამოხატულება ერთ სიბრტყეშია ამოკრილი, არალრმად და სქემატურად. მკრელი ძირითადად მხოლოდ სილუეტის ჩაღრმავებით განისაზღვრება, შინაგანი ნახატი საეხებით დაუმუშავებელი აქვს. ცალკეული დეტალები სუმარულადაა გადმოცემული, ხშირად — პირობითად აღნიშნული არც კი არის.

მკრელისათვის უცხოა როგორც ადამიანის, ასევე ცხოველთა ანატომია. — მან ვერ შეძლო, თუნდაც პირობითად, „ხორცის შესხმა“ ადამიანის სხეულისათვის, რომელიც გეომეტრიულ (სახელ-

დობრ ტორსი) საგანს უფრო წააგავს, ვიდრე ადამიანის ფიგურას. ასევე ვერ დასძლია მან ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან, რამდენადმე, ჰარმონიულად დაკავშირება თუ გაერთიანება (იხ. ფეხები, ტორსი, ხელები; ცხენის ფეხები). გამოხატულება ერთიანად უსიცოცხლო და გახევებულია.

მკრელს ნახმარი აქვს ძირითადად საკრისი სწორკუთხოვანი წვერით და ნემსი; გამოყენებულია პატარა *bouterolle*-იც.

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ: ცხენი — მარტორქა ტორსის აგებულებით ჯორს მეტად ენათესავება, ვიდრე ცხენს. — ფართო გავა, ამობერილი გულ-მუცელი. აგრეთვე ანგარიშგასაწევეია ყურის მოყვანილობაც.

ზემოსხენებულის გამო ჩვენ „მარტორქა-ცხენს“ საბოლოოდ განსაზღვრულად ვერ ჩავთვლით, რადგან ჯერ კიდევ გასარკვევი გვაქვს რომელი მითიური პირუტყვი წარმოგვისახა მკრელმა ინტალიოზე — რქოსანი ცხენი თუ რქოსანი ვირი¹⁰.

რქოსან ცხენზე ამხედრებული ადამიანის ფიგურა ძველი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ საბექდავი-ბექდების თემატიკისათვის უცხო კომპოზიცია არ არის. რქოსანი ცხენები ყანჩათისა (იხ. გვ. 40—42), ვანისა (წარჩინებული კოლხის — დელატოსის სამარხიდან)¹¹ და ცხინვალის ნაცარგორასთან — ქვიანას სამაროვანში გამოვლენილი ბექდების მიხედვითაა ცნობილი¹². მაგრამ, როგორც წინადაც აღვნიშნავდით, ხსენებული მასალების არსებობა არ არის საკმარისი ამ რთული კომპოზიციის გარკვევისა-

¹⁰ კლავდიუს ელიანუსის ცნობით (იხ. *Περὶ Ζῴων*), სკივთების ქვეყანაში რქოსანი ვირები ბინადრობდნენ. — „სკივთების ქვეყანაში არიან რქოსანი ვირები“... (იხ. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბილისი, 1969, გვ. 163)

¹¹ იხ. მარგ. ლორთქიფანიძე. „არქაული და „არქაოზირებულ“ საბექდავი-ბექდები ვანიდან, ვანი II, თბილისი, 1976, გვ. 148—149.

¹² შენიშვნის სახით: ზემოსხენებულ გამოსახულებები სტილისტურად განსხვავებულია. ამას გარდა—თვით რქოსანი ცხოველიც განსხვავებული ჭიშისა (თუ ოჯახისა) ჩანს.

¹² იხ. მარგ. ლორთქიფანიძე. კორპუსი, I. IV, 41.

თვის*. სიუჟეტის განსაზღვრას ისიც ართულებს, რომ ბერძნულ-
თუ ბერძნულ-სპარსულ, ფართო გაგებით, გლიპტიკურ მასალებში
წუბოსან მხედართა მრავალრიცხოვან გამოხატულებათა შორის
ანალოგიური მოტივი არ შეგვხვედრია.

* ი. გავოშიძე ყანაეთში აღმოჩენილ საბეჭდავ-ბეჭედზე გამოხატულ წუბოსან
მხედარს, რქოსან ცხენზე ამხედრებულს, მთვარის ღვთაებად („მებრძოლი მხედარი“)
მოიხსენებს. იხ. მისი, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. გვ. 39). ჩვენ ჯერ-
ჯერობით ამ საკითხზე მსჯელობისაგან თავს ვიკავებთ.

6. ა ს უ რ ე თ ი. ს ო ფ. ს ა მ ა ჩ ვ ე თ ი

თეთრიწყაროს რაიონის სოფ. სამაჩვეთში 1965 წელს მიწის სამუშაოების წარმოებისას სამარხს წააწყდნენ. — ქვაყუთო დაზიანებულა, მაგრამ ინვენტარის ნაწილი, რომელიც ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭედსაც შეიცავდა, სოფ. ასურეთის სკოლაში მოხვედრილა¹. აღმოჩენის ადგილზე ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილებამ სათანადო არქეოლოგიური ძიება ჩაატარა და სხვა სამარხეული ნივთებიც მოიპოვა².

ჩვენთვის საინტერესო ბეჭედი თავისი ფორმით განსხვავებული ტიპისაა (იხ. ტაბ. VII, სურ. 9) და საქართველოში მოპოვებულ ბეჭედებს შორის, მის ფორმას, პირდაპირი ანალოგია არ ეძებნება.

გადავდივართ ბეჭდის ანალიზზე:

ს ა ვ. № 26—65. — ბეჭედი-ინტალიო, ბრინჯაოსი. თხელი ფირფიტის ოვალური და ფართო ფარაკი ბოლოებში შევიწროებულია. ფარაკი ვიწროა და შებრტყელებული, მავთულისებრ რკალში გადადის. ბეჭედი გვერდებისკენ იმდენად მკვეთრადაა განზიდული (— ელიფსისებრი მოყვანილობა აქვს), რომ მისი გაკეთება მხოლოდ თითის პირველ სახსარზე შეიძლება.

ფარაკის პირი ოდნავ ამოზნექილია. ზურგი — თითქმის შეუმჩნევლად ჩადრეკილი* (ტაბ. VII, სურ. 9).

¹ ბეჭედი დასამუშაებლად გადმოგვცა არქეოლოგმა ნ. თუშიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ. ნ. თუშიშვილისათვის ნივთი ასურეთის სკოლის მასწავლებელს ჩ. მეტრეველს ჩაუბარებია.

² გათხრებს აწარმოებდა ნ. თუშიშვილი.

* დ ა ე უ ლ ო ბ ა: ბეჭედი მუქი მწვანე ფერის კეთილშობილი პატინის თხელი ფენით არის დაფარული. რკალის ნაწილი, უშუალოდ ფარაკთან, მოტეხილი აქვს.

ზ ო მ ე ბ ი: ბეჭდის სიმაღლე—12 მმ, განი—19 მმ, ფარაკის სიგრძე 17 მმ, განი—13 მმ, რკალის სისქე—2 მმ.

პირზე, ზედმიწევნით გრაფიკულად. რქოსანი მწოლიარე ცხოველია გამობატული, პროფილში მარცხნივ. თავი უკან აქვს მობრუნებული — უკან იყურება (სურ. 11).

გამობატულება მეტად თავისებურია. — იგი გეომეტრიული „სხეულებისაგან“ შედგენილ ნახატს წარმოადგენს: ორი პაწია რელიეფური წერტილით აღნიშნული თავი და დრუნჩი ერთმანეთთან სწორი ხაზითაა დაკავშირებული. კიბერი ტოლფერდა სამკუთხედს წარმოადგენს. რომლას „ფუბე“ უშუალოდ გადადის წრივ გამოხატულ გულმკერდში. ცხოველის გავაც იგივე ზომის წრითაა გამოხატული. მკერდი და გავა სწორი ხაზითაა, ცერად შეერთებული, ასე, რომ თავებშეკრულ S-სებრ სპირალს მოგვაგონებს.



სურ. 11.

გამობატულება ანაბექდზე მხოლოდ ხაზოვან „ნახატს“ აღბეჭდავს.

ტექნიკა: ხაზოვნად ამოკრილი გამობატულება ფაქტიურად გრაფიკული ნახატია. არალრმა, ძალიან მკაფიო და მიუხედავად კვეთის მშრალი სტილისა ფაქიზი ნახელავის იერი აქვს, რადგან კონტურებით მოხაზული ცალკეული ფორმები მსუბუქი და ნატიფი ჩანს.

გამოყენებულია წამახული საჭრისი და ბრინჯაოს ნემსი. — წამახული საჭრისით ჩანს ამოკრილი წერტილოვანი ჩარჩო, ცხოველის ჩლიქები, დრუნჩი და თავი.

შესრულების მიხედვით გამობატულება დეკორატიული მოტივის შთაბეჭდილებას ახდენს. — თითქოს იგი მხოლოდ ფარაკის შესამკობლადაა ამოკრილი და არა გამობატულების აღსაბეჭდად ბეჭდის დასმისას. ამდენად, ჩვენი ნივთის ფუნქციონალური დანიშნუ-

ლების საბოლოო გარკვევისაგან — ვიდრე შესატყვის მასალებს უფრო ფართოდ არ დაუჟიპირისპირებთ — თავს ვიკავებთ.

ამასთანავე აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბეჭედს სამკაულისათვის მოუხერხებელი ფორმა აქვს. იგი, როგორც აღნიშნული გვექონდა, მხოლოდ პირველ სახსარზე წამოსაცმელად იყო განსაზღვრული. თანაც ფარაკი იმდენად ფართოა, რომ თითს (ანუ პირველ სახსარს) მთლიანად ფარავს.

ცალკე რიგში აყენებს ბეჭედს ფორმის შებრტყელებულობა. — ანალოგიური რკალი, თვით ფარაკი — ანტიკური ხანის ბეჭედებს შორის გავრცელებულია. მაგრამ ასე განზე განზიდული, ამ ტიპის ბეჭედი — არ შეგვხვედრია³. როგორც ჩანს ასურეთის კრილაფარაკიანი ბეჭედი ამ მხრივ ბეჭედის ახალ ტიპს წარმოგვიდგენს. წერტილებსაგან შედგენილი წყვეტილი ჩარჩო, რომელიც ფარაკის კედელს დაჰყვება გამოხატულების არგულივ. არქაული ბეჭედების დამახასიათებელი ნიშანია. სახელდობრ, წერტილოვანი (წყვეტილი) ჩარჩო გვიან არქაულ პერიოდის ბეჭედზე გვხვდება⁴. თვით ფარაკიც, ამ დროს უფრო გათხელებულია და ხშირად პირამონექილია⁵.

ამრიგად — ჩვენი ბეჭედი ერთიანი ტიპით თუ არა, ცალკეული დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით, ჩემი ვარაუდით, გვიანარქაულ ხანას მიეკუთვნება.

სტილისტურად, გამოხატულებას ანალოგიები თანადროულ გლიპტიკურ ძეგლებს შორის, ჯერ ვერ მოუძებნეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ კვლავ ვაგრძელებთ მეცადინეობას* გარკვეული დასკვნის გამოტანა მაინც შესაძლებელი ხდება: ასურეთის ინტალიო-ბეჭედი მეტად საგულისხმო ნიმუშს წარმოადგენს ლითონზე გლიპტიკის თავის თავადი სტილისას.

³ შტრ. Marshall, Finger Rings. ტაბ. XX; Boardman, Archaic Finger Rings, ტაბ. 1—7; Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 217—ტაბ. 7; J. Boardman, Etruscan Finger Rings in Oxford, Papers of the British School at Rome, v. XXXIV (New Series v. XXI), 1966.

⁴ შტრ. Boardman, Archaic Finger Rings. ტაბ. 7, № 4, № 33.

⁵ იხ. Boardman, Archaic Finger Rings. გვ. 25—26. ტაბ. 7, № 42.

* კული შტრ. Richter, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 174; — შთის ბროლზე გამოხატული ურჩხული „შერწყმულ“ არსებას წარმოადგენს: სხეულის წინა ნაწილი თხისა აქვს, ბოლო—გველისთავიანი (არქაული პერიოდის ბერძნული გემაა. ძვ. წ. VI საუკ. მიწურული), ათენის ნაციონალური მუზეუმი.

იხ. აგრეთვე: J. Svoronos, Journal International d'Archéologie Numismatique, XVII, Athènes, 1915, ტაბ. VI, 3.

7. ა რ დ ის უ ბ ა ნ ი

1960 წელს, არდისუბანში, ერთ-ერთი მოსახლის ეზოში ქვაყუთი აღმოჩნდა. არქეოლოგებს ფაქტიურად მისი გაცხნა არ დასცალდათ. — სამარხი მათ დაზიანებული დახვდათ¹. სამარხში ორი ბეჭედი ნაპოვნი, ერთი თითის ძვალზე იყო ორივე ჩამოცმული. ერთი ბეჭედი, რკინისაა, მეორე. — ბრინჯაოსი (?) კრილფარაკიანი².

სხენებული კრილფარაკიანი ბეჭედი განსხვავებული ტექნიკითაა გაკეთებული: კერძოდ — ორი სხვადასხვა ლითონია გამოყენებული ბრინჯაო და ელექტრუმი.

მრგვალი მოყვანილობის ფარაკი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაა, რომელსაც პირზე ელექტრუმის სიფრიფანა ფურცელი აქვს გადაკრული. ელექტრუმის ფურცლით მოპირკეთებული ფარაკი მრგვალი მავთულის საკმაოდ სქელ რკალზეა დარჩილული. ბეჭედი დიდი ზომისაა. ფორმით თანაბარ რგოლს წარმოადგენს, რკალგანსნილია³. ბოლოებში გაბრტყელებული ღერო სწორადაა წაკვეთილი.

პირზე, ზედმიწევნით ხაზოვნად, გამოხატულია მზე. — ცენტრში მოთავსებული დისკო, პატარა რგოლის სახით, გრძელი სხივებით გარშემოვლებული. სხივების ერთი წყება ცერადაა ამოკრული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს (ფარაკის

¹ ქვაყუთი № 1.

² საეულე № 30, რკინის ბეჭდის საეულე № 29. ნივთი დასამუშავებლად ნ. თუშინვილმა გადმოგვცა, რისთვისაც მადლობას მოვხსენებთ.

³ და ც უ ლ ო ბ ა: ბეჭედი გატეხილია—რკალი ფარაკს მოცილებულია. ლითონი პატინამ დაზიანა, ფარაკის ნაპირები შემოკბილულია.

ზ ო მ ე ბ ი: ბეჭდის სიმაღლე—24 მმ, დიამეტრი—20—18 მმ, ფარაკის დიამეტრი—12 მმ, რკალის დიამ.—3 მმ.

კიდეს თითქმის გადაცდენილია), ანაბეკდზე მკაფიო ხაზოვან ნახატს იძლევა.

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამოხატულება ბრინჯაოს ნემსით არის შესრულებული. გრაფიკულ ნახატს წარმოადგენს, რიგითი მკრელის ამოკრის.

ერთი პირობა ფარაკის პირი მოვარაყებულად მივიჩნიეთ და არა ორფურცლოვნად.

ზომის მიხედვით ბეკედი მამაკაცისა უნდა ყოფილიყო. თუ მხედველობაში მივიღებთ გამოსახულების სიღრმეს, ხოლო ამასთან შეფარდებით ანაბეკდზე მიღებულ რელიეფს, ძნელი დასაშვებია, რომ ბეკედს საბეკდავის ფუნქცია ჰქონოდა.

ბეკედი ტიპის მიხედვით (რკალგახსნილი) ნივთი ადგილობრივი წარმოშობისაა. კვეთის სტილიც იგივეს ადასტურებს. ხოლო მეტ-ნაკლებად სწორად დათარიღებისათვის სათანადო მასალების მიკვლევა საჭირო⁴.

⁴ ხელთ არსებული მასალა საქმარისად არ მიგვაჩნია.

8. ძ ვ ი ა ნ ა

ცხინვალის ნაცარგორასთან, ქვიანას სამაროვანში, 1948 წლის არქეოლოგიური სეზონის განმავლობაში გამოვლენილ № 7 სამარხში ბრინჯაოს ორი საბეჭდავი-ბეჭედიც აღმოჩნდა¹. საბეჭდავები რკალგახსნილი (პირიპირზე გადასულ) ბეჭდების ადგილობრივ ტიპს წარმოადგენს და ჩვენში გავრცელებულ ადრეულ ტიპს განეკუთვნება: ბეჭდებს დიდი ფირაკითა და ბოლოებისაკენ თანდათანობით გაწვრილებული რკალით.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს მხოლოდ ერთი საბეჭდავი-ბეჭედი შეადგენს, სახელდობრ ირმისგამოხატულებიანი, რომელიც გარკვეული ნიშნებით ბერძნული ხელოვნების ძეგლებთან კერძოდ, გლიპტიკურთან ავლენს ახლო კავშირსა თუ მსგავსებას².

საველე № 119. ქვევითევენ ოდნავ ჩამოგრძელებულ რკალგახსნილ ბეჭედს ოვალური მოყვანილობის, დიდი ზომის ფარაკი აქვს. რკალი პირი პირზეა გადასული, ფარაკის მიმართულებით შეუმჩნევლად ფართოვდება და უშუალოდ გადადის ინტალიოში. ბეჭედი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული³.

პირზე გამოხატულია თავაწეული ირემი სწრაფი რბენისას, პროფილში მარცხნივ. დიდი ხშირტოტებიანი რქები ზურგს პარალელურად გასდევს და გავამდე სწვდება. თავი სუმარულადაა შესრულებული; თვალი აღნიშნული არ არის. არც კისერია ტორსისა-

¹ ბეჭდები გამოცემული გვაქვს: ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I, გვ. 8, 43, 84, 85. მაღლობით ეხსენიებთ ექსპედიციის ხელმძღვანელს გ. ვობეჯიშვილს, რომელმაც მასალა გადმოგვცა დასამუშავებლად.

² რხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი, I, გვ. 43.

³ ბეჭდები მიცვალბულს მარცხენა ხელის თითებზე ეკეთა, ზომის მიხედვით მაშაკის კუთვნილებას შეადგენს.

გან გამოყოფილი, ერთმანეთში ყოველგვარი გრადაციის გარეშე გადადის და თანაბარი ბრტყელი რელიეფითაა შესრულებული.

იომის სწრაფი მოძრაობა ოსტატმა ძალიან წინ გაშვერილი წინა, მეტად მოკლე, კიდურების საშუალებით გამოსახა. სწორხაზოვნად გამობატული წინა ფეხები მუხლამდე ჩანს. ხოლო მუხლებში მოხრილი მაღალი უკანა ფეხები „გადატეხის“ ადგილას მკვეთრ კუთხეს ქმნის. უკან გაშვერილი კუდი სწორი ხაზითაა აღნიშნული (ტაბ. III, 11, სურ. 12).

იომის მოძრაობა თავისუფალი და ცოცხალია, ოსტატმა მისწრაფებაა გამობატულებით შეავსოს ინტალიოს — ფარაკის მთელი პირი კიდიდან-კიდემდე.

ტექნიკა: გამობატულება ერთ სიბრტყეშია ამოკრილი, არალრმად; — კვეთას დაუფლებული გაბედული ხელით. ოსტატს ძირითადად ნახმარი აქვს ბრინჯაოს ნემსი და მომრგვალებულპირიანი საჭრისი; აგრეთვე სწორკუთხოვანი საჭრისიც უნდა იყოს გამოყენებული⁴.

ნახელავი მეტად ბრტყელი კვეთით გამოირჩევა, დაბალი და თანაბარი რელიეფით. შინაგანი ნახატი დამუშავებული არ არის — ცალკეული ფორმები დაუნაწევრებელია: გაერთიანებულია. — მხოლოდ გავაა ოდნავ მინიშნებით გამოყოფილი. ფეხები გრაფიკულადაა გადმოცემული. ამასთანავე, როგორც აღნიშნული გვექონდა, არათანაზომიერია. მაგრამ მიუხედავად ზემოხსენებული ნიშნებისა, მკრელის თავისებური — ესკიზური მანერისა, ნახატი უაღრესად ფაქიზია, ფორმები პლასტიკურია.

როგორც ცნობილია, ცხოველთა გამოსახულებებს საგულისხმო ადგილი უჭირავს ბერძნულ ხელოვნებაში. არქაული პერიოდიდან მოყოლებული მეტი ყურადღება ეთმობა ცხოველთა რეალურ სამყაროს⁵. უპირატესდ ლომის გამობატულებები ჭარბობს. ლომებს გარდა ბერძნები ახლო გარემოს ცხოველებს სწავლობდნენ: ხარებს, ძროხებს (ხბოსთან ერთად ან ცალკე); ცხვარს (ვერძს), ანტილოპებს, ცხენებს, ვირებს⁶.

⁴ და ც უ ლ ო ბ ა: ლიონი არაკეთილშობილი პატინით არის დაფარული; ფარაკის კიდე ჩამოტეხილია.

⁵ ზ ო მ ე ბ ი: ბექდის ღიაშ.—14 მმ, ფარიკის ზომა 19 X 16 მმ.

⁶ R i c h t e r, A History of Creek Art in Miniature, I, გვ. 68.

⁷ R i c h t e r, დასახ. ნაშრ., იქვე.

კლასიკური პერიოდის განმავლობაში ინტერესი ცხოველთა გამოსახულებებისადმი კიდევ მეტად იზრდება. ძვ. წ. V—IV სს ცხოველთა ბუნებისადმი დიდი ინტერესი გემების თემატიკაში აისახა⁷. კიდევ მეტი — ცხოველები, ამ ხანაში, ზუსტად არის შესწავლილი; განსაკუთრებით ბერძნებისათვის ცნობილი ჯიშები. მხოლოდ რამდენიმე მტაცებელი, მათ შორის პირველ რიგში ლომი, ერთგვარად წარმოსახვით არის გააზრებული და როგორც ჯ. რიხტერი აღნიშნავს: ლომების არსებული გამოსახულებები იმაზე მეტყველებს, რომ ოსტატებს ხსენებულ ცხოველზე უშუალო დაკვირვების საშუალება არ ჰქონიათ⁸.

გამოხატულებებში საკმაოდ გავრცელებულ ცხოველს, ისევე როგორც ადრეულ ხანაში, კვლავ ლომი წარმოადგენს. იგი სხვადასხვა ვარიანტებშია წარმოდგენილი. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სცენებს: ლომის თავდასხმას მსხვერპლზე (ხარზე, ირემზე, ცხენზე) და ა. შ.

საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ჭრილა ქვებზე მსრბოლი ცხოველების ცალკე გამოსახულებებიც: ხარირმისა (ფურირმისაც), ხარისა, თხისა, ანტილოპასი, მელასი და ა. შ.⁹

ცხოველთა სხეულის ანატომიისა და მათი მოძრაობის სრულყოფილად ათვისება კლასიკური ხანის ბერძენმა ოსტატებმა შეძლეს. — მათი ნახელავი მაღალი მხატვრულობით გამოირჩევა: უზადო პროპორციები, ფორმათა პლასტიკურობა, მოქნილი მოძრაობა — ეს არის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რაც ერთიანად დახვეწილს ქმნის შესრულების ტექნიკას, სტილს.

ასევე მრავლადაა წარმოდგენილი რბენისას გამოხატული ცხოველები ე. წ. „ბერძნულ-სპარსულ“ გლიპტიკურ ძეგლებზე ანუ აქემენიდური ხანის გემებზე¹⁰. ბერძენ მჭრელთა წვლილი აქაც ნათლად ჩანს, მაგრამ ამასთანავე ცხოველები აქ „მფრინავი ნავარდისას“ არიან გამოსახულნი, რაც, სახელდობრ, აქემენიდური გლიპტიკისათვისაა დამახასიათებელი¹¹.

⁷ Richter, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

⁸ Richter, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

⁹ იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, 562, 912, 915, 916, 305, 350; Richter, A History of Greek Art in Miniature, 410, 437 და ა. შ.

¹⁰ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., 305, 350.

¹¹ „მფრინავი ნავარდის“ („Galop volant“) წარმოშობის წყაროდ ეგვიპტური სამყარო ითვლება (G. Contena u, La glyptique Syro—Hittite, გვ. 146).

როგორც აღნიშნული გვექონდა, ჩვენს საბეჭდავ-ბეჭედზე ირემი სწრაფი რბენით მდგომარეობაშია გამოხატული. ხსენებული ინტალიო ადგილობრივ ნახელავად განვსაზღვრეთ (იხ. ჩვენი; კორპუსი I, გვ. 43, 84) და ძვ. წ. VI საუკ. დაეთარილეთ¹².

ხელახალმა მეცადინეობამ დააზუსტა ჩვენი აღრეგამოთქმული მოსაზრებები: აღნიშნულ ინტალიოს მრავალრიცხოვან ირმების გამოხატულებებს შორის ანალოგია ვერ ეძებნება. სახელდობრ, სტილისტურადაა იგი განსხვავებული¹³ შესადაარებლად მოტანილ მასალისაგან. იკონოგრაფიულადაც არ წარმოადგენს ქვიანას ირემი რომელიმე მათგანის ზუსტ განმეორებას.

ანტიკური წარმოშობის გლიპტიკურ ძეგლებთან დაპირისპირებისას აშკარა ხდება, რომ ქვიანას ინტალიოს მკრელი პლასტიკური ხელოვნების მხრივ ვერ დგას ბერძენ ოსტატთა დონეზე და მისი ნახელავი უფრო პრიმიტიული ხასიათისა არის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ძეგლების ფონზე, პლასტიკური ფორმის გადმოცემისას ქვიანას ირმის შემსრულებელი უაღრესად ფაქიზ ხერხს იყენებს. და, როგორც აღნიშნული გვექონდა, აღწევს მოძრაობის ცოცხლად, ძალდაუტანებლად გადმოცემას. ეს საგულისხმო ნიშნებია გასათვალისწინებელი იმის დასასაბუთებლად, როცა გამოვთქვამთ მოსაზრებას ადგილობრივი მკრელების ბერძენ ოსტატებთან უშუალო კავშირისა (სახელდობრ კვეთის ხელოვნების მათთან დაუფლების საკითხს ვგულისხმობთ) და მათი, ძველთაგანვე ანტიკური გლიპტიკის გავლენის ქვეშ მოქცევის შესახებ¹⁴.

ქვიანას ინტალიოს მკრელის მისწრაფება მთლიანად შეავსოს გამოხატულებით ფარაკის მთელი პირი, რაც უპირატესად არქაული გლიპტიკისათვის არის დამახასიათებელი. არქაული პერიოდის მკრელების მანერას ახასიათებს აგრეთვე მსრბოლი ცხოველების ისეთ მდგომარეობაში გამოხატვა და წინა კიდურების იმ სახით გადმოცემა, როგორც ეს ჩვენს ინტალიოზეა¹⁵.

¹² გ. გობეჯიშვილი სამარხეული ინვენტარის ერთ ნაწილს ძვ. წ. VI საუკ. აკუთვნებს.

¹³ შტრ. R i c h t e r, A History of Greek Art in Miniature, გამ. 437; Imhof—Keller, Tier und Pflanzenbilder auf Gemmen und Münzen, ტაბ. XVII, 19; Walters, British Museum Gems, ტაბ. X, 549; B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, გვ. 305, 437 და ა. შ.

¹⁴ იგივე აზრი, მხოლოდ უფრო ფრთხილად გამოთქმული, გვაქვს: კორპუსი I, გვ. 43.

¹⁵ შტრ. R i c h t e r, A History of Greek Art in Miniature, გამ. 210. (ოქროს

ამრიგად, ქვიანას საბეჭდავი-ბეჭედი ადგილობრივი ი ბ ე რ ი-
ე ლ ი ოსტატის ძიერაა ნაკვეთი, რომელსაც გლიპტიკის ხელოვნება,
ჩანს, ბერძენ ოსტატებისგან შეუთვისებია, ბერძნული სკოლის
გავლენა განუცდია და, უნდა ვივარაუდოთ, ნიმუშად ბერძნული
ბეჭდები გამოუყენებია. რაც შეეხება საბეჭდავის წლოვანებას—
იგი ძვ. წ. VI საუკ. ბოლო წლებით თარიღდება. ერთ-ერთი ყველაზე
ადრეული რკალგახსნილი ინტალიო-ბეჭედი.

ბეჭედი ანტილოპას გამოხატულებით. ბერძნული არქაული პერიოდი, ძვ. წ. გვიან
VI საუკ.)

9. ე ღ ი ს ი

ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ბრინჯაოს ინტალიო-ბეჭედი, რომელიც 1925 წელს ედისში აღმოჩენილა¹. ბეჭედი განსხვავებული ტიპისაა, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ანალოგიურ ნივთთა შორის იშვიათობას წარმოადგენს. — იგი რკალგახსნილია, მაგრამ ერთიანი ფირფიტისაგანაა გაკეთებული და უფარაკოა.

ერთიანი, ფართო ფირფიტისაგან გაკეთებული რკალგახსნილი ინტალიო-ბეჭედები ძველ სამყაროში, სახელდობრ, ადრეანტიკურ ხანაში, ცნობილია². ძირითადი, გავრცელებული. ტიპი ამ ბეჭედებისა თანაბარი სისქე-სიგანის ლითონის ფირფიტის რგოლია, ან ცილინდრისებრი, უფრო სწორად: პირი პირთან მისული (ბრტყელზედაპირიანი) რგოლის, ფორმაა.

გადავდივართ ბეჭდის (ინვ. 1113/1304) ანალიზზე³:

საკმაოდ სქელი, ბრინჯაოს მთლიანი ფირფიტის ბეჭედი პირხსნილია. გახსნილი რკალის სწორად წაკვეთილი ნაპირები ერთმანეთზეა მისული. ბეჭდის შუაგული (ზედა ნაწილი), რაზედაც ინტალიოა ამოკვეთილი, ფართოა. ხოლო ქვევითკენ, გახსნილი ნაწი-

¹ დაწერილებითი ცნობები მოპოვების ვითარების შესახებ ჩვენთვის ხელმოუწოდომელი შეიქნა (გაიბნა თუ თავის დროზეც არ იყო სათანადოდ ფიქსირებული ვერ დაუდგინეთ).

² იხ. M a r s h a l l, Finger Rings.

³ ბეჭედი გამოცემული გვაქვს: იხ. ჩენი კორპუსი, I, გვ. 45, 97, ტაბ. V, 61.

ღ ა ც უ ლ ო ბ ა : ბეჭედს უმნიშვნელო დაზიანებანი აქვს.

ზ ო მ ე ბ ი : ბეჭდის დიამ.—12 მ მ, სიმაღლე—22 მ მ, ინტალიოს განი—11 მ მ, ლითონის სისქე—1 მ მ.

ლის მიმართულებით, თანდათან ვიწროვდება. ბეჭედს ამობურცული ზედაპირი და ამოღრმავებული შიდაპირი აქვს. რკალს ნაპირების გასწვრივ თითო რელიეფური ზოლი გასდევს, ღრმა კედელი ღარებით გამოყოფილი.

პირზე (ბეჭდის ცენტრალური ნაწილი, შედარებით მეტად ამობურცული) მტაცებელი ცხოველია გამოხატული, პროფილში მარცხნივ, რბენის მდგომარეობაში (დაოთხებით მირბის). მტაცებელს დაბალი ოდნავ გახსნილი რქა აქვს, გრძელი დრუნჩი, პირაშკმულია, თვალი პირობითად, მკრთალი რელიეფური წერტილითაა აღნიშნული. პატარა, სუმარულად შესრულებული თავი უშუალოდ გადადის ღონიერსა და მალალ, საკმაოდ ბალნიან, კისერში. კისერი ტორსისაგან მკრთალადაა გამოყოფილი. უკან გაშვერილი სქელი კუდის ბოლო ზევითაა აპრეხილი. მტაცებელს გრძელი და ვიწრო ტორსი აქვს. მოქნილი ტანი, ბასრი ბრკყალებით დაბოლოვებული მალალი ფეხები.

მტაცებელი ორი პალმეტის შორისაა მოთავსებული. ხსენებული პალმეტები გამოჰყოფენ ინტალიოს ბეჭდისაგან, რაც გამოსახულებას გარკვეულ „ჩაარჩოს“ უქმნის (ტაბ. III, 12. სურ. 13).



სურ. 12, 13

მიუხედავად იმისა, რომ გამოხატულება თითქმის თანაბარ, ჭავსებით დაუნაწევრებელ რელიეფში არის შესრულებული და შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია, იგი მაინც გარკვეული პლასტიკურობით ხასიათდება. და მიუხედავად სქემატიზმისა (რაც ერთგვარად პოზის გახევებულობაში აისახა), მკრელი აღწევს სწრაფი მოძრაობის დამაჩერებლად გადმოცემას.

ტექნიკა: გამოხატულება ხელით არის ამოჭრილი, არაღრმად, თითქმის ერთ სიბრტყეში. მიუხედავად იმისა, რომ კვეთა საკმაოდ სუმაჩული და სქემატურია, სიფაქიზით გამოირჩევა, აშკარაა, რომ ოსტატი დახელოვნებული მჭრელი ყოფილა.

გამოხატულების ამოსაჭრელად, გარდა ბრინჯაოს ნემსისა, გამოყენებული ჩანს საჭრისებნი: მომრგვალებული წვერითა და ფართოპირიანი.

ბეჭედი შემდეგი წესით გაუკეთებიათ: ბრინჯაოს გაშლილი ფირფიტისაგან არის გამოჭედილი, ნაპირებზე ჩაღარული, ამის შემდეგ სასურველი მოყვანილობა აქვს მიცემული. ინტალიო უკვე გამზადებულ ბეჭედზეა ამოჭრილი.

ჩვენ ინტალიო-ბეჭედს ადგილობრივ ნახელავად მივიჩნევდით და ორიენტალიზირებული სტილის ბერძნულ სიუჟეტებიან ჯგუფს ვაკუთვნებდით⁴. — ჯგუფს, რომელსაც ზოგადად ძვ. წ. V—III სს. ვათარილებდით⁵.

ედისის ბეჭედზე ამოჭრილ მტაცებელს გამოცემულ გემა-ინტალიოთა შორის ანალოგია ჯერაც ვერ მოუძებნეთ იმ მრავალრიცხოვან ცხოველებში, რომლებიც გლიპტიკურ ძეგლებზეა წარმოდგენილი. ვერც სახვითი ხელოვნების სხვა მასალებში შეგურჩიეთ შესატყვისი პარალელი, იგი იკონოგრაფიულადაც განსხვავებულია და სტილისტურადაც. მიუხედავად იმისა, რომ ნახელავში, როგორც ამას ადრეც აღვნიშნავდით, თითქოს მკრთალადაა გამოძლავებული მჭრელის ინდივიდუალურობა კვეთაში⁶, მაინც შესაძლებელი ხდება მისთვის დამახასიათებელი ნიშნებისა თუ მანერის გამოვლენა. — დადგენა იმისა, თუ სახელდობრ რომელ სკოლას ან მიმდინარეობას მიეკუთვნება ჩვენი ინტალიოს მჭრელი, ძირითადად რომელი მჭრელებისა და ოსტატების მიმდევარა თუ „მოწაფე“ ყოფილა; და კერძოდ, ვისი გავლენა განუცდია მის შემოქმედებას.

პალმეტები, რომელთა შორის მოუთავსებია მჭრელს თავისი მტაცებელი, ისეთი დამახასიათებელი დეტალია ჭრილათარაკიანი ბეჭედებისათვის, რომელიც კარგად დათარიღების საშუალებას იძ-

⁴ იხ. ჩვენი კორპუსი, I, გვ. 45.

ამასთანავე ერთგვარ სტილისტურ მსგავსებას ე. კონტენოს მიერ გამოცემულ მასალებში ვუძებნიდით (იხ. G. Contenu, Manuel d'archéologie Orientale, II, Paris, 1931; ტ. IV, 1197); იხ. ჩვენი, კორპუსი, I, გვ. 97.

⁵ იხ. ჩვენი, კორპუსი, I, გვ. 97.

⁶ იხ. ჩვენი, კორპუსი, I, გვ. 45.

ლევა და ამასთანავე წარმომავლობის დადგენისათვისაც საგულის-
ხმოა⁷.

ხსენებული პალმეტები (ან სხვა მცენარეული) ფარაკის ბო-
ლოში ანდა არეზე ამოჭრილი, არქაულ. ძვ. წ. VI საუკუნის მესამე
მეოთხედით დათარიღებულ ბეჭდებზე გვხვდება ძირითადად⁸. ამ
ტიპის კრილაფარაკიანი ბეჭდები მძიმეა—მასიური. ხოლო რაც შე-
ეხება მათ წარმომავლობას, ეტრურიის ბერძნულ სახელოსნოები-
დან მომდინარეობენ⁹.

ჯ. ბორდმანის მიერ გამოქვეყნებული კრილაფარაკიანი ბეჭდე-
ბი პალმეტიანი დეტალით ყველა ვერცხლისაა¹⁰, მკვლევარი ამ
ჯგუფს ძვ. წ. 500 წლით ათარიღებს¹¹.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოხსენებულ ბეჭედზე პალმეტები
(თუ მცენარეული) ფოთლებით გამოსახულებისკენ არის მოქცეუ-
ლი. — ედისის ინტალიოზე იგი პირუკუა ამოჭრილი¹². ამის გარდა:
ჩვენი ბეჭდის პალმეტი „გასადავებელია“ — უფრო სქემატურა-
დაა გამოსახული და ამიტომ იყო, რომ იგი თავდაპირველად „სამ-
კაპინ რკალად“ — „გეომეტრიულ“ სახედ მივიჩნიეთ¹³.

პალმეტებს შორის მოთავსებული ცხოველის (მსრბოლი ნუკ-
რი) გამოსახულება, ედისის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე
მოპოვებულ გლიპტიკურ ძეგლთა შორის ფიქვენარში, ბერძენ მო-
ახალშენთა სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდის
მიხედვითაა ცნობილი¹⁴ (პალმეტები აქაც ფოთლებით გამოსახულე-
ბისკენ არის მოქცეული). საბეჭდავი-ბეჭდები ძვ. წ. V საუკ. I
ნახევრით გვაქვს დათარიღებული და დასავლურ-ბერძნულ ნახელა-
ვად განვსაზღვრეთ¹⁵.

⁷ ანალოგიური პალმეტები იხ. R i c h t e r, A History of Greek Art in Mi-
nialure, გამ. 429;—B o a r d m a n, Archaic Finger Rings, F 8. 35, 36;—B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, გამ. 429.

⁸ იხ. B o a r d m a n, Archaic Finger Rings, გვ. 19.

⁹ იხ. B o a r d m a n, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

¹⁰ იხ. B o a r d m a n, დასახ. ნაშრ., გვ. 19, —20, ტაბ. 5—F8, F16, F17, F26, F27, F31, F34, F35.

¹¹ იხ. B o a r d m a n, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

¹² შღრ. B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 429, მისივე, Archaic Finger Rings, F8, 15, 17, 31, 34, 36.

¹³ იხ. ჩვენი, კორპუსი, I, გვ. 97.

¹⁴ იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კოლხეთის ძვ. წ. V—III სს. საბეჭდა-
ვი-ბეჭდები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი) გვ. 22, ტაბ. 11, 2.

¹⁵ იხ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

ედისის საბექდავი-ბექედიც დამძიმებული ფორმისაა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პალმეტებით შემკული მასიური ბექედები არქაულ ხანას განეკუთვნებიან — ჩვენი ინტალიოც ამ პერიოდის ნახელავს უნდა დავუკავშიროთ, ერთი მხრივ, და მასში დასავლურ-ბერძნული ნაწილობრივი გავლენა ვალიაოთ. ყოველ შემთხვევაში, პალმეტის მოტივი, უდავოდ ეტრურიაში მოღვაწე ბერძენ ოსტატთა ნახელავიდან ნასესხები სახე ჩანს.

მეორე მხრივ ბერძნულ „ორიენტალიზირებულ“ გლიპტიკურ ძეგლებთან აქვს ნათესაობა (იხ. თვით ცხოველის ტიპი), მაგრამ ამავე დროს თავისებური სტილისა და შესრულებისაა, რაც ძირითადი ნახატის მანერაში მკლავნდება. — შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია, სხეული მოდელირების გარეშეა შესრულებული, ფორმათა უაღრესი სუპარულობა — ესაა მთავარი დამახასიათებელი და ამასთანავე განმასხვავებელი ნიშნები ადგილობრივი მკრელისა. ეს ასხვავებს მის ნახელავს ბერძენთა მიერ შექმნილი გემებისაგან.

მაგრამ ამასთანავე კარგად დაცული პროპორციები (წაგრძელებული, მოხდენილი ტორსი მაღალი ფეხები. ზომით შეფარდებული თავი); შედარებით მოქნილი — პლასტიკური სხეული, ასევე ოსტატის მისწრაფება მოძრაობის პლასტიკურად გადმოცემისა ცხადყოფს იმას, რომ მკრელი ბერძნული სკოლის წარმომადგენელია — უკეთ ბერძნებთან ეუფლებოდა კვეთის ხელოვნებას.

რაც შეეხება ნივთის წლოვანებას, ბექდის ტიპისა, მტაცებლის წაგრძელებული პროპორციებისა და დამატებითი „ელემენტის“ — პალმეტების მიხედვით, დასაშვებად მიგვაჩნია საბექდავი-ბექდის ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით დათარიღება.

ამრიგად, ედისში აღმოჩენილი საბექდავი-ბექედი ადრეანტიკური ხანის ადგილობრივი ძეგლების იმ რიგს მიეკუთვნება, რომლებსაც ჩვენ ბერძნული გლიპტიკის გავლენით შექმნილ საბექდავად ვსაზღვრავთ.

10. ყოღოთო

1939 წელს ქიზიყში. სოფ. ყოღოთოში, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილ ორმოსამარხებში (№№ 16 და 17) სხვაინვენტართან ერთად ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭდები აღმოჩნდა. საბეჭდავი-ბეჭდების ეს პატარა ჯგუფი (სულ სამი ერთეულია) საგულისხმო ძეგლებია ძველი ქართული გლიპტიკის განვითარების შესწავლისათვის და, სახელდობრ, ადრეანტიკურ ხანაში საბეჭდავთა გამოყენება-გავრცელების საკითხების გასარკვევად.

ზემოხსენებული ბეჭდები, ინტალიოთა სტილისტური თავისებურებისა და განსხვავებული კვეთის მანერისა (ძეგლთა სათანადო მასალებთან დაპირისპირების შედეგად) ადგილობრივ ნახელავედ განვსაზღვრეთ. ხოლო შედარებით ანალიზზე დაყრდნობით მესოპოტამიური, კერძოდ, ასირიული გლიპტიკის გავლენით შექმნილ ძეგლებად მივიჩნიეთ¹.

რაც შეეხება ბეჭდების ფორმებს — ანტიკურ სამყაროში გავრცელებულ ფორმებს იმეორებენ (ოვალურ-მრგვალი დიდფარაკიანი ბეჭდებია, მეტ-ნაკლები სიგანის წვრილი, ქვევითკენ ჩამოგრძელებული რკალით). ბეჭდები იმ ტიპებს წარმოადგენენ, რომლებიც ფ. მარშალმა² ძვ. წ. IV—III საუკუნეებით დათარიღებულ ჯგუფში გამოკყო. ხოლო ჯ. ბორდმანის³ ახალი კლასიფიკაციის თანახმად (ჩვენი ბეჭდები მკვლევარის IX და XI ჯგუფებში გამოყოფილ ტიპებს შეესატყვისება) ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარსა და ბოლო ხანს მიეკუთვნება.


¹ იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი, I, გვ. 95—96; მისივე, საქართველოს მუზეუმის გემები, III, 1961, გვ. 41—44 (ნიუთები ინახება გლიპტიკის კაბინეტში).

² შტრ. Marshall, Finger Rings, ტაბ. 11, 49.

³ შტრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 214. 217.

ყოლოთოს ბეჭდების მკრელებს შორის „ორი ხელის“ გამოყოფა შეეძელით, — ორი ინტალიო: ქურუმის გამოხატულებითა და მამაკაცის ხელში სამსხვერპლო კალათით ერთი მკრელის ნაკეთობაა (სურ. 14, 15). მესამე ინტალიოს — ნავში მსხდომი ადამიანების გამოხატულებით სხვა ხელს ვაკუთვნებდით⁴.

როგორც ვხედავთ, ოსტატები საბეჭდავის ფორმად ბერძნული ბეჭდების ტიპებს იყენებდნენ, აქვე უნდა დავძინოთ, რომ ქურუმის გამოხატულებიანი ტიპი აქემენიდური ეპოქის ბეჭდებს უფრო ენათესავენ (ფარაკის ბოლოებში მკვეთრად შევიწროების ტენდენციითა და რკალით). თემად კი ძველალმოსავლურ გლიპტიკაში გავრცელებულ მოტივებს სესხულობენ (სურ. 14, 15).



სურ. 14, 15

თუმცა, ამ მხრივ, განსხვავებულად, სხვა წრის ძეგლად უნდა განისაზღვროს ინტალიო ნავში მსხდომი ადამიანების გამოსახულებით (ამაში მას შემდეგ დავრწმუნდით, რაც ჩვენ კვლავ მიეუბრუნდით აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ლითონის საბეჭდავი-ბეჭდების შესწავლას). — ბეჭდის ტიპის გარდა თვით გამოხატულებაც ანტიკურ, სახელდობრ, ბერძნულ გემებზე ასახულ თემატიკას უფრო უკავშირდება (ნიეთი თავის დროზე „მეორე ხელს“ მივაკუთვნეთ)⁵.

ი ნ ვ. № 695 ჩვენ მიერ განხილული ბეჭედი-ინტალიო ბრინჯაოსია, რომლის ოვალური მოყვანილობის დიდი ფარაკი არათანაბარი სისქის, ქვევით ჩამოგრძელებულ რკალში გადადის. რკალი

⁴ იხ. ჩენი, კორპუსი, I, გვ. 42.

⁵ ი ქ ვ ე.

ჯარედან გლუვია, შიდაპირზე წახნაგი აქვს გამოყვანილი. იგი უშუალოდ ფარაკთან, მხრებში, მკვეთრად ფართოვდება. მხრებზეც თითო წახნაგი დაჰყვება (და იქვე ქრება)⁶. (ტაბ. VII, 10).

ინტალიო ბრტყელპირიანია, ფარაკის ზურგი, ცენტრში ოდნავ შემალღებულა (შდრ. Marshall, Finger Rings, ტაბ. 11, 49).

მოცურავე ნაწი მსხდომი სამი ადამიანი ერთმანეთის უკან, პროფილში მარცხნივ არიან ნოთაუხებული წინ წაწეული ხელები ისეთ მდგომარეობაში აქვთ, თითქოს ნიჩბებს უსვამენ (ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ყოველი მათგანის მარცხენა ხელი ჩანს). ხელის მტევნები, პირველი და მესამე მამაკაცისა, ხაზგასმით გამსხვილებულია. ნიჩბები (ექვსივეა გამოხატული) ძალიან სქემატურად, სწორი ხაზებითაა გადმოცემული (ტაბ. III, 13; სურ. 16).

ნაწი მსხდომი ფიგურები იმდენად სუმარულადაა შესრულებული, რომ მათი სახის ნაკვთებისა თუ ჩაცმულობის გარკვევა შეუძლებელია (ამას რამდენადმე ლითონის დაზიანებაც ართულებს. სახელდობრ, ნაწი მსხდომთა თავის ირგვლივ არეს ვგულისხმობთ)⁷.

ნავი მრავალნიჩბიანია, ცხვირიცა და კიჩოც წაწვეტებული აქვს. ხსენებული ნიშნები იმას გვაპარაულებინებს, რომ ინტალიოზე მცირე ზომალდის გამოსახულებაა მოცემული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შეუფარდებლობა ნავის ზომისა და ადამიანების ფიგურებს შორის. აგრეთვე თვით ფიგურების დისპროპორციულობაც თვალში საცემია. — ნიჩბოსანთა პროპორციების მიხედვით, ისინი დიდი აღნაგობის ადამიანებად არიან წარმოდგენილი (თეძოებიდან მოყოლებული მეტად წაგრძელებული ტორსები აქვთ, მაღალი კისრები, მოზრდილი თავი: ტორსთან შედარებით, მოკლე ხელები). ნავი კი, რომელშიც ისინი სხედან, მომცრო ფიგურებს უკეთ აიტანდა კომპოზიციის თვალსაზრისით.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს კიდიდან-კიდემდე. დამახასიათებელი თავისებურება მჭრელისა შემდეგია: წაგრძელებული პროპორციები, სუმარული სიბრტყობრივი გადმოცემა ყველა ფორმისა.

⁶ და ც უ ლ ო ბ ა: ბეჭედი კარგად არის დაცული; ფარაკის პირი დაზიანებული ყოფილა, რაც მცირედ გამოსახულებასაც შეხებია.

⁷ ზ ო მ ე ბ ი: ბეჭდის სიმაღლე—26 მმ, დიამ.—20 მმ, ინტალიოს სიგრძე—24 მმ, განი—20 მმ, რკალის განი—4 მმ.

⁸ ჩანს ამ ადგილას ლითონი პატინით ყოფილა დაფარული და ხსენებული ადგილები არალრმად დაუზიანებია.

ტექნიკა: გამოხატულება ხელით არის მოჭრილი, მცირე-
ოდენი ჩაღრმავებით ლითონში. კვეთა ბრტყელია, სუმარულობითა
და სქემატურობით ხასიათდება. მკრელი ძირითადად გარეგანი კონ-
ტურის შემოფარგვლით კმაყოფილდება. — შინაგანი ნახატი საესე-
ბით დაუმუშავებული აქვს. ტლანქი ნახელავია.

ჩვენ ბექდის ფორმის მიხედვითა და სტილისტური თავისებუ-
რების გათვალისწინებით (აღვილობრივ მასალებს შეეუდარეთ), სა-
ბექდავს ძვ. წ. IV საუკუნით ვათარილებდით⁸.

ახალი მასალების, სახელობრ, ჯ. ბორდმანის ნაშრომში —
Greek Gems and Finger Rings, — გამოცემულ საბექდავი-ბექდების,
შესწავლას შედეგად შესაძლებელი გახდა ნივთის წლოვანების უფრო
ვიწრო ჩარჩოებით შემოფარგვლა. კერძოდ — იგი კარგად თარიღ-
დება ძვ. წ. IV საუკ. II ნახევრით⁹.

ინტალიოზე ამოკვეთილ გამოსახულებას, ამჯერად, შესატყვი-
სი პარალელები ვერ შევუჩიეთ და ზოგადი ხასიათის ნიშნებით
განვსაზღვრეთ; სამაროვანში აღმოჩენილი ორი სხვა საბექდავი-
ბექდის კვეთის მანერასა და სტილისტურ თავისებურებას შეეუდა-
რეთ — სტილისტური მხარის ერთიანობას — მსგავსებას დავეყ-
რდებით.

აღამიანის ფიგურებით დაკავებული ხომალდის მოტივს ჩვენ
წინააზიის, სახელობრ. ასირიულ ძეგლებზე მივაკვლიეთ¹⁰. მაგრამ
ნივთი შინაარსობრივადაც განსხვავებულია (ხომალდში მსხდარ
აღამიანებს ლ. სპელერსი „გაქცეულებად“ საზღვრავს), ნავის ტი-
პიც სხვა არის (იქ ფაქტიურად დიდი ხომალდია წარმოდგენილი,
17 ნიჩაბი ჩანს) და ამიტომ ყოლოთოს ინტალიოსათვის ვერც პრო-
ტოტიპად გამოგვადგება და ვერც ანალოგიად.

3. ვონ დერ ოსტენის მიერ გამოცემულ ძველადმოსავლურ

⁸ ბექდებისათვის შესადარებლად ფ. მარშალისა და ფ. ჰენკელის მიერ გამოცე-
მული მასალები გამოვიყენეთ (იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი, I, 95—96).

⁹ შდრ. B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, გვ. 217, ტიპი IX.
აქვე უნდა შევნიშნოთ: ბექდს პირველ გამოცემისას (იხ. ჩვენი, საქართველოს სახელ-
მწიფო მუზეუმის გეგები, III, თბ., 1961, გვ. 43—44) ძვ. წ. IV—III სს ვაკუთვნებ-
დით. ხსენებულ ბექდებს მ. მაქსიმოვა გაკერით იხსენიებდა (ყოველგვარი განზოგადო-
ებისა და აღწერილობის გარეშე) და ზოგადად ამავე დროით ათარილებდა (იხ. მისი,
Геммы из некрополя Мухеты-Самтавро (раскопки 1938—39 гг.) გვ. 263).

¹⁰ იხ. L. S p e l l e r s, Les arts de l'Asie Anterieur, Bruxelles, ტაბ. XXIII,
გამ. 468.

საბეჭდავებიდან, ცილინდრების პატარა ჯგუფი (სულ ოთხი ერთეულია) ჩვენთვის საინტერესო მოტივს წარმოგვიდგენს. — ნავი სხვადასხვა კომპოზიციაშია ჩართული¹¹. მკვლევარი ხსენებულ ცილინდრებს არქაულ პერიოდს აკუთვნებს¹². აღსანიშნავია, რომ ოთხივე ნავი, ისევე როგორც ზემოხსენებული ხომალდი („ყოლოაო-სეულთან“ შედარებით), ჰხვა საბის „ნაგებობაა“¹³.

ამას გარდა: ერთ-ერთ სუმერო-აკადურ ცილინდრზე (იგი ნიქარიდანაა ამოპრილი, ბაღდადიდან წარმოსდგება) გამოხატულია ნავში მსხდომი ორი ღვთაება, რომელთა შორის ლარნაკია მოთავსებული¹⁴ (აღწერილობას სრულად აქ არ შევუდგებით, რადგან თემა განსხვავებულია). ამ შემთხვევაშიც სხვა ტიპის ნავთან და სავსებით განსხვავებულ მოტივთან გვაქვს საქმე.

ასევე: ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ ქალღმერთ ცილინდრზე გამოხატული ისტუმბარის ხომალდის შესახებაც იგივე უნდა გავიმეოროთ¹⁵.

პირველ რიგში დასადგენია რა ტიპის ხომალდთან გვაქვს საქმე: კომერციულთან (holkas), თუ სამხედრო ხომალდთან (marka naus— „გრძელი ხომალდი“). კომერციული ხომალდები, როგორც წესი, იალქნანია. სამხედრო—ხოფიანი (ანუ ნიჩბიანი).¹⁶

კომერციული ხომალდები (holkos, phortis, ploion, strongilion) სამხედრო ხომალდებთან შედარებით უფრო მოკლე და ფართო იყო; ანძები ყრუდ ჰქონდათ ჩაკეთებული. წყალშიდის სიღრმითაც განსხვავდებოდა—აღმატებოდა¹⁷

სამხედრო ხომალდი გრძელი ყოფილა, ანძა ეხსნებოდა, რადგან სანიჩბოდ იყო გამიზნული. ნიჩბები, ორივე მხარეს, ერთ პო-

¹¹ იხ. H. H. von der Osten, *Ancient Oriental Seals in the Collection of Mr. Ed. T. Newell*, Chicago, 1934, ტაბ. V, 35, 36; ტაბ. VI, 47, 48.

¹² იხ. Osten, von der, დასახ. ნაშრ. გვ. 115.

¹³ შდრ. Osten, von der, დასახ. ნაშრ., 35, 36, 47, 48.

¹⁵ იხ. А. В. Болдырев, Я. И. Боровский, *Техника мореходства. Сб. Эллинистическая техника*, с. 322, 326, М.—Л., 1942.

¹⁴ იხ. L. Spellers *Catalogue des intailles et empreintes orientales des Musées Royaux du Cinquantenaire*, Bruxelles, 1917, გვ. 122, აღწერილობა და სურ. 459.

¹⁶ შდრ. J. Menant, *Recherches sur la glyptique Orientale, I partie, Cylindres de la Chaldée*, Paris, 1883, გვ. 99, გამ. 57.

¹⁷ იხ. Болдырев—Боровский, დასახ. ნაშრ., გვ. 322—323.

რიზონტალურ რიგში იყო განლაგებული (ყოველ კაცზე თითო ნიჩაბი)¹⁸.

ძველ სამყაროში გავრცელებულ¹⁹ ხომალდებსა თუ ნაევებს შორის ჩვენი „ნავი“ ბერძნულ ხომალდებთან პოულობს მსგავსებას²⁰. ტიპის მიხედვით — (გრძელია, ანძამოხსნილი, ნიჩბები ერთ რიგში, პორიზონტალურად აქვს განლაგებული. იხ. სურ. 16) იგი სამხედრო ხომალდს წარმოადგენს.

ხომალდები, როგორც სამხედრო, ასევე სავაჭრო, ჩვენი დავირებებით გემა-საბეჭდავების თემატიკაში იშვიათი მოტივია. ბერძნული სამხედრო გალერები და ხომალდები ჩვენთვის აღრეკლასიკური ხანის გემების მიხედვით, კერძოდ რამდენიმე სკარაბეოიდის მიხედვითაა ცნობილი²¹. ხსენებული სკარაბეოიდები ჯ. რიხტერისა და ჯ. ბორდმანის მიერ ძვ. წ. 500 წლითაა დათარიღებული²².

ჩვენი საბეჭდავი-ბეჭდის ზემოხსენებულ გემებთან შედარების შედეგად იმ დასკვნამდე მივდივით, რომ ყოლოთოს ინტალიოს მჭრელს თავისი ხომალდის „მოდელად“ ბერძნული სამხედრო ხომალდი გამოუყენებია. ამასთანავე თავის ყაიდაზე გადაუკეთებია — გაუსადავებია, რაც, სახელდობრ, ხომალდის სხვადასხვა ნაწილების (ცხვირის, კეჩოსი და კორპუსის სხვა კონსტრუქციების) დამუშავებაში მდგომარეობს.

ჩვენი ინტალიოს მჭრელის ნახატი, როგორც აღნიშნული გვექონდა, სუმარულია. მაგრამ ხომალდის თავისებური — გასადავებული ტიპი მხოლოდ კვეთის შედეგად არ უნდა იყოს შეცვლი-

¹⁸ იხ. Болдырев—Боровский, დასახ. ნაშრ., გვ. 326.

¹⁹ როგორც ცნობილია, ხომალდების გამოსახულებები ჩვენამდე მცირე რაოდენობითაა მოღწეული, ისიც უპირატესად სტილიზებული და სქემატური „ნახატების“ სახითაა შემორჩენილი (მონეტებსა, ვაზათმხატვრობაში, რელიეფებზე), იხ. Torr, Ancient Ship.

²⁰ იხ. Torr, Ancient Ship, ტაბ. IV (გვიანარქაული პერიოდის ატიკური ვაზა).

²¹ იხ. G. Richter, Ancient Gems from the Evans and Beatti Collection, New York, 1942, 18; —Richter, A History of Greek Art in Miniature ტაბ. 143, 144, 449; —Walters, British Museum Gems, ტაბ. VIII, 449; —Bosardman, Creek Gems and Finger Rings, 457, 555. ამთგან ჯ. ბორდმანის 553 და ჯ. რიხტერის მიხედვით № 144 ერთიდაიგივე სკარაბეოიდი, ფალერონში აღმოჩენილი; ჯ. ბორდმანის 457—ჯ. რიხტერისეული 143-ია, ამჯუსიდან წარმომდგარი.

²² იხ. დასახ. ნაშრომები.

ლი²³. ადვილი დასაშვებია, რომ ოსტატმა, სამხედრო ხომალდის სხვა. უფრო მომცრო ზომის, „მოდელი“ წარმოგვისახა, რომელიც მისთვის იყო ცნობილი²⁴. ყოველ შემთხვევაში პირდაპირი პარალელი „ყოლოთოს ხომალდს“ ჯერჯერობით არ ეძებნება.



სურ. 16, 17

რალა თქმა უნდა, რომ ნახელავი სრულყოფილი არ არის და ამიტომ გაგვიკირდა დადგენა იმისა თუ ვინ გამოხატა მკრელმა: მემრები თუ მენიჩბეები. — ხელები მოძრაობისას აქვთ გამოხატული, ისე როგორც ნიჩბის მოსმისას. მაგრამ მამაკაცები უდავოდ ფეხზე დგანან და არცერთ მათგანს ნიჩაბი არ უჭირავს. კიდევ მეტი — პირობითადაც კი არ არის იგი რომელიმეს ხელთან აღნიშნული. შთაბეჭდილება ისეთია, რომ მამაკაცები ერთსა და იგივე მოქმედებისათვის არიან მზად. — შესაძლებელია ხელში იარაღი უჭირავთ და შესატყვევად ემზადებიან (ამ შემთხვევაში „ხაზგასმით დიდი ხელის მტევნები“ იარაღად შეიძლება მივიჩნიოთ). ამგვარ ვარაუდის საბაზს ერთი საგულისხმო დეტალი განსაზღვრავს — მამაკაცები მუზარადებში არიან.

²³ ბერძნულ სამხედრო ხომალდსა და გალერას, რომლებიც ჩვენ მიერ ხსენებულ სკარაბეიდებზეა ამოკრილი, ცხვირსა და კორპუსის სხვა ნაწილებზე „მოხარატებული“ დეტალები—სახეები აქვს (ცხვირი—ტახის თავის მოყვანილობისა; კორპუსზე, ცხვირთან.—ადამიანის თვალია და სხვ. შდრ. B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 457, 553;—R i c t e r, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 143, 144).

²⁴ შესაძლებელია ყოლოთოს ინტალიოზე გამოსახული ხომალდი თავისი განსხვავებული ნიშნებით, გლიპტიკურ ძეგლთა შორის. ერთადერთია. საკითხი კვლავ ძიებას მოითხოვს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შემდეგი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი: ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ განხილული საბეჭდავი-ბეჭდის მკრელი ბერძნული გლიპტიკის გავლენას ქვეშაა მოქცეული (კვეთის სტილის მიხედვით მისი ნახელავი შესოპოტამიური გლიპტიკის გავლენით შექმნილ ძეგლთა წრეში უფრო თავსდება). მაგრამ მკრელის მიერ ბერძნულ სამხედრო ხომალდის ტიპის გამოყენება იმას უნდა მოწმობდეს, რომ მისთვის ანტიკური ნივთიერი წყარო, რომელიღაცა სახით, ცნობილი იყო.

11. ა ბ ე ლ ი ა

(თეთრი წყარო)

1954 წელს თეთრი წყაროს რაიონის სოფ. აბელიაში ფერმის მშენებლობისას (საძირკველის ჩასაყრელად მოსამზადებელი მიწის სამუშაოების დროს) აღმოჩენილ № 6 ქვაყუთში ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭედიცაა ნაპოვნი¹. საბეჭდავი-ბეჭედი უკვე იყო ჩვენი კვლევის საგნად ქცეული და, ისევე როგორც ხსენებული სამაროვნიდან წარმომდგარი სხვა საბეჭდავები (ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები იგულისხმება) შევიდა ნაშრომში: „ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი“, I.

ნიეთი ძვ. წ. V საუკუნის II ნახევრით გვაქვს დათარიღებული. სტილისტური თავისებურებისა და თემის მიხედვით, ორიენტალიზირებული სტილის ბერძნულსიუჟეტებიან ადგილობრივ ნახელავად განსაზღვრულ საბეჭდავებს მივყავთენეთ², ხოლო გამოსახულება ვარაუდით სფინქსად მივიჩნით³.

აბელიაში მოპოვებული საბეჭდავი ბრტყელფარაკიანი, რკალ-შეკრული ბეჭედი. ფარაკი ოვალური მოყვანილობისაა, საკმარის ფართო ბოლოებში მკვეთრად შევიწროებული (წაწვეტებულ ოვალს წარმოადგენს). ფარაკი წვრილ და მრგვალ რკალში გადადის, რომელსაც ქვედა ნაწილის შიდაპირზე მკრთალი წახნაგი დაპ-

¹ მშენებლობის ტერიტორიაზე სამაროვნის არსებობა დადასტურდა, რომელიც ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ გაითხარა გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით.—გლიპტიკური მასალა დასამუშავებლად ექსპედიციის ხელმძღვანელმა გადმოგვცა, რისთვისაც მადლობით ვიხსენიებთ.

² იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი, I, გვ. 45, 101

³ გამოხატულება არსების თავთან არის დაზიანებული, ამდენად გადაჭრით მტკიცებისაგან თავს ვიკავებდით.

ყველა. ბექელი ქვეითენ არის ჩამოგრძელებული⁴ (ტაბ. VII, სურ. 8, ტაბ. III, 14a).

ანალოგიური ფორმის ბექდები ძვ. წ. V საუკუნეში ყოფილა გავრცელებული⁵. ჯ. ბორდმანის მიერ გამოყოფილ კლასიკური ხანის ბერძნულ ბექდებს შორის ვუძებნით მსგავს ფორმებს⁶. უკეთ: I, II და IV ტიპების⁷ ვარიანტია, ხსენებული ტიპებისაგან განვითარებულ — „შედგეწილ“ ფორმად ჰეიჩნეეთ. — სადარკალიანი, მსუბუქფარაკიანი ბექედია (იხ. ტაბ. III, 14a).

კვლევისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ სინქრონული აქემენიდური საბექდავი-ბექდები შეგვესწავლა. — ყველაზე გავრცელებული ტიპი ხსენებულ საბექდავებში პატარაფარაკიანი, წვრილრკალიანი ბექედია. ფარაკის მოყვანილობა, ჩვეულებრივ, წაწვეტებულია იმგვარად, როგორც ეს ბერძნულ III ტიპის ბექდებს აქვთ⁸. მაგრამ ამას გარდა ოვალური ან მრგვალფარაკიანი საბექდავი-ბექდებიც გვხვდება. რკალი ხშირად წახნაგია. ძირითადად ამ ტიპის ბექდებზე გამოხატულია ირემი, ლომი, გრიფონები, ფრთოსანი ხარი. აქემენიდური არქიტექტურული კაპიტელი⁹. ყველაზე უკეთ ამ ტიპის ბექდები, ისევე როგორც სხვა ტიპები, ოქსუს განძის მიხედვითაა ცნობილი (იხ. შესავალი გვ. 14)¹⁰.

აქემენიდური ბექდების შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად

⁴ და ც უ ლ ო ბ ა : ბექდის რკალი ერთგან გატეხილია. ლითონი პატინას დაუზიანებია, რასაც გამოხატულებაზეც უმოქმედია.

ზ ო მ ე ბ ი : ბექდის სიმაღლე—2½ მმ, დიამ. 17—18 მმ, ინტალოს სიგრძე—2½ მმ, განი—11 მმ.

⁵ შღრ. Marshall, Finger Rings, გამ. 1229, 1230; საესებით მსგავსი ფარაკი იხ. Becatti, Oreficerie Antiche, ტაბ. H 3.

⁶ შღრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 217.

⁷ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 217, I, 11, IV.

⁸ შღრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 217, III, იხ. გვ. 322.

⁹ იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 322.

გამონაკლისს შეადგენს კეიპროსიდან წარმომდგარი საბექდავი-ბექელი სპარსელი ქალის გამოხატულებით (იხ. Boardman, იქვე).

ზოგიერთ მძიმე ბექდებზე, რომელიც VII ტიპს წარმოადგენს (ჯ. ბორდმანის კლასიფიკაციის მიხედვით), უმეტესად ოვალურფარაკიანზე, სიუჟეტები უფრო მრავალფეროვანია (სპარსელი ქალი, მხედრის ირემზე ნადირობა; გმირი ლომთან და სამეფო სფინქსთან ერთად). ცხოველთა გამოხატულებებს შორის ზოგიერთ იდომოსავლურ არსებასაც ვხვდებით, სახელდობრ: ლომ-ურჩხულს, ფრთოსან ზარებს.

¹⁰ იხ. Dalton, The Treasure of Oxus, გვ. 29—39;—Herzfeld, Iran in the Ancient East, გვ. 239—240.

ყველაზე სრულ წყაროდ ჯ. ბორდმანი, როგორც აღნიშნული გვექონდა (იხ. შესავალი გვ. 15), სპარსეთსა და მესოპოტამიაში აღმოჩენილ ბექდებს მიიჩნევს: -- თიხის ანაბექდებს ურში გათხრილ სპარსულ სამარხიდან, ლურსმულ ფირფიტებს ნიპურიდან და ანაბექდებს თიხის ფირფიტებზე პერსეპოლისის განძიდან. ნიპურისა და ურის ანაბექდები ძვ. წ. V საუკუნითაა დათარიღებული (ყველაზე გვიანდელი დროით დათარიღებული ნიპურის ანაბექდები ძვ. წ. 404 წელს მიეკუთვნება). ბექდების დიდ ნაწილს, ანაბექდების მიხედვით, წაწვეტებული ოვალური ფარაკები ჰქონია. ზოგიერთს, ჩვეულებრივ უფრო გვიანდელს — ოვალური ფარაკები.

აქემენიდური საბექდავი-ბექდები იმის გამო მოვიხსენიეთ, რომ ჩვენ აბელიის ბექდის ტიპს მათთანაც ვაკავშირებთ. — უფრო ზუსტად: იგი მეტ ნათესაობას ამჟღავნებს სახელდობრ ამ ნივთებთან.

ფარაკის პირზე მითიური ფრთოსანი არსებაა ამოჭრილი, პროფილში მარცხნივ (ტაბ. III, 14).

ტ ე ქ ნ ი კ ა: ინტალიო ხელით უნდა იყოს ამოჭრილი არაღრმად და მეტად ბრტყლად. ზოგადად კვეთა უალრესი სუმარულობით ხასიათდება. — ნახატი დაუმუშავებელი და ნაწილობრივ „გათხაზნილია“ (ერთგვარად ეს ლითონის დაზიანებასაც შეიძლება მივაწეროთ). გამოხატულება სრულად ავსებს ფარაკის პირს. ანაბექდზე ბრტყელ რელიეფს იძლევა.

მიუხედავად ზემოხსენებული დამახასიათებელი ნიშნებისა (სუმარულობა, სქემატურობა) მჭრელს ჩვენ დახელოვნებულ ოსტატად მოვიჩნევთ, რადგან მის მიერ შექმნილი (თუ უცხო ძეგლიდან გადმოღებული) სახე პროპორციული აღნაგობითა და გარკვეული პლასტიკურობით გამოირჩევა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი საბექდავი-ბექდის მჭრელი იბერიაში მოღვაწე ოსტატთაგან ერთ-ერთი უკეთესთაგანი ყოფილა, რომელსაც კარგად ჰქონია შეთვისებული ცხოველთა სხეულის ანატომია. და კვეთის ჩვევებსაც დაუფლებია, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ მას ბერძნული სკოლის გავლენა განუცლია.

ხანგრძლივი ძიების შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ აბელიის მითიური ურჩხული ფრთოსან ლომდაც შეიძლებოდა განგ

საზღვრულიყო (შედარებისას დავადგინეთ: ფრთოსან არსებთან— სფინქსებსა და ლომებს— შორის ამგვარ მდგომარეობაში მყოფ ურჩხულებიდან, ჩვენი არსება ფრთოსან ლომთან მეტ მსგავსებას ავლენს). იმაშიც დავრწმუნდით, რომ იგი სტილისტურად ბერძნულ ორიენტალიზირებულ გემებს ენათესავება. ხოლო თუ მოტივის საბოლოოდ სფინქსად განვსაზღვრავთ— პროტოტიპი ბერძნულ, აღმოსავლური გავლენის პერიოდის გემებში ეძებნება (შდრ. Richter, Greek Art in Miniature. I, ტაბ. 27;— Furtwängler, Antiken Gemmen, III, გვ. 77)¹¹.

მხატვრული შესრულების თვალსაზრისით ამ თითქოს-და უმნიშვნელო ძეგლში ყურადღებას იმსახურებს ის თავისებურება, რომელიც ნახელავს ახასიათებს. — აქემენიდური ხანის გლიპტიკის გავლენაც საკმაოდ აშკარად შეიმჩნევა. რაც შეეხება ფორმას საბეჭდავისას — იგი აშკარად უფრო აქემენიდური ტიპიდანაა ნასესხები, ვიდრე ბერძნულიდან (ტაბ. III, სურ. 14a).

აბელიაში აღმოჩენილი საბეჭდავი-ბეჭდის მჭრელი სპარსული გლიპტიკის იმ სკოლის (თუ წრის ძეგლების) გავლენის ქვეშ მოქცეულა, რომელიც ბერძნულს იყო დაქვემდებარებული.

ამრიგად — ჩვენი ინტალიოს მჭრელის ნახელავი, უკეთ, მისი კვეთის მანერის ინდივიდუალურობა „შერწყმულ“ სტილში ვლინდება (ბერძნულ ორიენტალიზირებულსა და „ბერძნულ-სპარსულსა“).

ისიც აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ადრეანტიკურ ხანაში გავრცელებული საბეჭდავი-ბეჭდების მიხედვით დგინდება, თუ რაოდენ დიდი როლი შეუსრულებია ადგილობრივ ლითონზე გლიპტიკის განვითარებაში აქემენიდური ხანისა და აქემენიდურ გლიპტიკასაც.

ბეჭდის ფარაკზე ამოკრილ ფრთოსან ურჩხულს ჩვენ, როგორ ზემოთ გვქონდა ნათქვამი, მწოლიარე სფინქსად (?) ვსაზღვრავდით. — ფრთოსან ურჩხულთა მოტივები ჯერ კიდევ ძველ აღმოსავლურ გლიპტიკაში იქცა ერთ-ერთ ძირითად თუ არამთავარ თემათაგან.

¹¹ მკვლამარე სფინქსები კლასიკური ხანის გემებზე იხ. Richter დას. ნაშრ., ტაბ. 359, 360, 361 (ძვ. წ. V, V საუკ. II ნახევარი და 400 წ. დათარიღებული ინტალიოები): Walters, Gems, ტაბ. VI, 296 (ფრთოსანი ლომების მოტივის ზუსტად განსაზღვრას ხელს უშლის სუმარული ნახტიცა და აგრეთვე ლითონის დაზიანების გამო ბუნდოვნად ქცეული თავი).

ადრეული ხანის გლიპტიკურ ძეგლებზე; სახელობრ ცილინდრებზე. სხვადასხვა სახის ფრთოსან ურჩხულთა გამოსახულებები ხშირად არის ჩართული კომპოზიციაში. ანდა თემის მთავარ სახეს (ან სახეებს) წარმოგვიდგენს¹². ამ ტრადიციამ აქემენიდურ გლიპტიკაშიც კპოვა ასახვა — ფრთოსანი ურჩხულის ნაირსახოვანი მოტივი ფართოდ ვრცელდება ცილინდრებსა და სკარაბეოიდებზე. აგრეთვე ლითონის საბეჭდავ-ბეჭედებზე ფრთოსან ხარებსა, გრიფონებსა და სხვათა გამოსახულებებს გარდა, ფრთოსანი ლომის მოტივის შემობა გარკვეული ადგილი¹³.

აქვე უნდა შევნიშნოთ: ფრთოსანი ლომის გამოხატულება ბერძნულ გლიპტიკისათვის უკვე არქაულ ხანაში უცხო არ არის. მას ჯ. ბორდმანი წარმოშობით ბერძნულ მოტივად არ თვლის¹⁴.



ჩვენში აღმოჩენილი საბეჭდავი-ბეჭედების ერთი წყება ელინისტურსა და რომაულ პერიოდებს მიეკუთვნება წინამდებარე ნაშრომში შესული ზოგი ბეჭედი ელინისტური და რომაული ხანის ძეგლებია. ამდენად, ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ მოკლედ დავახასიათოთ ელინისტური ეპოქა — ზოგადად მიმოვიხილოთ სახელობრ გლიპტიკა (როგორც მხატვრული ხელოსნობის დარგი). ასევე: რომაული ხანისაც.

— ელინისტური ეპოქა ბერძნული გლიპტიკის

¹² ბაბილონურში (I დინასტია), ასირიულში, ნეო-ასირიულში, ნეო-ბაბილონურში, სირო-ხეთურში

¹³ ფრთოსან ურჩხულთა მოტივი მხატვრული ხელოსნობის სხვა დარგის ძეგლების თემატიკაშიცაა გამოყენებული (ტორეტიკა, სპილოს ძვალი, სკულპტურა ხ. შ.) იხ. A. Godar, Le Trésor de Ziwiye (Kurdistan), Haarlem, 1950, გვ. 2), 25—36, 82, 113 (ოქროსი, ვერცხლისა და სპილოს ძვლის ნივთები);—Perrot et Chipiez, Histoire de l'art dans l'antiquité, Paris 1884, ტ. 11. გამ. 2. 443, 444;—Daremberg—Saglio, Dictionnaire des antiquités grecques et romaines, t I, გამ. 963, 964;—გამ. 688 და t. III, გამ. 756.

¹⁴ იხ. Boardman, Archaic Greek Gems, გვ. 125.

ფრთოსანი ლომის სხვა ტიპი—დამიანისთავიანი. ე. შ. ბერძნულ-სპარსულ ძეგლებზე გვხვდება (იხ. Richter, History of Greek Art in Miniature, გამ. 493;—Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. XI, 20).

ბრწყინვალე პერიოდადაა წოდებული. მხატვრული ხელოსნობის ხსენებული დარგის განვითარებასა და მის აღმავლობას, ძირითადად ხელი შეუწყო საბერძნეთის აღმოსავლეთით მჭიდრო ურთიერთობის დამყარებამ, რაც ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებს მოჰყვა (ძვ. წ. IV საუკ. მიწურული) ეგვიპტესა და აღმოსავლეთში¹⁵. — გაფართოებულმა კონტაქტებმა გარე სამყაროსთან გარკვეული გავლენა მოახდინა ბერძნულ ხელოვნებაზე, რაც უმთავრესად სტილების, ტექნიკისა და თემატიკის დიდ მრავალფეროვნებაში გამოძველდა.

პრილა ქეები—გემები, ისევე როგორც სკულპტურა ორ ძირითად კატეგორიაშია გამოყოფილი: ადრეელინისტურსა (ძვ. წ. IV—ადრეული III სს.)¹⁶ და გვიანელინისტურში (გვინ III და II სს.)¹⁷. გვიანელინისტური გემების გარკვეული ნაწილის გამოცალკევება ძვ. წ. I საუკუნის ე. წ. ბერძნულ-რომაულ გემებისაგან საკმაოდ ძნელია. რადგან ამ პერიოდის მკრელეები ელინისტური სტილის მიმდევრები იყვნენ. სახელდობრ, „კლასიციკური“ ადრერომაული გემები იგულისხმება (ბერძენ ოსტატების ადრერომაული პერიოდის იმ ნახელავზეა საუბარი, რომელიც უმეტესად მთლიანად კლასიკური სტილის ნახელავს წარმოადგენდა)¹⁸.

ზოგი მკვლევარიც იმ აზრისაა, რომ ადრეულ ელინისტურ ხანაში „გაბატონებული“ სტილი ძვ. წ. IV საუკ. სახელგანთქმული ოსტატების: პრაქსიტელეს, სკოპასისა და ლისიპოსის მიერ შექმნილი სტილები იყო¹⁹ (ფაქიზი სტილი პრაქსიტელეს უკავშირდება; ემოციონალური და პათეტიკური სკოპასის ნახელავისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო რეალისტური — ლისიპოსისთვის)²⁰. — ელინისტური ეპოქის ოსტატები თავიანთ შემოქმედებას ხსენებულ სტილში აგრძელებდნენ.

ჟ. რიხტერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გლობტიკაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, ძვ. წ. IV საუკუნეში, სტილი პროგრესულად განვითარდა (რომ იგი მარტო მიმბაძველობას არ

¹⁵ Richter, A History of Greek Art in Miniature, გვ. 133;—Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 359.

¹⁶ Richter, დასახ. ნაშრ., იქვე. Boardman, Greek Gems and Finger Rings გვ. 359.

¹⁷ Richter, დასახ. ნაშრ., იქვე.

¹⁸ Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 359.

¹⁹ Richter, დასახ. ნაშრ., იქვე.

²⁰ Richter, დასახ. ნაშრ., იქვე.

წარმოადგენდა). ხოლო რაც შეეხება ფორმებს — დამოუკიდებელი. ორიგინალური ფორმები შეიქმნა²¹.

ელინისტურ ეპოქამდე გლიპტიკაში ცნობილი იყო მხოლოდ ორი სახის საბეჭდავი: — მთლიანი ქვისა და ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები. მხოლოდ ელინისტურ პერიოდში შემოდის პირველად მოდაში ბეჭედში ჩასმული ქვის ინტალიოები. ამ დროს შეიქმნა ერთ ფორმაში მთლიანი ქვის საბეჭდავი საბეჭდავ-ბეჭედთან და ახალი ფორმა გაჩნდა. — ლითონის ბეჭედში კრილა ქვა ჩაისმება. საბეჭდავთა ძველი ფორმები გამონაკლისის სახით არსებობს.

ელინისტურ ხანაშივე ჩნდება პირველად ამობურცული ფორმის კრილა ქვები ე. წ. კაბოშონები.

ქვის გემებს შორის უველაზე გავრცელებული ფორმა ფართო, ოვალური ბეჭდის თვალი იყო, რომელსაც ამობურცული პირი ჰქონდა. ხსენებულ პერიოდში, ძვ. წ. IV საუკუნეში, ფორმად თანდათანობით სკარაბეოიდებიცაა გამოყენებული, რომელთა ზურგი ინტალიოს პირისთვის არის ხოლმე განკუთვნილი. — მკრელები უპირატესობას სახელდობრ სკარაბეოიდის ამობურცულ მხარეს აღეგენ. ხოლო, რაც შეეხება ბეჭდის მოყვანილობას, იგი ჯ. ბორმანის მიერ ლითონის ბეჭდების XI ტიპში გამოყოფილ ფორმას გავს (— დიდი ზომის ბეჭდებია ფართო ბრტყელი ფარაკით)²².

მასალად ამობურცული ქვების გამოყენება გაპირობებულ იყო, როგორც ჩანს კვეთის სტილთან. — მკრელი ხსენებული ფორმის ქვებს კვეთის სტილს უხამებდა: ამობურცულ ქვებს მეტი ელვარება ჰქონდა და ფერთა თამაშიც უკეთესი. ამას გარდა გამოხატულებებს, ამ ხანაში ძალიან ღრმად კრიდნენ, დიდ რელიეფურობასა და პლასტიკურობას მატებდნენ.

ოსტატები ელინისტურ სკულპტურას ბაძავენ: მათ მიერ შექმნილი ფიგურები, მათ ნახელავშიც, საყრდენ წერტილებს „ეძებენ“ და იშვიათად დგანან გამართულად. ფიგურები და თავი, ხშირად პირდაპირაა გამოხატული.

ელინისტური ხანის გლიპტიკაში მეტად ბრტყელი კვეთაც, ასე ვთქვათ ზედაპირული (— მ. ლ.), ძალიან ხშირ მოვლენას წარმოადგენს. არის ისეთი კრილა ქვებიც, რომლებზედაც ერთსა და იმავე დროს შეთავსებულია ღრმა და ბრტყელი კვეთა, ორივე სახის ტექნიკაა გამოყენებული.

²¹ Richter, დასახ. ნაშრ. იქვე.

²² Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 359.

ელინისტური პერიოდის განმავლობაში თემატიკაც იცვლება. მითოლოგიურ სფეროში მშვიდ მდგომარეობაში წარმოდგენილი ღვთაებები ქარბობს. განსაკუთრებით გავრცელებულია დიონისე თავისი სატირებითა და ზენადებით; აფროდიტე ეროსთან ერთად, ფსიქეა, ჰერმეფროდიტი; მედუზას თავი; სერაპისი და იზისი (ეგვიპტედან შემოტანილი). მცირე ღვთაებებიდან: გალენი, გლაუკოსი და ოკეანოსი.

ბერძენი პოპულარული გმირები კვლავ შედის მკრელთა თემატიკაში, მაგრამ უფრო მცირე რაოდენობით არიან ხოლმე ისინი წარმოდგენილი. ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ სცენებსა და ცხოველებს ოსტატები გარკვეულ უპირატესობას ანიჭებენ. აგრეთვე: ვაზები, ჭურჭელი, ნიღბები და სიმბოლოები—გავრცელებული მოტივებია.

ამას გარდა: პორტრეტს, ელინისტურ გლიპტიკაში, ისევე როგორც თანადროულ სკულპტურაში, საგულისხმო ადგილი უჭირავს. ამ მხრივ აქაც სკულპტურის მსგავსად ოსტატები ინდივიდუალურობას იჩენენ, მისწრაფებას ნატურალიზმის მიმართ.

სიახლე, რაც განსაკუთრებით გამოჰყოფს ელინისტურ გლიპტიკის ტექნიკას ისაა, რომ IV საუკუნის მიწურულში ჩნდება, პირველად, კამეა. ელინისტურ ეპოქას მიეკუთვნება ისეთი შესანიშნავი ძეგლები როგორცაა: ვენის კამეა, Tazza Farnese და გონზაგოების კამეა²³.

მასალად გემებისათვის ძვირფას ქვებს იყენებენ, აგრეთვე ნახევრად ძვირფას ქვებსაც ხმარობენ. ფერადი გამჭვირვალე ქვები: ამეთვისტო, ჰიაცინტი, სეილანი, გრანატი, ბერილი, ტოპაზიონი თავისი შეფერილობითა და ელვარებით ნახელავს ეფექტს ჰმატებდა. ნახევრად ძვირფას ქვის ჯიშებიდან მკრელებს შორის მოწონებით სარგებლობდა: მთის ბროლი, სარდიონი, სარდერი, აქატი, სარდიონ-ფრცხილი. ამას გარდა — შინაც, ძირითადად ლურჯი შეფერილობებისა, ხშირად იყო ხოლმე მასალად გამოყენებული.

ელინისტურ ხანაში კრილა ქვების გვერდით ლითონის კრილაფარაკიანი ბეჭდებიც თანაარსებობდა. ხსენებული ბეჭდები დიდი

²³ აღსანიშნავია, რომ აღეკსანდრე მაკედონელი. ისევე როგორც ელინისტური ხანის სხვა მეფეები, გლიპტიკის მფარველად ითვლებოდა. ბევრი მათგანი გლიპტიკური ნახელავის შემგროვებელი იყო. სამეფო კარზე მრავალი მკრელი შემოიკრიბეს, რომლებიც დიდი წარმატებით მოღვაწეობდნენ. კარის მკრელებმა თავისი შემოქმედებით სახელი გაუთქვეს თავის მფარველებს. ამ ვითარებამ (ურთიერთობამ—მ. ლ.) შეუწყო ხელი გლიპტიკის აყვავებასა და ახალი ფორმების დამკვიდრებას.

ზომით გამოირჩეოდა. ბეჭდის ეს ტიპი მოდაში ყველაზე ნაკლებად მესამე საუკუნეშია²⁴. ამთგან მრგვალფარაკიან საბეჭდავ-ბეჭდებს. ჯ. ბორდმანი ბერძნული ბეჭდების სერიიდან განვითარებულ ფორმად მიიჩნევს.

ელინისტურ პერიოდამდე მრგვალფარაკიანი ბეჭდები (ისევე როგორც მრგვალი მოყვანილობის ჭრილა ქეები) ძალიან იშვიათად გამოჩნდნენ²⁵, და, ჯ. ბორდმანის ვარაუდით, ჩნდებიან IV საუკუნის II ნახევარში. ბეჭდის ხსენებული ფორმა ითვლება ადრეელინისტური გლიპტიკის ყველაზე დამახასიათებელ ტიპად. ფარაკებს ამ დროს სხვა მოყვანილობაც აქვს: მომრგვალებული, ოვალური ან ადამიანის გამომხატველი. — რელიეფური გამოსახულებები ცვლის ხოლმე ინტალიოს ლითონის, კერძოდ, ოქროს ბეჭდებზე²⁶.

ალექსანდრიასა და პტოლომაიოსების ეგვიპტეში გემებისა და ბეჭდების საჭრელი სტუდიოები არსებობდა. ამის დასასაბუთებლად ჯ. ბორდმანს პტოლომაიოსისა და მისი დროის მანდილოსნების პორტრეტული ბეჭდები მოჰყავს. აგრეთვე ბეჭდის ტიპი (XVII).

ელინისტური ხანის ჭრილაფარაკიან ბეჭდებსა და მონეტებს შორის როგორც სტილში, ასევე თემატიკაში დიდი მსგავსება შეიმჩნევა²⁷.

²⁴ B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, გვ. 361.

²⁵ ჯ. ბორდმანი მათ კლასიკური ხანის ბოლო ხანის სერიად მიიჩნევს (იხ. მისი, Greek Gems and Finger Rings, გვ. 191).

²⁶ პირველ ხანებში „რელიეფებს“ დეკორატიული ხასიათი ჰქონია. ეს სიხლდე აღმოსავლეთიდან მომდინარეობდა (R i c h t e r, A History of Greek Art in Miniature, გვ. 134; B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, გვ. 362.

²⁷ B o a r d m a n, Greek Gems and Finger Rings, გვ. 225.

12. ქვედა მესხეთი

ელნისტური ხანის ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკურ მასალებს შორის ჯერჯერობით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი (იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე კრილა ქვების მიმართაც). ხსენებული პერიოდის მასალებიდან, ამჟამად, ქვედა მესხეთში გამოვლენილი გლიპტიკური კომპლექსი, სახელდობრ ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭდებია— ჩვენი ხელახალი კვლევის საგნად ქცეული¹. რადგან ისინი (განსაკუთრებით ერთი: ცხენისგამოხატულებიანი, იხ. ანალიზი, გვ. 96—100) აშკარა კავშირს ავლენენ ანტიკურ გლიპტიკასთან.

1961 წლის გაზაფხულზე, ქვედა მესხეთში, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხები. №1 ქვევრსამარხში სხვა სამარხულ ინვენტარს გარდა, კრილაგამოხატულებიანი სამი ბეჭედიც აღმოჩნდა². ბეჭდები ბრინჯაოსაგან არიან ვაკეთებული.

ქვედა მესხეთში მოპოვებული ბეჭდები ერთიანი ფირფიტისაგან ვაკეთებულ მთლიან ბეჭდებს წარმოადგენენ, პირხსნილს: პირი პირთან მისულს ან პირი პირზე გადასულს. ხოლო ამ ბეჭდების ამოკვეთილგამოხატულებიანი ნაწილი, ანუ ინტალიო, მეტ-ნაკლებად ვათართოებულია. განსახილველი ბეჭდები განსხვავდებიან ფორმით წინაღწერილი ბეჭდებისაგან — განსხვავებულ ტიპს წარმოადგენენ კრილაგამოხატულებიანი ბეჭდისას და საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ კრილა ბეჭდებს შორის მეტად პატარა ჯგუფით არიან წარმოდგენილი: სახელდობრ ქვედა მესხეთის ბეჭდებითა და დაბლაგომის ერთი ბეჭდით (1971 წელს აღმოჩენილი

¹ ბეჭდები გამოცემული გვაქვს; იხ. ჩვენი, კორპუსი, I, გვ. 8, 47, 97—99.

² ამჟერად ჩვენ მათ ამ თვალსაზრისით ვსწავლობთ.

ქვევრსამარხი № 12)³. ყველა ბეჭედი, ქვედა მესხეთისაჲ და დაბლა-გომისაჲ. ბრანჯაოს თხელი ფირფიტისაგან არიან გაკეთებული.

ქვედა მესხეთის ბეჭდებიდან მხატვრული თვალსაზრისით ყუ-რადლებას იპყრობს ცხენისგამოხატულებიანი ინტალიო-ბეჭედი⁴. იგი არა მარტო თავის კომპლექსში წარმოადგენს გამორჩეულ ნივ-თს ნახელავის მიხედვით, არამედ ქართულ მასალებში ერთ-ერთი აღსანიშნავი ინტალიოთაგანია.

ზემოხსენებული ბეჭედი პირხსნილია, ქვევითკენ ჩამოგრძე-ლებული. ბეჭედი ან რკალი ინტალიოს მიმართულებით თანდათან ფართოვდება და უშუალოდ გადადის ამოკვეთილგამოხატულებიან ნაწილში. რკალთან შედარებით ბეჭდის ჰრილა ნაწილი უფრო გა-ნიერია. ბეჭედი უშუალოდ ინტალიოს ცენტრის გასწვრივ არის გახსნილი. რკალს ბოლოები სწორად აქვს წაკვეთილი.

ინტალიოს პირი ოდნავ ამობურცულია, ნაპირები (ანუ ბეჭ-დის კიდეები) მკრთალად მომრგვალებული კონტურითაა შემოფარ-გლული.

პირზე დახვეწილი ოსტატობით შესრულებული უბელო ცხენია გამოხატული, პროფილში მარცხნივ, ქენებით მიდის. ცხენის ფიგურა აღსავსეა ექსპრესიით, სწრაფი ჰოპარობის გადმოცემა მპრელ-მა ზედმიწევნით ოსტატურად შეძლო. ცხენს მარჯვენა წინა ფეხი პაერში აქვს აწეული. კოხტა, თავისებური — განსხვავებული მანე-რით შესრულებული, პატარა თავი სამკუთხედის ფორმისაა. — სეგმენტებისაგან შედგენილი ოსტატურად არის გაერთიანებული ერთ გამომსახველ ფორმაში. ყბა, ნესტოები, დრუნჩი, აცქვეტილი პატარა ყური, თვალი ზომიერი პროპორციულობით გამოირჩევა. მაღალი, კუნთებით დაფარული მომრგვალებული კისერი დაბალი ფაფარით არის შემოსილი. ფაფარი პატარ-პატარა ბლუჯებითაა და-ნაწევრებული (ტაბ. IV, 15; სურ. 18).


ცხენს ლამაზი აღნაგობის ზედმიწევნით პროპორციული სხე-ული აქვს; კუნთიანი, ფართო მკერდი თვალსაჩინო და ზომიერი რე-ლიეფითაა გადმოცემული. წელიწწროა. მაღალი ფეხები კოხტა-

³ იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძვ.წ. V—III სს. კოლხეთის საბეჭდავი-ბეჭ-დები (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი), თბილისი, 1975, გვ. 61—62, სურ. 11.

⁴ ბეჭდები ინახება ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში სამარხულ კომპლექსთან ერთად. № № ქ. მ. 1/9.

მოყვანილი ჩლიქებით ბოლოვდება, ხოლო გრძელი, ზევით აწეული ძუა რბილი, ტეხილი ხაზითაა გამოხატული. ფერდებიც მკაფიოდაა მინიშნებული.

გამოხატულების ირგვლივ საკმაო რისი თავისუფალი არეა დატოვებული⁵.



სურ. 18.

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამოხატულება ხელით—საჭრისით არის ამოკრილი, არაღრმად და ზედმიწევნით ფაქიზად. ნახმარი უნდი იყოს რამდენიმე სახის

საჭრისი ბრინჯაოს ნემსი, მომრგვალებული საჭრელწვერიანი იარაღი ე. წ. დანა, და, საუარაუდებელია, ციბრულტიანი საჭრისის გამოყენებაც. რადგან სხვაგვარად ოსტატი, ჩემის აზრით, ვერ მიაღწევდა იმ პლასტიკურობას (ფორმებისას თუ მოძრაობისას) კვეთაში, რითაც მისი ნახელავი განსაკუთრებით გამოირჩევა.

ცხენის ფიგურის დეტალები საუცხოოდაა დამუშავებული: პროპორციები ზომიერი და უზადოა, რაც იმას მოწმობს, რომ მკრელს კარგად აქვს შეთვისებული ცხოველთა სხეულის ანატომია. — იგი უდავოდ, შესანიშნავი მხატვარი — ოსტატია (პლასტიკური ფორმის გადმოცემისას უაღრესად ფაქიზი ხერხია გამოყენებული), რომელიც ზედმიწევნით ფლობს გლიპტიკის ხელოვნებას.

ადამიანის ფიგურის შემდეგ ცხენი ყველაზე საყვარელ თემად ითვლება ბერძნული ხელოვნების ყველა დარგში⁶. ცხენის ფართო პოპულარობაზე საბერძნეთში ისიც მეტყველებს, რომ ბერძნული საკუთარი სახელების დიდი ნაწილი სიტყვა «hippos» შეიცავს (მაგ.: ლისაპოს, ჰიპოლიტოს, ჰიპო ბოტაკ და სხვა)⁷.

ძეგლებზე სამი ტიპის ცხენები გვხვდება: ათენიდან—პატარა

⁵ ზოგბი: ბექდის სიმაღლე—29 მმ, ღიამ.—18 Xl 16 მმ, ინტალიოს სიგრძე—8 მმ

დაცულობა: ბექედი მოცისფრო-ნაცრისფერი კეთილშობილი პატინის ფენით არის დაფარული. ლითონი მყიფეა.

⁶ იხ. Sidney, David Markman, The Horse in the Greek Art, Baltimore, 1943, გვ. 1.

⁷ იხ. Markman, დასახ. ნაშრ., იქვე.

ზომისა, „ევროპული“ ტიპი; სიცილიასა და დიდი საბერძნეთიდან — უფრო დიდი ზომისა, „დასავლური“ ტიპი; და მცირე აზიიდან — დიდი ზომისა, „აზიური“ ტიპი.

„დასავლური“ ცხენი ყველაზე უკეთ ქალაქ სირაკუზის სხვადასხვა მონეტებზეა წარმოდგენილი — ეს არის ლამაზი აღნაგობის, დახვეწილი პროპორციებისა და ჰარმონიულად შერწყმული ნაწილების მქონე პირუტყვი. სამკუთხა მოყვანილობის თავით, მომრგვალებული კისრითა და მალა „მიბმული“ კუდით. — ესაა ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ზემოხსენებული ცხენის ჯიშისა⁹. „დასავლური“ ცხენი სამკუთხა მოყვანილობის თავით გამოირჩეოდა. ტარენტუმის მახლობლად აღმოჩენილი ცხენის თავი ამ ნიშნის მიხედვით განსხვავდება პართენონის ჰელიოსის ცხენებისაგან. ტარენტუმიდან წარმომდგარი გვიან IV საუკუნით დათარიღებული სხვა ცხენის თავებიც სამკუთხა მოყვანილობისაა. ასეთსავე სამკუთხა მოყვანილობის თავებს ვხვდებით კართაგენის სიცილიურ მონეტებზე¹⁰.

სხვადასხვა დროის ბერძნული ხელოვნების ძეგლებზე ცხენის გამოსახულებები მეტ-ნაკლებად კარგად არის შესრულებული. ეს იმით აიხსნება, რომ მისი ანატომია ობტატებმა კარგად შეითვისეს¹⁰ — განსაკუთრებით კლასიკურ ეპოქაში, სახელდობრ. ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებში შეიქმნა მრავალი შესანიშნავი სკულპტურა ამ თემაზე¹¹. ყველა გამოხატულება ბერძნული ხელოვნების განვითარებასთან ერთად გარკვეულ სახეცვლილებას განიცდიდა. — ცხენის ტიპი თანდათანობით რეალისტურ სახესღებულობს, შემდეგ — იდეალიზირებულსაც. კლასიკურ პერიოდში იგი რეალისტური და, ამასთანავე, იდეალიზირებულიცაა¹².

IV საუკუნეში (400—300 წწ.) ცხენების გამოხატულებებისა-

⁹ იხ. Markman, დასახ. ნაშრ., გვ. 17. ძირითად განმასხვავებელ ნიშნად ს. მარკმანი ხსენებული ტიპისათვის თავის მოყვანილობას მიიჩნევს (იხ. გვ. 18).

¹⁰ Markman, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

¹¹ გეომეტრიულ პერიოდში პროპორციისა და აღნაგობის კანონი სავსებით განსხვავებულია უფრო გვიანდელი პერიოდების ბერძნული ხელოვნების ნიმუშებისაგან.

არქაულ პერიოდში ცხოველი პირველი ხანებში „კვადრატულია“. ეს იმითაა გამოწვეული, რომ პროპორციები არ არის სწორად დაცული.

¹² ისეთ საგულისხმო ძეგლებზე, როგორცაა ზეუსის ტაძარი ოლიმპიაში, პართენონი და ა. შ. ცხენების სკულპტურაცაა კომპოზიციებში ჩართული.

¹³ იხ. Markman, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

თვის დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: მძიმე, „მართკუთხედი-
სებრი“ ტანი და მოკლე კისერი. ეს ნიშნები სახელდობრ IV საუკუ-
ნის ბოლოსათვის ჩანს მეტად გამოხატული.

ელინისტურ პერიოდში, სახელდობრ ძვ. წ. III საუკუნეში,
როგორც ჩანს IV საუკუნის მიწურულის სტილია კვლავ შემორჩე-
ნილი, კერძოდ, მისი ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი და, ერთ-
გვარად, მიმართულება¹³.

ხსენებულ ხანაში ცხენის ტანი (ისევე, როგორც ადამიანთა
ფიგურები ამ პერიოდის ძეგლებზე) მთლიანად კუნთებითაა დაფა-
რული. — კუნთები იმგვარადაა დამუშავებული, რომ სხეულის აღ-
ნაგობა საგანგებოდ ხაზგასმულია. რაშიც პერგამონის დიდი საყურ-
თხევის გავლენა ჩანს¹⁴.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ცხოველთა გამოსახულებებს
გლიპტიკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. — მათ შორის ცხენ-
საც. ცხენი გემა-საბეჭდავებზე სხვადასხვა კომპოზიციებსა და ცალ-
კე გამოსახულებების სახითაცაა წარმოდგენილი (გაქცეული ცხენი,
დოლის ცხენი, აწყვეტილი ცხენი, მტაცებლის თავდასხმა ცხენზე
და ა. შ.).

კლასიკურ ხანაში მრავალ გემაზე ვხვდებით რბენისას გამოხა-
ტულ ცხენის მოტივს, ასევე მშვიდად მიმავალ ცხენსაც¹⁵. ამავე
ხანას ემთხვევა აქემენიდური, საკარო სტილის ზოგი ჭრილა ჭვის
ნიმუშიც¹⁶.

ქვედა მესხეთში აღმოჩენილ საბეჭდავ-ბეჭედზე ამოჭრილა
ცხენის გამოსახულება, ვიმეორებთ, ოსტატური — ფაქიზი კვეთით
შესრულებული ნახელავია. პირდაპირი ანალოგია მას გლიპტიკურ
ძეგლებს შორის კვლავ ვერ მოვუძებნეთ. საერთო დამახასიათებ-

¹³ Markman, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

¹⁴ Markman, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

¹⁵ იხ. Richter, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 413, 414,
419, 420; Walters, Gems, ტაბ. X, 550, 588; Furtwängler, Beschreibung,
der Geshittenen Steine im Antiquarium, Berlin, 1886, გვ. 303;—Imhoof u. Kel-
ler, Tier und Pflanzenbilder, ტაბ. XVII, 40 და ა. შ.

¹⁶ იხ. Boardman, Greek Gems and Fingers Rings, გვ. 319, სურ. 299
(ხსენებული ინტალიო ძალიან რეალისტურია).

აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. V—IV სს მიჯნით დათარიღებული ზოგიერთი ინტა-
ლიო ლარისას (თესალია) მონეტებთან პოულობს ახლო მსგავსებას (იხ. British
Museum Guide, ტაბ. 22, № 24).

ლი ნიშნებისა და სტილისტური თავისებურებებით იგი ძვ. IV—III საუკუნეების, უფრო კი III საუკუნის დასაწყისის, ძეგლების წრეში თავსდება. ხოლო სხეულის აღნაგობის მიხედვით, ს.-დ. მარკმანის სქემაზე დაყრდნობით, ცხენი „დასავლური“ ტიპისაა (იხ. აღწერილობა და გვ. 98).

ყურადღებას იმსახურებს შემდეგი: ბეჭდის ფორმა, როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი, დაბლაგომის ბრინჯაოს ბეჭდის ტიპისაა (ქვევრსამარხი №12, 1971 წელი). ხსენებული ინტალიოს მკრელზე, ჩვენი ვარაუდით, ერთგვარი გავლენა დასავლურ-ბერძნულ ნახელავს მოუხდენია¹⁷. ქვედა მესხეთის ინტალიოზზე „დასავლური“ ტიპის ცხენია გამოხატული, რაც საბაბს გვაძლევს მისი მკრელის შემოქმედებაში დასავლურ-ბერძნული ხელოვნების გავლენა დავინახოთ.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია, ქვედამესხეთისა და დაბლაგომის ინტალიოები. კოლხეთის ტერიტორიაზე მდებარე, ერთი სახელოსნოდან გამოსულ ნივთებად მივიჩნიოთ. ხოლო ნაკეთობის დონის მიხედვით — სხვადასხვა ხელს მივაკუთვნოთ.

მიუხედავად იმისა, რომ სამარხში აღმოჩენილი ორი დანარჩენი ბეჭედი ერთი ტიპისაა — სავსებით განსხვავებული სტილის ინტალიოებს წარმოადგენენ. შინაარსობრივადაც არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო — ეს პატარა კომპლექსი ლითონის ჭრილაბეჭდებისა სხვადასხვა მიმდინარეობის სკოლების მკრელთა ნახელავია. ოსტატური თვალსაზრისითაც სხვადასხვა ღირსების ნივთებთან ვაქვს საქმე.

ბერძნული სკოლის გავლენა მხოლოდ ზემოგანხილულ ინტალიოს მკრელის ნახელავში გამოვლინდა და ამიტომაც, რომ მხოლოდ ცხენისგამოხატულებიანი საბეჭდავი-ბეჭედიც ამჯერად კვლევის საგნად ქცეული.

¹⁷ იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ. წ. V—III სს. საბეჭდავი-ბეჭდების (ბერძნულ სახელოსნოებთან ურთიერთობის საკითხი), თბილისი, 1975, გვ. 61—62.

საკიროდ მიგვაჩნია პატარა ექსკურსის გაკეთება რომაული ხანის გლიპტიკის შესახებ, რადგან ამას საკითხის გაშუქება მოითხოვს.

მთელი რომაული ეპოქის განმავლობაში გემებისადმი ინტერესი არ შენელებულა. ხსენებულ პერიოდში, სახელდობრ ადრეულ ხანაში, გლიპტიკის ხელოვნებაზე, დაკერძოდ მჭრელებზე, გავლენას ახდენდა გვიანეტრუსკული და ელინისტური გლიპტიკა¹⁸.

პომპეუსის გამარჯვებებმა და სახელდობრ, სირიის ახალი პროვინციის დაარსებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ბერძნული ელინისტური ხელოვნება და ოსტატები იტალიაში უკეთ გაიციენ¹⁹. გემების კვეთის ხელოვნებაში ახალი — ელინისტური სტილის მიმბაძველობა დაიწყო (მცირე მასშტაბებში). და ახალი დიდი პერიოდის დასაწყისი გლიპტიკაში იმითი აღინიშნა, რომ ბერძენი ოსტატების შემოქმედება თუ ნახელავი, იტალიაში და რომის სამყაროს სხვა ნაწილებშიც, მიძღვნილი იყო თავიანთი რომაელი მფარველებისადმი²⁰.

ძვ. წ. I საუკუნეში გლიპტიკა, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები, ძალზე ელინიზირებულია. რომში ნაკვეთი გემების ფორმები, ანდა რომაელებისათვის შესრულებული, დიდად არ განსხვავდებიან ბერძნული ელინისტური სამყაროს ნახელავისაგან. იგივე ითქმის ამ ხანაში იმ მასალაზეც, რომელიც აღმოსავლეთსა და ეგვიპტიდან შემოჰქონდათ²¹.

რომის იმპერიის ეპოქაში ჭრალა ქვები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საბეჭდავის ფლობა, ფაქტიურად, მეტ-ნაკლებად პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლებს შორის გავრცელდა ფართოდ. მასალად ნახევრად ძვირფასი და ძვირფასი ქვების შემოტანა აღმოსავლეთიდან ადვილად ხდებოდა არსებული სავაჭრო ურ-

¹⁸ G. Richter, The Engraved Gems of the Greeks, Etruscans and Romans, Part two. Engraved Gems of the Romans. A Supplement to the History of Roman Art in Miniature, London, 1971, გვ. 1.

¹⁹ J. Boardman, Engraved Gems, The Ikonides Collection, London, 1968, გვ. 23.

²⁰ Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

²¹ იქვე.

თიერთობის წყალობით²². მაგრამ ის პირები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ საშუალებას, რათა საკუთარ მფლობელობაში ქვის საბეჭდავები შეეძინათ, მათ ნაცვლად იაფფასიანი მინის საბეჭდავებით კმაყოფილდებოდნენ²³.

განსაკუთრებული პოპულარობით ჰქონდა ქვები—ინტალიოები და კამეები ავგუსტუსისა და იულიუს-კლავდიუსის დროს სარგებლობდნენ. იმ ზომამდე, რომ იმ ხანებში ჰქონდა ქვების საერთო—საზოგადოებრივი კოლექციებიც კი შეიქმნა, დაქტილიოთეკებად (dactyliothecae) წოდებული. იქ გროვდებოდა „ძველებური“ გემები.

ჰქონდა ქვებს რომაულ ხანაში იგივე დანიშნულება აქვს, რაც წინაბერძნულ ხანაში: საბეჭდავი, ავგაროზი და სამკაული. მაგრამ მათ იმ პერიოდშიც უპირატესად საბეჭდავის დანიშნულება ჰქონდა.

გემებთან ერთად თანაარსებობს ლითონის ჰრილაფარაკიანი ბეჭდებიც, სახელდობრ ბრინჯაოსაგან გაკეთებული — უბრალო და იაფფასიანი. ჰრილაფარაკიანი, ბრინჯაოს იაფფასიანი ბეჭდები ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში იწყებენ გავრცელებას. ხსენებულ ბეჭდებზე ძირითადად პორტრეტული ბიუსტებია ამოჭრილი²⁴.

პორტრეტული გემები რომის იმპერიის ხანაშიც გავრცელებული თემაა გლიპტიკაში. ბუნებრივია, რომ პორტრეტი ლითონის ჰქონდა ფარაკებზე არც თუ იშვიათი მოტივია ისევე, როგორც გვიანელინისტურ საბეჭდავ-ბეჭდებზე.

²² Pax Romana-ს შემდეგ იტალიაში სიმდიდრე მოზღვავედა, გაფართოვდა გაცვლა-გაშოცვლა, ვითარდება ხელოსნობა. ვაჭრები რომის დიდი სამფლობელოს ყველაზე უკიდურეს ნაწილებშიც კი აწარმოებდნენ ვაჭრობას (H. A. Masha-kin, История древнего Рима, Москва, 1948, с. 369).

²³ Richter, Engraved Gems of the Romans, გვ. 1.

²⁴ ანალოგიური ბეჭდები ბოსფორზე ძვ. წ. I—I საუკუნეებში ფართოდაა შესული ხმარებაში (იხ. M. И. Максимова, Резные камни, Сб. Античные города Северного Причерноморья I, М.—Л., 1955, с. 442).

13. „ნასახტრალნი“, ფანაბორია

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლითონის საბეჭდავ-ბეჭედთაგან ჩვენ ამჟამად ნატანების მიდამოებში. ადგილ „ნასახტრალზე“ მოპოვებულ ბეჭედზე შევაჩერებთ ყურადღებას (იგი შესულია ჩვენი „ძველი საქართველოს გლიბტიკური ძეგლების კორპუსი, I, გვ. 129, ტაბ. IX, 118)¹. და მასთან კავშირში ფანაგორიაში, ერთერთ სამარხში (1950 წლის გათხრები, სამარხი №39) გამოვლენილ ლითონის ბეჭედსაც განვიხილავთ.

1. — „ნასახტრალზე“ მოპოვებული ბეჭედი მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება (ინვ. № 545791/920). მისი მოპოვების ვითარების შესახებ გარდა იმისა, რომ ნატანების მიდამოებშია მოპოვებული, ადგილ „ნასახტრალზე“, სხვა ცნობა არ შემონახულა.

ბრინჯაოსაგან გაკეთებული საბეჭდავი-ბეჭედი დიდი ზომისაა — ფართო, ბრტყელი რკალი მხრებთან ფართოვდება და მკვეთრად გადადის ოვალური მოყვანილობის ფარაკში².

ბრტყელი ფარაკის პირზე გვირგვინოსანი ქალის ბიუსტია ამოჭრილი, პროფილში მარჯვნივ. თავის ირგვლივ ჩახვეული ტალღებად დატეხილი თმა, კეფაზე, ნაწილობრივ კონადაა შეკრული. ხოლო მისი ბოლო გრძელ კავებადაა მხრებამდე ჩაშვებული (ტაბ. IV, 16, სურ. 19).

¹ ბეჭედი გრაფ პ. უეაროვისათვის პ. დავიდოვს გადაუცია 1888 წელს.

1928 წელს საბეჭდავი ა. ზაზაროვა გამოსცა (იხ. Геммы Государственного исторического Музея, Москва, 1928, Табл. V, 209).

² ზომა: ბეჭდის დიამ.—16 მმ, სიმაღლე—21 მმ, ინტალიოს სიგრძე—21 მმ, განი—15 მმ.

დატულობა: ბეჭედი პატინით არის დაფარული.

ქალს საკმაოდ გრძელი, მკრთალი ხაზით შემოფარგლული ცხვირი აქვს, ოდნავ შესამჩნევი კეხით; ფართოდ გაღებული თვალი და მკაფიოდ გამოხატული დაბალი წარბი. მოკლე, ენერგიული ნიკაპი წინაა წამოწეული, ბაგეები — ამობურცულია. მხარი ხაზგასმით — მაღალი რელიეფით არის გამოხატული.

ქალს სხივებიანი — „დაკბილული“ გვირგვინი ადგია (დაბლა აქვს დახურული), ყურს გრძელსაკიდიანი საყურე უნდა უმშვენიებლეს.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

ტექნიკა: ჩამოსხმულ ბეჭედზე გამოხატულება საკრისით არის ამოკრილი, არალრმად. კარგი ნახელავია. ოსტატმა შეძლო დამახასიათებელი სახის ნაკეთების იმგვარად გადმოცემა, რომ გარკვეული ეთნიკური ტიპი წარმოდგინა საბეჭდავზე. ფორმები პლასტიკურადაა მოდელირებული.

ბეჭდის ფორმის მიხედვით, ჩვენ, საბეჭდავს ძვ. წ. I საუკ. ბოლო წლებითა და ახ. წ. I საუკ. ვათარილებდით³. და ადგილობრივ ნახელავად ესაზღვრავდით. ჩვენ კვლავ ამ აზრს ვადგივართ. ახალმა ძიებამ — შედარებითმა ანალიზმა სინქრონულ პორტრეტულ კრილაფარაკიან ბეჭდებთან და ქვის ინტალიოებთან დაგვანახა, რომ ერთადერთი ანალოგია გვირგვინოსან ქალს „ნასახტრალიდან“ სტილისტურად და ეთნიკური ტიპითაც მხოლოდ ფანავორიაში მოპოვებულ ბეჭდებზე ეძებნება⁴.

„ნასახტრალის“ საბეჭდავზე წარმოდგენილი ქალის თავსამკაული იმაზე მიუთითებს, რომ მკრელმა ბეჭედზე წარჩინებული — უფლებამოსილი პიროვნების პორტრეტი გამოხატა.

საბეჭდავის ფორმად ოსტატს ანტიკურ სამყაროში ძვ. წ. I—ახ. წ. I სს გავრცელებული ტიპი გამოუყენებია. ტიპი, რომელიც აეგუსტუსისა და ადრემიპერიის ხანის კრილაფარაკებიანი ბეჭდების მიხედვითაა ცნობილი.

³ შტრ. Marshall, Finger Rings, ტაბ. XXXIII, 1479;—F. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, Berlin, 1913, ტაბ. XXXIV, 887. იხ. ჩვენი, კორპუსი I, გვ. 129.

⁴ ფანავორიაში მოპოვებული ბეჭდები გამოცემული აქვს ი. მარჩენკოსა და ნ. ნიკულიანს (იხ. И. Д. Марченко, Раскопки восточного некрополя Фанагории в 1950—1951 гг., МИА, 57, 1958, с. 121;—Н. И. Никulina, Перстни из Фанагории, СА, М., 1964, с. 193—194.)



სურ. 19, 20

2. — გადავდივართ ფანაგორიაში აღმოჩენილ ბექდის-განხილვაზე:

1950 წელს ფანაგორიაში (ბორცვი II III/13) გათხრილ № 39 სამარხში კრილაფარაკიანი ბრანჯაოს ბექედი აღმოჩნდა. ბექდის ტიპი იმეორებს „ნასახტრალის“ საბექდავს, ამდენად ჩვენ არ შევუდგებით მის აღწერას⁵.

პირზე გამოხატულია გვირგვინოსანი ადამიანის თავი, პროფილში მარჯვნივ; წინ იყურება. გვირგვინი სხივებიანია. (ტაბ. IV, 17, სურ. 19).

სახის აღნაგობისა და ნაკეთების მიხედვით (რბილი ლაწვებისა და ნიკაპისა, ლამაზი პატარა ბაგეებისა, აგრეთვე თმისვარცხნილობისა) ბექდის ფარაკზე ამოჭრილ გამოსახულებას ჩვენც ქალის პორტრეტად მივიჩნევთ (გვირგვინოსანს ი. მარჩენკო მამაკაცად საზღვრავს⁶, ნ. ნიკულინა — ქალად)⁷.

გვირგვინოსან ქალს უპეში ღრმად ჩამჭდარი თვალი აქვს, კეხ-მომრგვალებული ცხვირი. მაღალ კისერზე, მთელ სიგრძეზე, კავისებური ჩახვეული თმა ადევს. ყურს საყურე უნდა უმშვენებდეს. გვირგვინი ამ შემთხვევაშიც გამოხატული პიროვნების მაღალ-მდგომარეობაზე მეტყველებს.

ზემოაღწერილმა ბექედმა ჩვენი ყურადღება თავდაპირველად იმის გამო მიიპყრო, რომ იგი, როგორც აღვნიშნავდით, სტილისტუ-

⁵ ზო მე ბ ი: ბექდის დიამ.—21 მმ, ინტალოს სიგრძე—22 მმ, განი—17 მმ.

და ც უ ლ ბ ა: ბექედი კარგადაა შენახული.

⁶ იხ. И. Марченко, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

⁷ იხ. Н. Никulina, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

რად. ბექდის ტიპისა და კვეთის მანერის მიხედვით მეტად ახლო ნათესაობას ამჟღავნებს „ნასახტრალის“ საბექდავთან.

ი. მარჩენკოს ვარაუდით, ბექედი ბოსფორზე კავკასიიდან არის შემოტანილი⁸. რაც შეეხება ნ. ნიკულინას იგი, ფანაგორიისა და „ნასახტრალის“ საბექდავი-ბექდების დაპირისპირების შედეგად ასკენის, რომ ფანაგორიის საბექდავიც წარმომავლობით ძველ საქართველოს უკავშირდება⁹.

ჩვენ საცხებით ვიზიარებთ ნ. ნიკულინას შეხედულებას და ამას გარდა შემდეგ დასკვნამდე მივედით: ხსენებული ორი ბექდის შედარების შედეგად, ინტალიოთა კვეთის თავისებურების, გამოხატულებათა სტილისა და თვით ნახატის მიხედვით ისინი ერთი და იგივე სახელოსნოდან გამოსულ ნახელავად უნდა იქნეს მიჩნეული. ამ ორ სხვადასხვა პორტრეტში ნ. ნიკულინამ მართებულად დაინახა ერთი ეთნიკური ტიპი (შდრ. გამოხატულებები).

სახელდობრ ვისი პორტრეტებია ამოჭრილი საბექდავებზე — რთული განსასაზღვრავია. შესაძლებელია ეს საკითხი დიდ ხანს დარჩეს გაურკვეველი. მაგრამ რომ ორივე ქალი უფლებამოსილი, მაღალი თანადებობის პირებს წარმოადგენენ ამას ერთადერთი, და ამასთანავე არსებითი, ატრიბუტი — გვირგვინი ადასტურებს.

რომ პორტრეტებზე აღრეორომაული ხანის გლიპტიკას მოუხდენია გავლენა და არა ელინისტურს — ამაზე რომაული ხანისათვის დამახასიათებელი გარკვეული „სიმშრალე“ (ნახატსა და კვეთაში) მეტყველებს.

⁸ იხ. И. Марченко, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

⁹ იხ. Н. Никулина, დასახ. ნაშრ., გვ. 195.

დასკვნა

ახალმა ძიებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზემოგანხილული საბეჭდავი-ბეჭდები ადგილობრივი წარმოშობისაა. იმ სახელოსნოდან გამოსული ნახელავია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა (ადვილი დასაშვებია სადღაც შიდა ქართლში). საბეჭდავების ერთ-ერთს (ალგეთი, საძეგური, ყანჩაეთი) სტილის ერთიანობისა, კვეთის განსხვავებული მანერის იდენტურობისა და გამოყენებული საჭრისების ერთიდაიგივე ტიპის მიხედვით (რაც მეტად საგულისხმო ნიშნებია) ერთ სახელოსნოსა და სხვადასხვა ხელს (ჭერჭერობით ორა „ხელი“ გვაქვს გამოყოფილი) ვაკუთვნებთ. ამჟამად გადაჭრით განსაზღვრა იმისა, თუ სახელდობრ, რომელ სახელოსნო სკოლას უნდა მივაკუთვნოთ ჩვენი საბეჭდავი-ბეჭდების მჭრელები (ამ მიმართულებით ძიებას კვლავ ვაგრძელებთ) ძნელია. — მაგრამ, რომ ისინი აქემენიდური გლიპტიკის, კერძოდ სპარსული საკარო სტილის დიდი გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი (რომ მათთვის წამყვანი მიმდინარეობა საკარო სტილი იყო), და მათ შემოქმედებაში ბერძნული გლიპტიკის ელემენტებიც ჩანს, ეს აშკარაა. — კანონზომიერიც. რადგან ბერძნებსა და სპარსელებს შორის, ხსენებულ ხანაში (განსაკუთრებით ძვ. წ. V საუკ. მეორე ნახევრიდან და IV ს.). როგორც ცნობილია, მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა, რამაც, ბუნებრივია, გარკვეული ასახვა ჰპოვა აქემენიდური პერიოდის ხელოვნებაშიც.

ამაში კი გადამწყვეტი როლი შეასრულა სპარსეთის მიერ აღმოსავლეთ საბერძნეთის თავისადმი დაქვემდებარებამ. — გაუადვილა სპარსელ მმართველებს ცალკეული ბერძენი ოსტატების (მათ

შორის, როგორც ჩანს ცნობილის — მ. ლ.) გადმოყვანა სპარსეთში, სასახლის კარზე¹.

ბერძენი ოსტატები, გლიპტიკური ძეგლების შესახებ რომ აღა-
რაფერი ვთქვათ, უშუალო მონაწილენი იყვნენ არაერთი მონუმენ-
ტური დიდი ძეგლის შექმნაში².

სახელდობრ საძვეურში (ე. წ. ახალგორის განძი) აღმოჩენილი
ბექედები, სოციალურად ძალაღ საფეხურზე მდგომ პირთა საბეჭდა-
ვებად გვაქვს მიჩნეული (იხ. გვ. 25). იგივე კატეგორიის საბეჭდა-
ვებად ვსაზღვრავთ: ყანჩაეთისა (ვიმეორებით კომპლექსში ოქროს
ბექედებიც ყოფილა) და წალკა-ალგეთის ვერცხლის ინტალიო-ბექ-
ედებს.

იხიე ნიშანდობლივია, რომ კამარახევის მდიდრულ სამარხი-
დან წარმომდგარ, მამაკაცისათვის განკუთვნილ, ბრინჯაოს საბეჭ-
და-ბექედებზედაც (რომელსაც „შერეული სტილის“ აქემენიდურ-
მოტივებთან წრის ძეგლებს უუკავშირებთ) „სპარსელი მანდილოსა-
ნი“ თუ სპარსულ მოღაზე ჩაქმული ქალია გამოხატული.

როგორც ირკვევა, ადრეანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქარ-
ცველოს (კერძოდ ძვ. წ. V—IV სს) ზედაფენის წარმომადგენელთა
კუთვნილი საბეჭდავები, კოლხეთისაგან განსხვავებულ, მხოლოდ
ადგილობრივ სახელოსნოში შესრულებული ნახელავია (არსებული
მასალების მიხედვით ვასკენი) და აქემენიდური ხელოვნების უშუა-
ლო გავლენა შეიმჩნევა. ხოლო რაც შეეხება საბეჭდავის ტიპს —
აქაც ფარავიანი ბექედია ხმარებაში.

ზემოხსენებული საბეჭდავი-ბექედების კვეთა და სტილი იმდენ-
ად თავისებურია — თემატიკა „შეზღუდული“, ამასათანავე გარ-
კვეთულ მხატვრულ გემოვნებასაა დაქვემდებარებული, რომ შესაძ-
ლებლად მიგვაჩნია ვარაუდით შემდეგი მოსაზრების გამოთქმა: ზე-
დაფენისათვის წარჩინებულ პირთათვის განკუთვნილი საბეჭდავები

¹ იხ. G. Richter, Greeks in Persia, AJA; v. L, 1, გვ. 27.

² პ. ფრანკფორტს სტატიამი Achaemenian Sculpture (AJA, v. 1, 1946, გვ. 9) მოტანილი აქვს სუზას წარწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ სასახლის ნაწი-
ლი შესრულებულია იონიური და სარდელი ქვის მკრელების სკულპტორების
მიერ (იგულისხმება რელიეფები). ამას გარდა: ბერძენების მონაწილეობა პერსეპო-
ლისის მშენებლობაში დადგენილ ფაქტად ითვლება (იხ. Richter, Greeks in
Persia, გვ. 26—28) და დასასრულ: პლინიუსი (Nat. Hist., XXIV, 68) იხსენიებს
ფოკეელ მოქანდაკე ტელეფანეს, რომელიც დარიოსისა და ქსერქსეს კარზე მუშაობდა.
პეროდოტე მოგვიხსრობს, რომ ერეტრიელები, მას შემდეგ რაც ქალაქი და-
ეცა სპარსელებთან ომში (490 ძვ. წ.), სუზაში წაიყვანეს (Herodotus, VI,
119, 48).

საგანგებოდ გამოყოფილ, სპეციალურ სახელოს-
ნოში იჭრებოდა, და დასაშვებია, რომ იგი საყარო იყო.

აღსანიშნავი ისიცაა, რომ ხსენებულ ხანაში მთელ აღმოსავლეთ
საქართველოშია ადგილობრივი წარმოშობის ლითონის საბეჭდავი-
ბეჭდები გავრცელებული, ხოლო იმპორტული ინტალიო-ბეჭდები
არ ჩანს (დღემდე აღმოჩენილ არქეოლოგიურ კომპლექსებში შემო-
ტანილი ბეჭდები არ შეგვხვედრია). ამათგან მცირეს, მაგრამ მნიშ-
ვნელობით საგულისხმო ჯგუფს მესოპოტამიური
გლიპტიკის გავლენით შექმნილი საბეჭდავი-ბეჭდები შეად-
გენს (ყოლოთო — ძვ. წ. IV საუკ. II ნახევარი; თეთრი წყარო—ძვ.
წ. VI საუკ. დასაწყისი³). რომელთა შორის საგანგებოდ გამოყოფას
იმსახურებს ერთ-ერთი ბეჭედი იმის გამო, რომ მის ფარაქზე ბერ-
ძნული სამხედრო ხომალდია ამოჭრილი (იხ. გვ. 83—84) — იშვი-
ათი თემა გლიპტიკაში და განსაკუთრებით ხსენებული წრის ძეგლზე
(— მ. ლ.). ყოლოთოს ინტალიო-ბეჭედი (ისევე როგორც ყველა
მსგავსი ნახელავი) კიდევ ერთი ნივთიერი დამოწმებაა ბერძნული
გავლენის ფართო არეალისა⁴.

ბერძნული გლიპტიკის გავლენის ქვეშ მოქცეული მკრელების.
ზევეთ — ბერძნული სკოლის წარმომადგენლების ნახელავად ვსაზ-
ღვრავთ ქვიანას სამაროვანსა (ცხინვალის ნაცარგორასთან. ძვ. წ.
VI საუკ. ბოლო წლები) და ედისში აღმოჩენილ (ძვ. წ. V საუკ. და-
საწყისი) საბეჭდავ-ბეჭდებს. — ედისის ინტალიოში შერწყმულია
დასავლურ-ბერძნული და ბერძნული „ორიენტალიზირებული“
გლიპტიკის სტილებისათვის ზოგიერთი დამახასიათებელი ელემენ-
ტი (იხ. გვ. 75—77).

„შერწყმული“ სტილის (ბერძნული „ორიენტალიზირებულისა“

³ თეთრიწყაროს საბეჭდავის შესახებ იხ. მ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. კ. ო. რ. პ. ს. I, გვ. 40—41, 83.

⁴ ძვ. წ. V—IV სს. მცირე აზია, ახლო აღმოსავლეთი და ეგვიპტე სპარსეთის
იმპერიის ნაწილს შეადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი ოსტატები
(სპარსეთის სახელმწიფოში) სპარსელების მოახლოვნილებების (თუ სა-
ჭიროებისათვის) დასაკმაყოფილებლად მოღვაწიობდნენ, როგორც სპარსე-
ლი ასევე სხვა ადგილობრივი ოსტატები ბერძნული ხელოვნების დიდი გავლენის ქვეშ
მოქცნენ. მთელი სპარსეთის მონარქიაში (დაწყებული სარდში გააზრილ სამარხე-
ბიდან, ოქსუს განძით გათავებული) გემებსა და კრილაფარაქიან ბეჭდებზე ძირითა-
დად ბერძნული სტილია გაბატონებული. გარდა ხსენებული მასალებისა ეს კარგად
დასტურდება აქემენიდური ხანის მაღალი ლირებულების საბეჭდავი-ბეჭდებისა
და გემების ანაბეჭდების მიხედვით (B o a r d m a n, Greek Gems and Finger
Rings, გვ. 190).

და ბერძნულ-სპარსულ ნივთებად ავლენს ნათესაობას) ნიმუშა-
დაა მისაჩნევი ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭედი აბელიადან (გვ. 38—89).
ზქრელის ინდივიდუალურობა სწორედ ამ ორი სტილის „შერწყმა-
ში“ გამოვლინდა.

სავსებით ახლებური, თავისთავადი სტილის ნახელავს წარმო-
ადგენს გლიპტიკის ხელოვნებაში საბეჭდავი-ბეჭედი სოფ. სამაჩვე-
თიდან (ასურეთი) — განსხვავებულია არა მარტო შესრულების ტექ-
ნიკა, სტილი, არამედ შერჩეული მოტივიცა და თვით ბეჭდის ტი-
პიც (იხ. გვ. 63—64)

ამრიგად, მასალების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ
ლითონის საბეჭდავი-ბეჭედი იბერიაში ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყ-
ისში ჩნდება. გავრცელებული ტიპი აქ, — ძვ. წ. V—IV საუკუნე-
ებში ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც თავის მხრივ ორ ძირითად
ტიპად გვაქვს გამოყოფილი: რკალგახსნილი და რკალშეკრული სა-
ბეჭდავები.

თემატიკა არცთუ დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. უპირ-
ატესად ფანტასტიკურ არსებათა და ცხოველთა მოტივებს ეხვდებო-
ბი.

დამუშავების ტექნიკისა და ნახელავის მიხედვით შესაძლებე-
ლი ხდება დავასკვნათ. რომ ხსენებულ პერიოდში ლითონზე გლიპ-
ტიკა — რთული და მეტად შრომატევადი ხელოსნობის დარგი, გან-
ვითარების მაღალ დონეზე მდგარა (იხ. საქმურის, ქვიანას, ელისის
და სხვ. საბეჭდავები).

საბეჭდავთა ხმარება იბერიაში მხოლოდ წარჩინებულთა ჩვეუ-
ლებას რომ არ შეადგენდა, ჩვენთვის საინტერესო ხანაში, ამის
მეტყველ საბუთს ლურჯი მინის მრავალწახნაგა
საბეჭდავების სერიული დამზადება მოწ-
მობს⁵. ხოლო მინის საბეჭდავების წარმოების
აუცილებლობა მაშინ იბადება, როცა საბეჭ-
დავი ფართოდ შედის ყოფაში. როცა მისი გამო-
ყენება ფართო ფენებში წესადაა ქცეული.
იგი ყოველდღიური საქმეების თუ მოხმარების საგანი ხდება (მი-

⁵ მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების დამზადების შესახებ იხ. М. И. М а к
с и м о в а, Стеклопечные многогранные печати, найденные на территории Грү-
зии — ენიმის „მოამბე“, X, 1941, გვ. 75—77, 92 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.
გუანაქემენდური ხანის მცირეაზიული საბეჭდავების იბერიული პირები — ლურ-
ჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, საზოგად. მეცნიერებათა განყ. „მოამბე“,
6, თბ., 1963, გვ. 150—152; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, 49—52.

ნის საბეჭდავი იაფი ჯდება და ამდენად ფართო ფენისათვის ხელმისაწვდომია).

ელონისტური ხანის ძეგლებიდან (როგორც აღვნიშნავდით, ჩვენში ისინი, ჯერჯერობით. მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი) ყურადღებას იმსახურებს ქვედა მესხეთის საბეჭდავი-ბეჭედი ცხენის გამოხატულებით (გვ. 96—101). განსაკუთრებით იმის გამოც, რომ იგი ბეჭდის ტიპისა და სტილით ახლო ნათესაობას ავლენს დაბლაგომის (ქვეერსამარხი № 12, 1971 წელი) ინტალიო-ბეჭედთან. რის საფუძველზე ჩვენ ხსენებულ საბეჭდავებს კოლხეთის ტერიტორიაზე მდებარე ერთ სახელოსნოდან გამოსულ ნივთებად ვსაზღვრავთ. და დასავლურ-ბერძნული ძეგლების გავლენით შექმნილი ინტალიოებად მივიჩნევთ.

ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკ. მიჯნაზე ბრინჯაოს ბეჭედებზე პორტრეტული გამოხატულებები ჩნდება (ნასახტრალსა და ფანაგორიაში მოპოვებული ბეჭედები. იხ. გვ. 104—106). გამოხატულ პირთა მთავარი ატრიბუტის — თავსამკაულის ანუ გვირგვინის მიხედვით საბეჭდავებზე უფლებამოსილი ქალების — მმართველი წრის წარმომადგენლების პორტრეტები უნდა იყოს ამოჭრილი.

ხსენებული ბეჭედები იმითაც საგულისხმო ძეგლებადაა მისაჩნევი, რომ ერთი სახელოსნოდან გამოსული ნახელავია (ძველი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულისა) და ამათგან ერთი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშია (ფანაგორიაში) გატანილი*. (იხ. გვ. 106—110).

* შენიშვნის სახით: მიუხედავად იმისა, რომ იბერიაში აღმოჩენილ კრილაფარაქიან ბეჭედებს შორის ჯერჯერობით არ ჩანს შემოტანილი მასალები, ეს არ გამოირიყხავს იმპორტის არსებობას ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. —ამჯერად კრილა ქვეები არ შეადგენენ ჩვენი კვლევის საგანს, მაგრამ საკიროდ მივიჩნევთ ალგვინიშნა შემდეგი: იმპორტული გლიპტიკური მასალა იბერიაში კრილა ქვეებითა და მინის კამეებითაა წარმოდგენილი. სახელდობრ: ფინიკური (ძვ. წ. VII საუკ. სამთავრო, ახ. წ. III საუკ. სამარხი), მცირეაზიური (ძვ. წ. V—IV სს. სამთავრო) იტალიკური (ძვ. წ. III—I სს. ბორი, მცხეთა, ურბნისი), ალექსანდრიული (ძვ. წ. I—ახ. წ. I. ახალდაბა), რომაული (ძვ. წ. I. მცხეთა—სამთავრო, ურბნისი და ა. შ.).

